www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ხუთშაბათი, 16 დეკემბერი, 2004 წელი. №298 (847)

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

## ამბები

### ახალი ინიციატივა: ღვინით ევროპაში



ევროპისკენ მიმავალ გზას ღვინის სამშობლო სიმბოლურად დაადგა, პოლონეთში გამართულ ქართული პროდუქციის პირველ ეროვნულ გამოფენაზე ქართული ღვინის მწარმოებელი ყველა წამყვანი კომპანიაა წარმოდგენილი

A4

## რეგიონი

### ფოთი



ფოთისა და მისი ნავსადგურის მშენებლობა ერთმანეთისაგან განუყოფელია, ამიტომ ერთად, მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული. ფოთისა და მისი ნავსადგურის წარმატებით მშენებლობა ძირითადად ნ. ნიკოლაძის ფოთში მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა.

B3-B6


იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7



გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4


## ამინდი

| | 16/12 | 17/12 |
|---|---|---|
| თბილისი | 1 | 4 |
| ქუთაისი | 4 | 8 |
| ბათუმი | 7 | 10 |
| სოხუმი | 3 | 6 |
| ფოთი | 6 | 8 |
| თელავი | -1 | 3 |
| ზუგდიდი | 5 | 8 |
| გორი | -2 | 2 |
| ახმეტა | -1 | 3 |
| ჭიათურა | 1 | 4 |
| გაგრა | 1 | 3 |
| სამტრედია | 5 | 8 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.3955 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4695 |
| რუბლი | 0.0645 |

# აფერხებს თუ არა რეფორმებს ხშირი ცვლილებები?

ვერიკო თევზაძე

**დღის შეკითხვა:**
*როგორ შეაფასებთ მთავრობაში განხორციელებულ ინსტიტუციონალურ და საკადრო ცვლილებებს?*

*გახშირებული საკადრო ცვლილებები აფერხებს თუ არა ქვეყანაში რეფორმების გატარებას?*

**ანა დოლიძე**
*ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია:*

ამგვარი პოლიტიკა აფერხებს ქვეყანაში რეფორმების გატარებას. ესა თუ ის მინისტრი თავის უწყებაში მიდის კონკრეტული კონცეფციით, რომლის გატარების საშუალებაც არ ეძლევა. თანაც, სამინისტროებში მარტო მინისტრები არ იცვლებიან, მინისტრს, ტრადიციულად, თავისი გუნდიც თან მიჰყვება...

შესაძლოა, პრეზიდენტის გადმოსახედიდან ამგვარი ხშირი საკადრო ცვლილებები მოსახერხებელი იყოს. იგი აკვირდება, რომელი მინისტრი უკეთ მიხედავს ამა თუ იმ უწყებას, მაგრამ საბოლოოდ სავალალო შედეგს ვღებულობთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეფორმების განხორციელება ფერხდება. საერთაშორისო დონორი საზოგადოება უკვე აღშფოთებას ვერ ფარავს ამის გამო.

**ლევან რამიშვილი**
*თავისუფლების ინსტიტუტი:*

კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჩვენ, თავისთავად, დინამიური მთავრობა გვყავს. ხანდახან ეს დინამიზმი ჰიპერდინამიაშია გადაზრდილი. ამ დაავადებას, მე მგონი, ლუმინალით მკურნალობენ. დინამიზმი იმდენად ქაოტურ ხასიათს ღებულობს, შთაბეჭდილება იქმნება, პიროვნებებზე

გაგრძელება A3 გვერდზე

# მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა სტაბილურია?!

*მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში ახალი ცვლილებები აღარ გატარდება და სახეშეცვლილი კაბინეტი სტაბილური ვადით იმუშავებს, - ასეთი იყო გუშინ საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის სხდომაზე გაჟღერებული შეპირება.*

თამარ ივანიძე

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ახალი მინისტრთა კაბინეტი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან - ევროპასთან და ნატო-სთან ინტეგრაციის და ქვეყნის შიდა პრობლემების მოგვარების ამოცანებზე, ერთიანი გუნდით იმუშავებს.

**"ცნება "ჟვანიას გუნდი" არ არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრი ამ კაბინეტში არ იჯდებოდა. მთავრობა ერთიანი გუნდით მუშაობს და წყვეტს ქვეყნის პრობლემებს,"** - განაცხადა გუშინ პრეზიდენტმა და მასმედიის საშუალებები და მთავრობის პოლიტიკური ოპონენტები კაბინეტში განხორციელებული ცვლილებებისა და პოლიტიკური მოვლენების კომენტირებისას, აქცენტების არასწორად გაკეთებაში დაადანაშაულა.

**"იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანაში არავის აინტერესებს ქართული ჯარის ნატო-ს სტანდარტებზე გადასვლა, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ოდენობა და საზოგადოებისათვის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. მთელი ყურადღება სამთავრობო კულუარული ჭორების გავრცელებაზეა გადატანილი,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ახალი მინისტრთა კაბინეტი აფხაზურად

*საუბარი, რომ პრეზიდენტად ერთხელ არჩეულ სერგეი ბაგაფშსა და მის მთავარ კონკურენტ, "მთავრობის კაც" რაულ ხაჯიმბას შორის ხელმოწერილი შეთანხმების შემდეგ, აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ვითარება დარეგულირდა, ჯერჯერობით, ნაადრევია. პირველ რიგში კი, იმის გამო, რომ ამ ორი ადამიანის მომხრეებს, ალიანსის გულწრფელობასა და სიცოცხლისუნარიანობაში ეჭვი ეპარებათ. შესაძლოა გუშინ, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში განხორციელებული სამთავრობო ცვლილებების მიზეზიც ეს იყოს. ვლადისლავ არძინბა ჩქარობს, დარჩენილ დროში რესპუბლიკის მთავრობის სათავეებში სასურველი პირები შეკრიბოს.*

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ჯერ კიდევ მოქმედმა პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ გუშინ მინისტრთა კაბინეტის ახალი სტრუქტურა დაამტკიცა.

გაგრძელება A2 გვერდზე







# ბიუჯეტის პროექტს "უცხოელებმა" ხინჯი ვერ უპოვეს

გიორგი ასანიშვილი

*პირველი მოსმენით მოწონებულ 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, პარლამენტი გუშინ კვლავ მიუბრუნდა. მეორე მოსმენით განხილვის "სეზონის გახსნას" ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელიც დაესწრო. საგარეო ურთიერთობათა და დასავლეთთან ინტეგრაციის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე მომავალი წლის ძირითადი ეკონომიკური კანონის მიმართ არსებითი ხასიათის პრეტენზიები არ გამოთქმულა.*

**"ნორმალური ბიუჯეტია,"** - აცხადებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი.

**"პოზიტიური ტენდენცია სახეზეა,"** - კოლეგას კვერს უკრავს დასავლეთთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

მათი მხრიდან გამოთქმული დადებითი შეფასებები, თითქოს, გაოცებას უნდა იწვევდეს - საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის 2005 წელს გამოსაყოფი თანხა 31,8 მილიონ ლარს შეადგენს, რაც მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით, 400 ათასი ლარით ნაკლებია. თუმცა, როგორც ირკვევა, ამით ქვეყნის საგარეო პოლიტიკური უწყების ფინანსური მდგომარეობა კი არ უარესდება, არამედ, პირიქით, უმჯობესდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "ნარინჯისფერი საფრთხე", ცვლილებები კონსტიტუციაში და პოლიტ-ტექნოლოგები

*უკანასკნელ დღეებში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის გამოსვლებში, რამდენჯერმე გაიჟღერა კონსტიტუციის დასაცავმა მოწოდებებმა. აღსანიშნავია, რომ პირველად კონსტიტუციის ცვლილებებზე საუბარი პუტინის ხელმეორედ არჩევამდე დაიწყო და მის მიერ გაკეთებული კომენტარის შემდეგ, რომ "არსებული კონსტიტუციის ფარგლებშიც ბევრის მიღწევა შეიძლება", მაშინვე შეწყდა. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული ახალი ტალღის აგორება, ბოლო დროს, უკვე რეალობად ქცეულ "პოლიტრეფორმასთან" ასოცირდებოდა, თუმცა, რუსეთის მმართველმა, ამჯერადაც თავი შეიკავა მასში შესწორებების შეტანაზე. პარალელურად, რუსულ პრესაში ამ თემასთან დაკავშირებული მოსაზრებების გამოქვეყნება არ წყდება.*

კონსტიტუციის ხელშეუხებლობაზე პრეზიდენტ პუტინის მიერ არაერთგზის გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, კრემლთან ასოცირებული პოლიტტექნოლოგების უმრავლესობა ხელისუფლებას მისი "გადაწერისკენ" მოუწოდებენ. გავრცელებული ხმებით, ახალი ძირითადი კანონის მიღების აუცილებლობა "ნარინჯისფერი საფრთხის" არსებობას ემყარება. "პიარის" რუსი ოსტატები კრემლს უკრაინაში წარუმატებლობის შემდეგ "რევოლუციის აჩრდილით" აშინებენ და მასთან საბრძოლველად, საკანონმდებლო ბაზის მომზადებისთვის მზადყოფნის შესახებ იტყობინებიან.

გაგრძელება A5 გვერდზე


A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3-B6 რეგიონი | B7 სპორტი | B8 სხვადასხვა

# ახალი ინიციატივა: ღვინით ევროპაში



სალომე ზურაბიშვილი და გოგი თოფაძე გამოფენაზე.

თეა სხიერელი
სპეციალურად "24 საათისათვის"
პოლონეთი, ვარშავა

ევროპისკენ მიმავალ გზას ღვინის სამშობლო სიმბოლურად დაადგა, პოლონეთში გამართულ ქართული პროდუქციის პირველ ეროვნულ გამოფენაზე ქართული ღვინის მწარმოებელი ყველა წამყვანი კომპანიაა წარმოდგენილი, საუკეთესო ხარისხის და ულამაზესად გაფორმებული ქართული ღვინით. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივითა და ორგანიზებით 14-15 დეკემბერს პოლონეთის დედაქალაქში, ვარშავაში გაიმართა საქართველოს დღეები.

"საქართველო ევროპის გზას დაადგა, ეს გზა გავლილი აქვს პოლონეთს და დარწმუნებული ვარ, სერიოზულ მხარდაჭერაში. სიმბოლურია, რომ ამ გზას შევუდექით ჩვენი სიმბოლოთი - ქართული ღვინით," - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა საზეიმო მიღებაზე, რომელიც ვარშავაში, სასტუმრო "მარიოტში" სავაჭრო-სამრეწველო პალატის და ქართული კომპანიების სახელით გაიმართა.

გამოფენას პოლონეთის საქმიანი წრეების და ხელისუფლების წარმომადგენლები, იმპორტიორები, დისტრიბუტორები, დიდი სუპერმარკეტების წარმომადგენლები, რესტორნების და სასტუმროების მფლობელები სტუმრობდნენ.

გამოფენაში მონაწილეობს ღვინის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების, კვების პროდუქტების მწარმოებელი 25 ქართული კომპანია: "ყაზბეგი", "ბორჯომი", "ნაბეღლავი", "რაჭის წყალი", "თელავის მარანი", "მანავის მარანი", "თელიანის ველი", "თბილღვინო", "ვაზი-1", "ვაზიანი", "კახური მეღვინეობა", "გრები", "პროგრესი", "საქართველოს თამბაქოს წარმოება", "მაკსტოპი", "ოპიზარი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, ბანკები - "თიბისი", "ინვესტბანკი", "ბაზისბანკი".

გამოფენის პირველი შედეგი კომპანია "თელიანის ველთან" პოლონური კომპანია "სინტეზას" გაფორმებული კონტრაქტია.

"უკვე იანვარში 2 კონტეინერს ვაგზავნით, კონტრაქტი 20 დასახელების ღვინის ექსპორტს ითვალისწინებს და დარწმუნებული ვარ, სხვა ქართულ კომპანიებსაც დაეხმარება პოლონეთისაკენ გზის გაკვლევაში," - განაცხადა კომპანია "თელიანის ველის" გაყიდვების მენეჯერმა გიო ხუციშვილმა.

"საქართველოს დღეების და ქართული პროდუქციის გამოფენის გამართვის მიზანი ქართული ეროვნული პროდუქციის პოპულარიზაციაა. მსგავსი ღონისძიებები ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებაში დაეხმარება ქართულ კომპანიებს. ქართული პროდუქციის გარდა, ჩვენ ქვეყნის პოპულარიზაციასაც მოვახდენთ," - აცხადებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი.

პოლონეთი ევროკავშირის წევრი და აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი მსხვილი ქვეყანაა. ტრადიციულად, პოლონელები კარგად იცნობენ ქართულ პროდუქციას, სასმელებს, ღვინოს, ქართულ სამზარეულოს, ქართულ კულტურას.

დღეს ქართული კომპანიები ნაკლებად არიან წარმოდგენილი პოლონეთის ბაზარზე. ახლა საქართველო-პოლონეთის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების რეალური პერსპექტივა გაჩნდა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა მსგავსი გამოფენების მოწყობას გეგმავს ავსტრიაში, ფინეთში და სკანდინავიის ქვეყნებში - იმ ბაზრებზე, სადაც ქართულ პროდუქციას რეალური პერსპექტივები აქვს. შემდეგ კი ამ ქვეყნებიდან პოტენციური ინვესტორებისა და პარტნიორების მოწვევა იგეგმება.

**გოგი თოფაძე,** *კომპანია "ყაზბეგის" პრეზიდენტი:*

"პოლონეთის ბაზრისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ვიტამინური წარმოება, მაღალი ეკოლოგიურობით ცნობილია ჩვენი საკონსერვო მრეწველობა და ხილის კონცენტრატები, რომლებიც გამაგრილებელი სასმელების წარმოებისათვის გამოიყენება. ჩვენი ლიმონათი და ცივი ჩაი ამ თვალსაზრისით პერსპექტიულია პოლონეთისთვისაც და ჩრდილოეთ ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც."

**გია პირადაშვილი,** *კომპანია "ვაინმენი":*

"მსგავსი გამოფენები საუკეთესო ფორმაა ღვინის პოტენციური მყიდველების დასაინტერესებლად. საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატის ეს ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანია, სწორად არის შერჩეული პოტენციური საექსპორტო ბაზრები - პოლონეთი და სკანდინავიის ქვეყნები. ასეთ შეხვედრებზე ღვინის მწარმოებლები ერთმანეთის კონკურენტები არ ვართ, თითოეული კომპანიის კონტრაქტი ყველას ეხმარება, რადგანაც ქართული ღვინის პოპულარიზაცია ხდება."

**გიორგი მარგველაშვილი,** *"თბილღვინოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:*

"გამოფენაზე 10 სახეობის პროდუქცია წარმოვადგინეთ. ჩვენი კომპანია ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ყიდდა ღვინოს პოლონეთში, ამჟამად მოლაპარაკებებს 3 პოლონურ იმპორტიორთან ვაწარმოებთ, მათ თავიანთი მაღაზიების ქსელი აქვთ. მნიშვნელოვანი ეტაპია იმ თვალსაზრისით, რომ პოლონეთში ახლა მკვიდრდება ღვინის სმის კულტურა, იზრდება მოხმარება და თუ ქართული ღვინის ბაზარზე შესვლის და დამკვიდრების სწორ სტრატეგიას შევიმუშავებთ, წარმატება გარდაუვალია."

# ბიუჯეტის პროექტს "უცხოელებმა" ხინჯი ვერ უპოვეს

*როგორც ზურაბ ნოღაიდელი განმარტავს, 2004 წელს 5 მილიონი ლარი დიპლომატიური უწყების საგარეო დავალიანებების დაფარვას მოხმარდა და ამდენად, მომავალ წელს ეს თანხა სხვა ხარჯებს მოხმარდება.*



იური ლობოდინის ფოტო

პირველი გვერდიდან

როგორც ზურაბ ნოღაიდელი განმარტავს, 2004 წელს 5 მილიონი ლარი დიპლომატიური უწყების საგარეო დავალიანებების დაფარვას მოხმარდა და ამდენად, მომავალ წელს ეს თანხა სხვა ხარჯებს მოხმარდება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო მომავალ წელს, წლევანდელთან შედარებით, ფაქტობრივად, 5 მილიონი ლარით მეტს მიიღებს.

თუ სალომე ზურაბიშვილის უწყების დაფინასების საკითხში ყველაფერი ნათელია, სამაგიეროდ, ზურაბ ნოღაიდელს უჭირს იმის თქმა, თუ როგორი იქნება ზოგიერთი სამართალდამცავი სტრუქტურის 2005 წლის ბიუჯეტი. უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანებამ დღის წესრიგში დააყენა ამ სფეროების დაფინანსების გადასინჯვის საკითხი.

**"2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი გადასაკეთებელი იქნება, რადგან გადაწყვეტილება სტრუქტურული ცვლილებების შესახებ პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის წარდგენის შემდეგ იქნა მიღებული. თუ მოვასწრებთ ბიუჯეტში სათანადო ცვლილებების შეტანას, ამას ახლავე გავაკეთებთ, თუ არა და, იანვარში,"** - აცხადებს ფინანსთა მინისტრი.

ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე ზურაბ ნოღაიდელს და მის მთავრობას "ფრიადი" დაუწერეს, მიუხედავად იმისა, რომ მინისტრმა დეპუტატთა ზოგიერთ შეკითხვას პასუხი ვერ გასცა. კერძოდ, ივლიანე ხაინდრავასთვის გაუგებარი დარჩა, თუ რატომ ხდება მინისტრების "დიფერენცირება" და იუსტიციის მინისტრის თანამდებობრივი სარგო 1900 ლარია, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის - 1200 ლარი.

**"რატომ არის მინისტრებს შორის განსხვავება? თქვენი მინისტრი არ გეცოდებათ?"** - რესპუბლიკელი პარლამენტარის ამ კითხვაზე, ნოღაიდელის მსგავსად, მხრებს იჩეჩავდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა ჟვანია.

საგარეო-პოლიტიკური უწყების ხარჯები მომავალ წლებში, ალბათ, საგრძნობლად შემსუბუქდება, თუ მიდგომა შეიცვლება და საქართველოს საელჩოები უცხოეთში თავის რეზიდენციებს კი არ იქირავებენ, არამედ შეისყიდიან.

ლაშა ჟვანიას თქმით, ამ საქმის პიონერია გერმანიაში საქართველოს საელჩო, რომლის შენობაც, თავის დროზე, კოტე გაბაშვილის ძალისხმევით, შესყიდულია და დღეს საქართველოს საკუთრებას წარმოადგენს. მალე იგივე "ბედი ელის" თურქეთში საქართველოს საელჩოსაც. კოტე გაბაშვილი გაკვირვებულია, თუ დღემდე რატომ ვერ მოხერხდა მოსკოვში საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს შენობების "გამოსყიდვა". როგორც ლაშა ჟვანია განმარტავს, ამ შემთხვევაში პრობლემას ქმნის ის, რომ ამ შენობების დოკუმენტაცია სრულყოფილი არ არის.

გუშინდელ საკომიტეტო მოსმენაზე კმაყოფილებით ისიც აღინიშნა, რომ საქართველოს საელჩოების "ქსელი" მალე კიდევ უფრო გაფართოვდება. საქართველო იქნება ბოლო პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საელჩოს გახსნის. მომავალი ელჩის, მიხეილ უკლებას ქებაში გუშინ ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კახა სიხარულიძე და საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი.

**"საქართველოს საგარეო უწყების ჩამოყალიბებასა და მის ფეხზე დაყენებაში მიხეილ უკლებას დიდი წვლილი მიუძღვის,"** - ასეთი შეფასებების შემდეგ, ალბათ, ბუნებრივი იყო, რომ კომიტეტის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ჩინეთში მიხეილ უკლებას "გამწესებას".

მომავალი ელჩის თქმით, 1993 წლის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფოს პირველი პირი ჩინეთში ვიზიტად აღარ ყოფილა. ქართველი პოლიტიკოსებიდან ამ ქვეყანას ბოლოს ზურაბ ჟვანია ეწვია პარლამენტის თავმჯდომარის რანგში. უკლება ვარაუდობს, რომ ამ "ხარვეზს" პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 2005 წელს "აღმოფხვრის".

# ახალი მინისტრთა კაბინეტი აფხაზურად

პირველი გვერდიდან

მის მიერ ხელმოწერილი ბრძანების შესაბამისად, მთავრობის სტრუქტურაში შედიან: პრემიერ-მინისტრი, ორი ვიცე-პრემიერი, თორმეტი სამინისტრო, ხუთი სახელმწიფო კომიტეტი, შვიდი სახელმწიფო სააგენტო და რვა სახელმწიფო ფონდი.

დე ფაქტო პრეზიდენტის ბრძანებულებით ლიკვიდირებულია ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის, კურორტებისა და ტურიზმის სამინისტრო. მის ფუნქციებს ინაწილებენ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და განათლების სამინისტრო.

ორი ახალი ვიცე-პრემიერი არძინბამ გუშინვე დანიშნა.

ვიცე-პრემიერად და საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია სერგეი შამბა, რომელიც ამ პოსტზე წლების განმავლობაში მუშაობდა და, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, რამდენიმე თვის წინ გადადგა.

3 ოქტომბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში სერგეი შამბა მესამე ადგილზე გავიდა. ხელახალ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი მას ჯერ არ დაუფიქსირებია.

მეორე ვიცე-პრემიერი კი ვიქტორ ხილჩევსკი გახდა, რომელიც მანამდე სახელმწიფო კომპანია "აფხაზეთის ავიახაზების" დირექტორის მოადგილე იყო.

არძინბამ არც მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელის პოსტი დაივიწყა და ეს თანამდებობა ოლეგ ბოციევს არგუნა; იუსტიციის მინისტრი კი უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი გენადი სტეფანოვი გახდა.

იუსტიციის ყოფილი მინისტრი ბატალ ტაბაღუა აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ამჟამად ყველაზე პრესტიჟულ და "საპასუხისმგებლო" თანამდებობას იკავებს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მეთაურობს, რომელმაც მომავალი წლის 13 იანვრამდე ხელახალი საპრეზიდენტო არჩევნები "სამაგალითოდ" უნდა ჩაატაროს.

გუშინ საღამოს ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის პარლამენტმა ხელახალი არჩევნების თარიღად 12 იანვარი დაადგინა. ამასთან, არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ამომრჩეველთა 30 პროცენტი.

*24 საათი*

# საშიში ლაბორატორია

*მიმდინარე წლის აგვისტოში საქართველოში ოფიცალური ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე რიჩარდ ლუგარი, რომელმაც ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ბიოლოგიური ნივთიერებების საცავების და ლაბორატორიების ფუნქციონირების შესახებ.*

ნინო ბერელიძე

ლაბორატორიის მშენებლობა ალექსეევკას სამხედრო ბაზაზეა დაგეგმილი და უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს.

**"იმ ფაქტს, რომ ლაბორატორიაში ჩატარდება გარკვეული კვლევები, ადასტურებს აშშ-ს მხრიდან ლაბორატორიის ტერიტორიის შერჩევა. მას უნდა ჰქონდეს მსხვილფეხა ცხოველთა სადგომი. ცხოველებზე განხორციელდება ექსპერიმენტები და გამოიცდება ისეთი მიკროორგანიზმები, რომლებსაც საგანგებოდ ამრავლებენ სამხედრო მიზნით. ეს ბაქტერიები, ვირუსები და სოკოები იწვევენ შავ ჭირს, ციმბირის წყლულს, ყვავილს, ქოლერას, ტულარემიას, რქოსანთა ჭირს, ბრუცელოზს და ა.შ. მსგავსი ნაგებობის აშენება ყოვლად დაუშვებელია იქ, სადაც, კილომეტრის რადიუსში მაინც, ტერიტორია დასახლებულია. ასეთ ადგილზე, ცხოვრება კი არა, გადაადგილებაც კი აკრძალულია. დაავადებული ცხოველების კრემაცია არ ხდება, რადგან ეს ბაქტერიები მაღალ ტემპერატურაზეც არ ნადგურდება და ამიტომ უნდა დაიმარხოს. 1000-კვადრატულმეტრიანი სანიტარული ზონის შიგნით ხვდება აეროპორტისა და ალექსეევკას დასახლებები, 1000-1500 ადამიანი. ჩვენ მოგვმართა მოსახლეობამ, რის საფუძველზეც მოხდა საკითხის შესწავლა. მინდა, პირობა მივცე მათ, რომ ეს შენობა არ აშენდება,"** - განაცხადა საქართველოს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარემ გიორგი გაჩეჩილაძემ.

"მწვანეები" მოითხოვენ, ხელისუფლებამ გამოაქვეყნოს აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმებული ის დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოეწერა; ასევე, უარი უნდა ითქვას ნებისმიერი დასახლებული პუნქტის მახლობლად ამგვარი ობიექტის მშენებლობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, "მწვანეები" უფლებას იტოვებენ, მიიღონ საქართველოსა და საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ყველა ზომა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო იმიჯისა და მოსახლეობის დასაცავად. კერძოდ, მიმართოს საპროტესტო აქციებს, სასამართლოს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, "გაერო-სა" და "ევროკავშირის" შესაბამის ორგანოებს.

## მოკლედ

### შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა მომავალ კვირას გაიმართება

ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა თბილისში მომავალ კვირას გაიმართება, - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ.

მისი თქმით, მორიგი სხდომა მიმდინარე კვირას იგეგმებოდა, თუმცა სამუშაო შეხვედრებზე გადაწყდა მისი არაუგვიანეს 22-23 დეკემბრამდე გამართვა.

### თბილისში ნატო-ს სამხედრო კომიტეტის გასვლითი სხდომა გაიმართა

"თქვენი მიღწევებით ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა. დარწმუნებული ვარ, ნატო-ში ინტეგრაციის საქმეში რამდენიმე სახელმწიფო სიამოვნებით დაგეხმარებათ," - განაცხადა ნატო-ს გენერალმა ფერენც კალმარმა თბილისში, სასტუმრო "ქორთიართ მარიოტში" ნატო-ს სამხედრო კომიტეტის გასვლითი სხდომის გახსნაზე, რომელსაც საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძეც დაესწრო.

სხდომაზე საქართველომ ნატო-ს პროგრამების ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებათა ანგარიში ჩააბარა, რამაც დელეგაციის წევრებში დიდი მოწონება დაიმსახურა.

"მათი დასკვნით, საკმაოდ ინტენსიურად ვმუშაობთ. სესიაზე აღინიშნა, რომ ნატო-ს ბევრ ქვეყანაზე უფრო აქტიურად ვმონაწილეობთ ნატო-ს ეგიდით განხორციელებულ მოქმედებებში," - განაცხადა შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსმა ვახტანგ კაპანაძემ.

შეხვედრაზე, აგრეთვე, საუბარი იყო სამხედრო სტრუქტურებში ცვლილებებისთვის გამოყოფილ თანხებსა და კორუფციასთან ბრძოლის მეთოდებზე.

ნატო-ს სამხედრო კომიტეტის 50-კაციანი დელეგაცია, რომელშიც 47 ქვეყნის წარმომადგენელია გაერთიანებული, თბილისს ორდღიანი ვიზიტით 15 დეკემბერს, გამთენიისას, სომხეთიდან ეწვია. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 2005 წელს "ჭიათურმანგანუმი" ჩინეთს 200 ათას ტონა მანგანუმის კონცენტრატს მიაწვდის. ხელშეკრულება ჩინეთსა და საქართველოს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ჭიათურმანგანუმი საპრივატიზაციო ნუსხაშია, უკვე გაფორმდა. "ჭიათურმანგანუმით" დაინტერესებულია რვა კომპანია და მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური ამნისტია შეეხება ყველას, მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირებსაც, თუ ისინი თავიანთი ქონების საქართველოს ეკონომიკაში რეინვესტირებას განახორციელებენ, - ასეთია შეთანხმება, რომელსაც მთავრობამ და პარლამენტმა ფინანსურ ამნისტიასთან დაკავშირებით მიაღწიეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარების მაჩვენებელი წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. როგორც პრაიმ-ნიუსს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემიდან" აცნობეს, მოხმარებული ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი ადგილობრივი გენერაციის ობიექტების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის წილად მოდის. "ელექტროსისტემის" ინფორმაციით, სამშაბათისათვის მოხმარებული 1 475 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგიიდან, 410 სომხეთიდან და რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიაა, ხოლო დარჩენილი 1 065 მეგავატი - ადგილობრივი ჰესების და თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული. ჰესების წილი გენერირებულ ელექტროენერგიაში 875 მეგავატია, ხოლო 190 მეგავატი - "თბილსრესის" მე-9 ენერგობლოკის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ავიაციის ადმინისტრაცია ხელს არ უწყობს უცხოელი მფრინავების დასაქმებას ქართველი მფრინავების შევიწროების ხარჯზე. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ, გიორგი მჟავანაძემ ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე. მჟავანაძის ეს განცხადება მფრინავთა ასოციაციის ხელმძღვანელის, ალბერტ ნურბეკიანის ბრალდებას მოჰყვა, რომელმაც ავიაციის ადმინისტრაცია ქართველი მფრინავების შევიწროებაში დაადანაშაულა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი IFAD 2005 წლიდან მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლების განვითარების პროგრამის ფარგლებში (საპილოტე რაიონებში) მცირე გადამამუშავებელი ხაზების გახსნას გეგმავს.

როგორც პრაიმ-ნიუსს არასამთავრობო ორგანიზაცია მთიანი რეგიონების განვითარების საერთაშორისო ასოციაციიდან (MADI) აცნობეს, მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის განვითარების პროგრამა 4 საპილოტე რაიონში - ასპინძა, ახალციხე, შუახევსა და დუშეთში ხორციელდება. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა - კარგი მუსიკის რადიო

FM 107.4

რადიო შოუ როკი და ფეხბურთი

"როკ მუსიკის მოყვარულთა ფან-კლუბმა ჩვენზე დიდი გავლენა იქონია"

ყოველ საუბბურით ჩემპიონატებს,სათამაშო თამაშებს; მიმდინარე,დასრულებული და დაგეგმილი მატჩების შედეგები - როკი და როკი ქართულად. ყველაფერი პირდაპირ ეთერში; შაბათ-კვირას,ექვსიდან - ღამის 2-საათამდე - როკი და ფეხბურთი მწვანე ტალღაზე

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე 32-43-46; 32-43-47






12 დეკემბრის გადაცემის სტუმრები - როკ-ჯგუფ "პანდორას" წევრები:

**მიშა ანდრიაძე** - გიტარისტი
**გიორგი ცერცვაძე** - ბასგიტარისტი
**გოგა გელაშვილი** - დრამერი

**გოგა გელაშვილი:** "როკი ჩემთვის ორი ჯგუფით - "აეროსმიტითა" და "მეტალიკათი" შემოიფარგლებოდა. ფან-კლუბში გაერთიანების შემდეგ უამრავი რამ შევიტყვე. ჯგუფი "პანდორას" წევრებმა აქ გავიცანით ერთმანეთი, შედეგი კი პირველი სიმღერაა, რომელიც მგონი ცუდი არ გამოგვსვლია."

**მიშა ანდრიაძე:** "სიმღერის დაწერაში ყველამ თანაბარი მონაწილეობა მივიღეთ. ჯგუფი ექვსიოდე თვის წინ შეიქმნა. პრაქტიკულად ყველა მუსიკოსი თვითნასწავლია და დახვეწას საჭიროებს, რაც მომავალ სიმღერებში აუცილებლად გამოჩნდება. უკვე ჩაფიქრებულია სიმღერა, რომლებსაც ისევ ირაკლი ზიბზიბაძის სტუდიაში ჩავწერთ."

**გიორგი ცერცვაძე:** "როკი იმდენად მრავალფეროვანი მუსიკაა, რომ "პინკ ფლოიდის", კურტ კობეინისა და "ქუინის" მოსმენა თანაბარ სიამოვნებას მანიჭებს."

# აფერხებს თუ არა რეფორმებს ხშირი ცვლილებები?

პირველი გვერდიდან

ხდება ცვლილებების "მორგება", რაც სერიოზულ რეფორმებს დისკრედიტაციას უკეთებს.

ხშირად გადანაცვლებები ისე ხდება, საზოგადოებას ეჭვი უჩნდება, რომ კონკრეტულმა თანამდებობის პირმა ვერ გაამართლა. ხელისუფლებას ამის აღიარება და თანამდებობის პირის გაგდება არ უნდა. ამიტომ რაღაც გაურკვეველ გადანაცვლებადობას ახდენს.

უკეთესი იქნებოდა, სერიოზული ცვლილებები ქვეყანაში გააზრებული იყოს და მასში საზოგადოებაც აქტიურად ჩაერთოს. ეს ბევრ არასასურველ მითქმა-მოთქმას აგვაცილებდა თავიდან. კონკრეტულად, ვგულისხმობ სამართალდამცველ და უსაფრთხოების სისიტემაში მიმდინარე რეფორმებს. ჯერჯერობით, იმის გამო, რომ ბევრი რამ გაუმჭვირვალეა, გაუგებარია, საითკენ მივდივართ - შინსახკომს ვაყალიბებთ თუ გამოძიების ფედერალურ ბიუროს. საჭიროა მეტი საზოგადოებრივი დისკუსია ამ თემებზე.

იმედი მინდა ვიქონიო, რომ ეს ყველაფერი მაინც წინწადგმული ნაბიჯი იქნება. მაგრამ მას აუცილებლად უნდა მოჰყვეს სხვა ნაბიჯები. პირველ რიგში კი - პოლიციის დეცენტრალიზება, ადგილობრივი პოლიციების შექმნა. დაახლოებით ერთი თვის წინ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მსგავსი რამ მალე მოხდება. პროცესი აუცილებლად უნდა დაჩქარდეს. ამის დაჩქარება, თავისთავად, სხვა რეფორმებთან არის კავშირში, პირველ რიგში - თვითმმართველობის ჩამოყალიბებასთან და ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან.

**გია ნოდია**
*კავკასიის ინსტიტუტი:*

გასაკვირი არ არის, რომ ამ ხელისუფლებაში საკმაოდ ხშირად ხდება საკადრო ცვლილებები. ეს ხელისუფლება არ არის დამდგარი, დალვინებული. დროდადრო კონკრეტული თანამდებობის პირების მოღვაწეობით არ არის კმაყოფილი პრეზიდენტი, ზოგ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრიც.

რაც შეეხება ცვლილებათა ინსტიტუციონალურ ნაწილს, ვერ ვიტყვი, რომ ამით აღფრთოვანებული ვარ. სამოქალაქო ინტეგრაციის სტრუქტურა რომ შეიქმნა, კარგია. სახელმწიფოში მისი არსებობა საჭირო იყო. რაც შეეხება შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების შერწყმას, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად ვუყურებ. ამ ორ უწყებას მაინც სხვადასხვა ფუნქციები აქვს. გარდა ამისა, ჩემთვის ცოტა გაუგებარია ეკონომიკის სამინისტროს ორად გაყოფა.

აღნიშნული ინსტიტუციონალური ცვლილებები ყველასთვის მოულოდნელად მოხდა. საზოგადოება საამისოდ არანაირად არ იყო მომზადებული. გავიხსენოთ: ბენდუქიძე ამბობდა, ეკონომიკის სამინისტრო საერთოდ უნდა გავაუქმო, პრივატიზაციას რომ მოვრჩებიო. ახლა უცებ ამ სამინისტროს ბაზაზე ორი ერთეული ყალიბდება. ამგვარი რამ, ბუნებრივია, ხელისუფლების მოქმედებებში გაურკვევლობას იწვევს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ცვლილებებს პიროვნული ფაქტორი განაპირობებს.

# შეფასებები



რესპუბლიკური პარტიის წევრი, პარლამენტარი ლევან ბერძენიშვილი საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში მიმდინარე სტრუქტურულ და საკადრო ცვლილებებს, საერთო ჯამში, დადებითად აფასებს, თუმცა გარკვეული შენიშვნები მაინც აქვს.

როგორც ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, მისთვის სამინისტროების გაერთიანება მისაღებია. რაც შეეხება თავად მინისტრების გადაადგილებას, ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ თავდაცვის მინისტრად ირაკლი ოქრუაშვილის დანიშვნა მართლაც "ძალზე სერიოზული და კარგი ფაქტია".

"ჩვენთვის ირაკლი ოქრუაშვილის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა მისაღებია იმ თვალსაზრისით, რომ იგი არა მტრედი, არამედ ქორია და სამხედრო მინისტრი სწორედ ქორი უნდა იყოს. რაც შეეხება სახელმწიფო მინისტრების ბედს, ვერც ერთს ვერ გამოვეკიდები და ვერ ვიტირებ. მე მგონი, სამივე მათგანი უსაქმოდ იყო. მე პირადად არც გურამ აბსანძის, არც თამარ ბერუჩაშვილისა და არც ჯამბულ ბაკურაძის მიერ გაკეთებული საქმე არ მახსოვს," - აცხადებს პარლამენტარი.

"რესპუბლიკელებს" გარკვეული კითხვები აქვთ გიორგი ბარამიძესთან დაკავშირებითაც.

ლევან ბერძენიშვილის თქმით, ადგილი, რომელსაც ბარამიძეს სთავაზობენ, კარგი სახელითა და ხელფასით გამოირჩევა, მაგრამ არა სათანადო პასუხისმგებლობითა და ვალდებულებებით.

"ეს, უბრალოდ, ბარამიძის პოლიტიკიდან ვერგაშვების კომპენსაციაა, და რატომ ვერ უშვებენ მას პოლიტიკიდან, არ ვიცი," - აცხადებს ბერძენიშვილი.

"რაც შეეხება კახა ბენდუქიძეს, ის თანამდებობა, რომელსაც მას სთავაზობენ, თუ რეალური ფუნქციის მატარებელი არ არის, ბენდუქიძე მას 3-4 დღის განმავლობაში თავს დაანებებს, რადგან იგი ის კაცი არ არის, რომელსაც სკამი უნდოდა," - განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■



საქართველოს მთავრობაში მიმდინარე სტრუქტურული და საკადრო რეფორმები "იმ სანახაობის ნაწილია, რომელსაც ხელისუფლება მოსახლეობას ჯერ კიდევ სთავაზობს," - აცხადებს საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი ირაკლი იაშვილი.

იაშვილის აზრით, "იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამჟამად ხელისუფლებაში, 3-4 კაცის გარდა, საქმის კეთება არავის შეუძლია, ან შესაბამისი განათლება არ გააჩნიათ."

"ხელისუფლება მოსახლეობას ჯერ ისევ სანახაობას სთავაზობს სტრუქტურული ცვლილებების სახით, თუმცა შედეგი როდის იქნება, ამაზე არავინ ფიქრობს. გაურკვეველია, როდის მიხვდება საზოგადოება, რომ შედეგს არ უნდა ელოდოს, რადგან ამის მიღწევას საქმის კეთება სჭირდება," - აღნიშნა მან.

კვლავ უცნობია, დაუჭერს თუ არა "მემარჯვენე ოპოზიცია" სტრუქტურულ ცვლილებებს მხარს. როგორც ირაკლი იაშვილმა განაცხადა, ამისათვის ოპოზიციურ ფრაქციას დამატებითი არგუმენტების მოსმენა დასჭირდება. "შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების გაერთიანების იდეა ჯერ კიდევ 1999 წელს არსებობდა. მაშინ ამ რეკომენდაციას ამერიკელები შევარდნაძის ხელისუფლებას აძლევდნენ. ეს ცვლილებები, რა თქმა უნდა, რაციონალურია, მაგრამ დამატებითი არგუმენტების მოსმენა აუცილებელი იქნება," - დასძინა მან.

მთავრობაში განსახორციელებელი ცვლილებების მხარდასაჭერად საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს დღეს მიმართავს. **ინტერ-პრესი**



■ ■ ■

პარტია "თავისუფლების" ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია არ მიესალმება პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებლის მიხეილ სვიმონიშვილის სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნას და აცხადებს, რომ მას პარატიის წევრობა შეჩერებული აქვს.

"მე ოპოზიციური პარტიის ლიდერი ვარ და ამიტომ მთავრობაში სვიმონიშვილის დანიშვნას არ მივესალმები. მინისტრობაზე თანხმობა - ეს მისი პირადი გადაწყვეტილება იყო და ჩემთან შეთანხმებული არ ყოფილა," - აღნიშნა გამსახურდიამ.

იგივეს ადასტურებს თავად სოფლის მეურნეობის ახლად დანიშნული მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილიც, თუმცა მიაჩნია, რომ ამ პოსტზე მუშაობით ქვეყნისთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია. **მედია-ნიუსი**



■ ■ ■

პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეებისთვის" თავდაცვის მინისტრის პოსტზე ირაკლი ოქრუაშვილის დანიშვნა კატეგორიულად მიუღებელია. "მემარჯვენეები" მიიჩნევენ, რომ ოქრუაშვილის ამ პოსტზე გადაყვანა "სახელმწიფოსთვის სახიფათოა".

"ახლების" წარმომადგენლის ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, "მინისტრების პოსტიდან პოსტზე გადაადგილება და ახალი თანამდებობების შექმნა ჟვანიას და სააკაშვილის საკადრო პოლიტიკის გამოვლინებაა."

მისი თქმით, "მემარჯვენეებისთვის" "აბსოლუტურად გაუგებარია, როდესაც სახელმწიფოს პირველი პირები ლიბერალურ პოლიტიკაზე საუბრობენ და, იმავდროულად, კახა ბენდუქიძე ეკონომიკის სამინისტროდან, პრაქტიკულად, ენ-ჯე-ოს ხელმძღვანელად გადაჰყავთ."

საკადრო გადაადგილებებთან და მთავრობის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით ხელისუფლების არგუმენტებს "მემარჯვენეები" სუსტად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ მინისტრთა კაბინეტში განხორციელებული გადაადგილებები "მხოლოდ შიდა ინტრიგების განმუხტვას ემსახურება."

*თამარ ხორბალაძის სვეტი*

# მახსოვს

ახალი დარბაზი, ახალი მაგიდა, ახალი პრეზიდენტი...

ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რომ სახელმწიფო კანცელარიაში აღარც კედლები, აღარც დარბაზი, აღარც მაგიდა, აღარც საათი, აღარც ადამიანები აღარ გვაგონებდნენ ძველს, მაგრამ... მახსოვს.

მახსოვს, ამ დარბაზში (სხვანაირში, მაგრამ მაინც ამაში) პრესას და ჟურნალისტებს გვსაყვედურობდა, რომ ვერ ვხედავდით ათი წლის მანძილზე მიღწეულ წარმატებას, ეკონომიკურ წინსვლას, შუქს გვირაბის ბოლოს;

მახსოვს, ამბობდა, რომ მედიას აკლია პროფესიონალიზმი და მასშტაბური ხედვა, რომ არ გვესმოდა ნატო-ს კარზე მიკაკუნების ხმა, რომ ვერ ვაფასებდით ხელისუფლების მცდელობებს;

მახსოვს, თითქმის გულწრფელად ბრაზდებოდა იმაზე, რომ ყველა ფაქტში ვეძებდით უარყოფით მხარეს, რომ იმართებოდა დებატები "უმნიშვნელო" თემებზე;

მახსოვს, როგორ დაძველდა რუსეთიდან ჩამოყვანილ ექსსაგარეო საქმეთა მინისტრზე დამყარებული იმედები და როგორ ჩაგვემსხვრა ხელში 90-იანი წლების დასაწყისში შექმნილი მითი ედუარდ შევარდნაძეზე;

მახსოვს, როგორ ვამბობდით, რომ დაბერდა, რომ უკვე მარაზმშია გადავარდნილი, რომ გრძნობს საპრეზიდენტო დასასრულის მოახლოებას, რომ ირგვლივ ყველაფერი დალპა, რომ ახალი უნდა მოვიდეს;

მახსოვს, რომ ამ ყველაფერს ვამბობდით და ვწერდით.

მახსოვს, როგორი არაპროგნოზირებადი და არაორდინალური იყო ახალგაზრდა პარლამენტარი, მინისტრი, საკრებულოს თავმჯდომარე მიშა სააკაშვილი - სრულიად საწინააღმდეგო იმისაგან, რასაც ამ ხავსმოკიდებულ სახელისუფლებო დერეფნებში ვხედავდით;

მახსოვს, როგორ მიდიოდა მიზნისკენ, როგორ არღვევდა ყველანაირ წინააღმდეგობას, როგორი რადიკალური იყო და როგორი კრიტიკული არსებულზე საუბრისას;

მახსოვს, როგორ ამბობდა, რომ ჟურნალისტები არიან გმირები, რომ მათ გარეშე რევოლუცია წარმოუდგენელი იქნებოდა, როგორ უხდიდა მედიას მადლობას...

მახსოვს.

დღეს ის ახალგაზრდა პარლამენტარი, მინისტრი, საკრებულოს თავმჯდომარე, რევოლუციონერი ახალგაზრდა პრეზიდენტია.

გუშინ მთავრობის სხდომა იყო და ახალი მინისტრებით "შევსებულ" ახალი მთავრობის სხდომას უძღვებოდა.

ახალგაზრდა პრეზიდენტი მედიას გუშინ საყვედურობდა, რომ "აკლიათ პროფესიონალიზმი", რომ "ორლობეებში სასაუბროდ ხდიან სამთავრობო საქმეებს", რომ "ჟურნალისტები არ ინტერესდებიან მთავარით და არსებითით," რომ მსჯელობენ მხოლოდ "კულუარებზე და ბინძურ ჭორებზე," რომ "არ წერენ იმაზე, თუ ვის რა შეუძლია გააკეთოს ქვეყნისთვის," რომ "უყვართ ნაბანი წყლისთვის ბავშვის გადაყოლება"...

გუშინ, ახალგაზრდა პრეზიდენტი, რომელსაც ჯერ კიდევ ყველა შანსი აქვს, საქართველოს ისტორიაში "დემოკრატ" და "ევროპელ" პრეზიდენტად შევიდეს, მედიას რატომღაც იმაზე ესაუბრებოდა, თუ რაზე უნდა გააკეთოს აქცენტები, რა უნდა წეროს, რომელი თემა აირჩიოს.

გუშინ, ახალგაზრდა პრეზიდენტის გამოსვლამ დამსწრე ჟურნალისტთა მრავლისმნახველ უმრავლესობას "მწარე მოგონებები" აღუძრა - პარალელებისგან ღმერთმა დაგვიფაროს (ძველსა და ახალ პრეზიდენტს შორის პარალელის ბოლომდე გასავლებად კალამი, რა ვქნა, არ მიბრუნდება), თუმცა ჟურნალისტურ "კულუარებში" ამბობდნენ, რომ ახსოვთ...

გუშინ მედიას ეთერში პრეზიდენტის დამრიგებლურ ტონზე, იმაზე, რომ "ახსოვთ", იმაზე, რომ მისგან მეტს მოელიან, განსაკუთრებული აქცენტები არ გაუკეთებია.

რატომღაც მგონია, რომ უფრო სახიფათო დღევანდელი მედიის სწორედ ეს სიჩუმე და გაუკეთებელი აქცენტებია და ის მიზეზები, რომელიც ამ ტენდენციის არსებობას უზრუნველყოფს და არა ის, რომ ახალგაზრდა პრეზიდენტს მედიამ "გული ატკინა," გნებავთ, "იმედები გაუცრუა." ეს გრძნობა, შესაძლოა, ორმხრივიც იყოს. ამის გამოსწორება, რატომღაც, ვფიქრობ, კიდევ შეიძლება, თუ... ჩვენს პრეზიდენტს დავესესხები: თუ "უფრო პროფესიონალურები ვიქნებით" ჩვენ-ჩვენს ადგილებზე და "წვრილმანებზე არ დავიხარჯებით."

# მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა სტაბილურია?!

პირველი გვერდიდან

თუმცა, აქვე საკმაოდ დიდი დრო მოანდომა გია ბარამიძესა და ირაკლი ოქრუაშვილს შორის არსებული წინააღმდეგობის შესახებ ხმების უარყოფას და დასძინა, რომ **"ზურაბ ჟვანიას არყოფნისას მთავრობის სხდომებს სახელმწიფო მინისტრის პოსტზე წარდგენილი გიორგი ბარამიძე წარუძღვება."** ბარამიძემ პრეზიდენტისაგან ასევე პრობლემების ადგილებზე გადაჭრის დავალება მიიღო.

მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა პარლამენტს დასამტკიცებლად მომავალ კვირას წარედგინება. ამის შესახებ კი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობა პარლამენტში ახალი სამოქმედო პროგრამით წარდგება, რომლის მთავარი მიმართულებები იქნება საქართველოს ნატო-ში და ევროკავშირში ინტეგრაცია, რეფორმების გატარება ქვეყნის შიგნით, ეკონომიკის დერეგულაცია და მისი თავისუფალი განვითარების ხელშეწყობა.

ჟვანიას დავალებით, მთავრობის ახალ სამოქმედო პროგრამაზე, სხვა მინისტრების დახმარებით, ეკონომიკის ექსმინისტრი და ამჟამად სახელმწიფო მინისტრის პოსტზე წარდგენილი კახა ბენდუქიძე იმუშავებს.

რაც შეეხება მთავრობის სხდომის გუშინდელ სამუშაო დღის წესრიგს: ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, 2005 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები მიმდინარე წლის დასრულებამდე კიდევ ერთხელ შეიცვლება.

ნოღაიდელის განმარტებით, მიმდინარე წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 101 მლნ 300 ათასი ლარით გაიზრდება, საიდანაც 85 მლნ ლარი შემოსავლების ზრდის და 16,3 მლნ ლარი გრანტების ზრდის ხარჯზე მოხდება.

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, გაზრდილი შემოსავლები თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს დაფინანსებას და დავალიანებების გასტუმრებას მოხმარდება. გარდა ამისა, 11,5 მლნ ლარი ენერგეტიკის სექტორის დაფინანსებას მოხმარდება.

ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი პარლამენტს დასამტკიცებლად უახლოეს დღეებში წარედგინება. მიმდინარე წლის ბიუჯეტის კორექტირება ზაფხულშიც განხორციელდა, როდესაც ბიუჯეტის ხარჯვითი და შემოსავლითი ნაწილი 270 მლნ ლარით გაიზარდა.

EPRC
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი
0179, თბილისი, საქართველო, [illegible] 1/6
ტელ/ფაქსი (995 32) 92 25 51 www.eprc.ge

საბიუჯეტო მონიტორინგი

# დეკემბრის ციებ-ცხელება ფინანსთა სამინისტროში

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 13 დეკემბრის მონაცემების ჩათვლით, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულია 135,63 მლნ ლარი, რაც, შეიძლება ითქვას, მიმდინარე წლის რეკორდული მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ აქედან, 40 მლნ ლარი არის კაპიტალური ხარჯების ანუ თბილავიამშენის პრივატიზებიდან შემოსული თანხა, წლის ბოლომდე ჯამში ნავარაუდევია 50 მლნ ლარის მობილიზება თბილავიამშენის პრივატიზებიდან. თუ დავაჯამებთ - ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის 11 თვის საპროგნოზო მაჩვენებლებსა და ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებელს შორის განსხვავება 323,17 მლნ ლარი გამოდის. ამ პროგნოზის თანახმად, ფინანსთა სამინისტრო ამ თანხის 323,17 მლნ ლარის ამოღებას დეკემბრის თვეში ვარაუდობდა. ანუ ეს ნიშნავს, რომ ფინანსთა სამინისტრო ხელოვნურად ახდენდა ყოველთვიური საპროგნოზო მაჩვენებლის დაწევას, რათა თვის ბოლოს მისი მუშაობის შედეგები გადაჭარბებით წარმოჩენილიყო - ეს პრაქტიკა გრძელდებოდა ყოველთვიურად და ამის თაობაზე ჩვენ არაერთხელ გავამახვილეთ მკითხველის ყურადღება.

| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გეგმა 2004 წელი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საბაჟო დეპარტამენტი | საგადასახადო დეპარტამენტი | არასაგადასახადო შემოსავლები | გრანტები | კრედიტები | სულ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები |
| წლიური გეგმა კანონით (მლნ ლარი) | 491.60 | 706.38 | 338.01 | 119.04 | 271.14 | 1926.17 |
| წლიური გეგმა ახალი (მლნ ლარი) | 524.60 | 709.10 | 256.60 | 119.04 | 316.83 | 1926.17 |
| 12 თვე ფაქტი (მლნ ლარი) | 538.49 | 720.47 | 230.85 | 45.21 | 159.24 | 1694.26 |
| 12 თვე ფაქტი (პროცენტი) | 103% | 102% | 90% | 38% | 50% | 88% |
| წლის ბოლომდე შესასრულებელი (მლნ ლარი) | 13.89 | 11.37 | -25.75 | -73.83 | -157.59 | -231.91 |




თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფო ბიუჯეტის 11 თვის რეალურ შესრულებას, წლიური ბიუჯეტის შესასრულებლად თვის ბოლომდე საჭიროა 217,10 მლნ ლარის მობილიზება. როგორც წინა ანალიზის შედეგებმა გვიჩვენა, საბაჟო დეპარტამენტს წლიური გეგმა გადაჭარბებული ჰქონდა, საგადასახადო დეპარტამენტი კი ახლოს იყო გეგმის შესრულებასთან, მაგრამ როგორც ხაზინიდან მოწოდებული მონაცემებით ირკვევა, შეცვლილია საბაჟო დეპარტამენტისა და არასაგადასახადო შემოსავლების წლიური გეგმები, რაც საკმაოდ დამაფიქრებელია, რადგანაც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერჯერობით, პარლამენტს არ მიუღია დამატებით რაიმე ცვლილებები ბიუჯეტის კანონთან მიმართებაში. საბაჟოს წლიური გეგმა, ნაცვლად 491,6 მილიონი ლარისა, არის 524,6 მილიონი ანუ გაზრდილია 33 მლნ ლარით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 13 დეკემბრის მონაცემებით, საბაჟოს წლიური გეგმა გადაჭარბებულია 14 მლნ ლარით, ხოლო საგადასახადოს გეგმა გაზრდილია 2,7 მლნ ლარით, მაგრამ უკვე გადაჭარბებულია 11,4 მლნ ლარით. რაც შეეხება არასაგადასახადო შემოსავლებს, ის შემცირებულია 81,4 მლნ ლარით, მაგრამ წლიური გეგმის შესრულებას მაინც აკლია 25,7 მლნ ლარი. რაც შეეხება გრანტების გეგმას - მის შესრულებას აკლია 74 მლნ ლარი. ხაზინის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გამოდის, რომ ბიუჯეტის დეფიციტი 46 მლნ ლარით გაიზარდა, ანუ ჯამში ბიუჯეტის დეფიციტი 316,8 მლნ ლარია. ალბათ, საინტერესო იქნება, რა წყაროებით მოხდება ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება. ამიტომაც, ძალზე საეჭვოდ გვეჩვენება სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებული ეს ცვლილებები, რადგანაც პარლამენტს ამ ცვლილებების თაობაზე, ჯერჯერობით, არ უმსჯელია.

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს - წლის ბოლომდე ბიუჯეტიდან გასაწევია 291,344 მლნ ლარის ხარჯი. ანუ დაფინანსებულია მთლიანი ხარჯების 85 პროცენტი, რაც ნამდვილად სახარჯო პოლიტიკის არასწორი დაგეგმვით არის გამოწვეული. ყურადღებას გავამახვილებთ ერთ გარემოებაზე, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტში არსებობს ასეთი პუნქტი - "სხვა საქონელი და მომსახურება", სადაც გაწეული ხარჯები 106 მლნ ლარით (86 პროცენტით) აღემატება წლიურ გეგმას, მაშინ, როდესაც მუშა-მოსამსახურეთა დაფინანსება 81 პროცენტით არის დაფინანსებული, სუბსიდიები და მიმდინარე ტრანსფერები მხოლოდ 72 პროცენტით არის დაფინანსებული, ხოლო ძალოვანი სტრუქტურების კვების ხარჯები - 88 პროცენტით. ყოველივე აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ 2004 წლის ბოლომდე ფინანსთა სამინისტროს უწევს ბიუჯეტის ცვლილებების თაობაზე ახალი კანონის შეტანა პარლამენტში - ფაქტობრივად, პოსტ-ფაქტუმ, რაც წარმოადგენს მცდელობას, რომ თავისი საქმიანობა როგორმე კანონის ფარგლებში მოაქციოს.

ინტელექტბანკი
INTELLECTBANK
https://www.onlinebanking.ge
www.intellectbank.ge
განახორციელეთ საბანკო ოპერაციები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, 24 საათის განმავლობაში
ინტელექტბანკის ონლაინ ბანკი - ბანკთან ურთიერთობის ყველაზე კომფორტული, უსაფრთხო და მოსახერხებელი საშუალება
ონლაინ ბანკი არის პროგრამა, რომლის საშუალებითაც თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს, მსოფლიოს ნებისმიერი ინტერნეტში ჩართული კომპიუტერიდან აწარმოოთ სხვადასხვა სახის საბანკო ოპერაციები:
- განახორციელოთ სალარე და სავალუტო გადარიცხვები ნებისმიერი მიმართულებით;
- მყისიერად გადარიცხოთ თანხები საკუთარ ანგარიშებს შორის;
- აწარმოოთ საკონვერსიო ოპერაციები;
- დაათვალიეროთ ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციები და არსებული ნაშთები;
- დაათვალიეროთ ვალუტის კურსები ნებისმიერი პერიოდისთვის;
- და მრავალი სხვა
ონლაინ ბანკით სარგებლობის პირველი თვე უფასოა
შემდგომი მომსახურების ღირებულება შეადგენს:
იურიდიული პირებისათვის
- აქტიური ოპერაციების წარმოება, თვეში 15 ლარი;
- პასიური ოპერაციების წარმოება, თვეში 5 ლარი
ფიზიკური პირებისათვის
- აქტიური ოპერაციების წარმოება, თვეში 10 ლარი;
- პასიური ოპერაციების წარმოება, თვეში 5 ლარი
ინტელექტბანკის ონლაინ ბანკი - საბანკო ოპერაციები ოფისიდან ან სახლიდან გაუსვლელად
დაგვიკავშირდით მისამართზე:
დავით აღმაშენებლის გამზ. 127; ტელ: 237164, 237165, 237166

## ახალი მინისტრები ეკონომიკურპროფილიან სამინისტროებში

მას შემდეგ, რაც მთავრობის სხდომის მრგვალ მაგიდასთან ახალი მინისტრები ძველ სამთავრობო სკამებს მოერგნენ და პირველი სამთავრობო ნათლობაც მიიღეს, პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ლექსო ალექსიშვილი და მიხეილ სვიმონიშვილი უკვე ეკონომიკური განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებში წარადგინა.

პრემიერ-მინისტრმა ეკონომიკური განვითარების ახალი მინისტრის მუშაობის მთავარ პრიორიტეტად ყოფილი მინისტრის, კახა ბენდუქიძის მიერ დაწყებული პრივატიზაციის პროცესის გაგრძელება დაასახელა.

**"კახა ბენდუქიძის ახალ სამსახურში გადასვლა მისი მუშაობის რევიზიას არ ნიშნავს,"** - აღნიშნა ჟვანიამ და დასძინა, რომ ალექსიშვილის განათლება იმის წინაპირობაა, რომ იგი კარგი ხელმძღვანელი იქნება. მისი თქმით, ალექსიშვილი **"უშუალო მონაწილეა საქართველოს ეკონომიკური სამზარეულოსი. მართალია, ის არ იღებდა გადაწყვეტილებებს, მაგრამ აქტიურად იღწვოდა კონკრეტული პროექტების განხორციელებისთვის. იმედი მაქვს, რომ ალექსიშვილის პიროვნული თვისებებიდან და განათლებიდან გამომდინარე, ის სამინისტროს წარმატებას უზრუნველყოფს,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ზურაბ ჟვანიას თქმით, ახალი მინისტრის პირობებში ძველი პრიორიტეტები რჩება - პირველი პრიორიტეტი, ისევე, როგორც მთელი მთავრობისა, აგრესიული პრივატიზაცია იქნება: **"2005 წელს სასწრაფო პრივატიზაცია განხორციელდება. ჩვენ გვაქვს კონკრეტული სერიოზული წინადადებები. საქართველოში აღარ მოხდება სახელმწიფო ქონების მზესუმზირის ფასად გასხვისება - ისე, როგორც თავის დროზე "თელასი" გასხვისდა,"** - დასძინა პრემიერ-მინისტრმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხეილ სვიმონიშვილის წარდგენისას კი პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ პოსტზე ისეთი ადამიანის დანიშვნა, რომელიც ამ სფეროში წარმატებული ბიზნესმენი იყო და სისტემაში მიმდინარე პროცესებს გარედან ადევნებდა თვალყურს.

**"ჩემი, როგორც პრემიერ-მინისტრის საქმიანობაში ერთ-ერთ ძირითად ადგილს სვიმონიშვილისადმი მხარდაჭერა დაიკავებს,"** - დასძინა ჟვანიამ, რომელმაც ყოფილ მინისტრს დავით შერვაშიძეს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

*24 საათი*

ორი სიტყვით

**თბილისი.** ფინანსური ამნისტიის იმ ვარიანტს, რომლის თანახმადაც, ამნისტია მაღალი თანამდებობის პირებსაც შეეხება, თუკი ისინი თავიანთი ქონების საქართველოს ეკონომიკაში რეინვესტირებას განახორციელებენ, არ ეთანხმება ეკონომიკის ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი. მისი თქმით, ეს ფორმულირება "რეინვესტირების" ცნების დისკრედიტაციაა, რადგან რეინვესტირება ნიშნავს ინვესტიციიდან მიღებული თანხების ისევ იმ საქმეში დაბრუნებას, საიდანაც ეს თანხები იქნა მიღებული. სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, თუ ფული მოპარულია, მაშინ როგორ უნდა მოხდეს ამ თანხის რეინვესტირება? აქედან გამომდინარე, ხელისუფლება და ფინანსური ამნისტიის პროექტის შემქმნელები ან ამ ტერმინოლოგიაში ვერ ერკვევიან ან ხაზინის ქურდებს იმის საშუალებას აძლევენ, რომ ხაზინიდან მოპარული თანხებით ისევ გააძლიერონ საკუთარი ბიზნესი. **მედია-ნიუსი**

## ს.ს. "თელასი" შეისყიდის:

1. გოგირდმჟავა - **200ლ**
2. ამძრავი ММО-110 - (ЗПМ-70000) - **2ც**
3. პონ-ის ამძრავი МЗ-2 - **2ც**
4. პონ-ის ამძრავი МЗ-4 - **2ც**
5. შემყვანი МКП-35 - **6ც**
6. შემყვანი С-35 - **6ც**
7. შემყვანი ВМ-35 - **6ც**
8. მცლელები РВС-35 - **6ც**
9. მცლელები РВС-110 - **9ც**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

წერილის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 21 დეკემბერი.

# საქართველოს რკინიგზა მომავლისათვის ემზადება

საქართველოს რკინიგზის წინაშე მრავალი რთული ამოცანა დგას და მან მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა განახორციელოს, რათა ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს საქართველოს აღმშენებლობის გზაზე.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შენელებული ტემპები, მოძველებული მოწყობილობები და ტვირთნაკადების სიმცირე სირთულეებს უქმნის საქართველოს რკინიგზIს გამართულ ფუნქციონირებას. რკინიგზის როლი მნიშვნელოვნად შესუსტდა. ემსახურება რა ცენტრალიზებულად კავკასიის რეგიონს (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო), საქართველოს რკინიგზა ამ ეტაპზე იქცა საკმაოდ მცირე მოცულობის სისტემად, რომელიც მხოლოდ საქართველოს საზღვრებში ახორციელებს მის უფლება-მოვალეობებს. დღეს არსებული სატვირთო გადაზიდვები ძირითადად შავი ზღვის ნავსადგურებსა და კასპიის რეგიონის სატრანზიტო გადაზიდვებზე არის ორიენტირებული.

საქართველოს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა ბატონმა დავით ონოფრიშვილმა თავის ამასწინდელ სატელევიზიო გამოსვლაში ისაუბრა იმ ფაქტორებზე, რომლებიც რკინიგზის ფუნქციონირებაზე ახდენს ზეგავლენას. მან აღნიშნა, რომ რკინიგზა ახლა იმკის ათი წლის განმავლობაში მიმდინარე ინფრასტრუქტურის რღვევისა და მოძრავი შემადგენლობის ამორტიზაციის შედეგებს. ბატონმა დავითმა ასევე აღნიშნა, რომ რკინიგზა აქტიურად ანხორციელებს აღმშენებლობით საქმიანობას.

საქართველოში რკინიგზა აღარ ითვლება ერთადერთ და "უალტერნატივო" შესაძლო გადამზიდავ საშუალებAდ. მაგალითად, მას შეიძლება ჩაენაცვლოს კასპიის აუზის ნავთობის გადამზიდავი სარკინიგზო მარშრუტები ირანისა და რუსეთის გავლით. ამავდროულად, ახალი მშენებარე ნავთობსადენი, სხვა დაგეგმილი მარშრუტები ასევე განახორციელებს ნავთობის გადაზიდვას. ზემოთ ჩამონათვალთაგან ყოველი მათგანი წარმოადგენს საქართველოს რკინიგზით ნავთობის სახმელეთო გადაზიდვების ალტერნატივას. იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ამ მნიშვნელოვანი სატრანსპორტო საშუალების საბაზრო როლი, რკინიგზამ უნდა გააუმჯობესოს მისი მომსახურების სფერო უკეთესი ინფრასტრუქტურის შექმნით, მოძრავი შემადგენლობის გაუმჯობესებით, დანახარჯების იმგვარი შემცირებით, რომ ტარიფები კონკურენტულ მარშრუტებზე კონკურენტუნარიანი იყოს.

კონტეინერებით ტვირთგადაზიდვები ასევე სწრაფად მზარდ სფეროს წარმოადგენს. რამდენადაც საქართველო და სხვა ქვეყნები აუმჯობესებენ მაგისტრალური გადაზიდვების სისტემებს, კონტეინერებით სატვირთო გადაზიდვების განხორციელება საკმაოდ პრაქტიკული ხდება. თუკი საქართველოს რკინიგზას სურვილი აქვს, კონკურენციას უწევდეს ამ სახის მაგისტრალურ გადაზიდვებს, მან უნდა უზრუნველყოს სწრაფი და ეფექტიანი გადაზიდვა შედარებით დაბალი დანახარჯებით. ამისათვის კი საჭიროა ურთიერთთანამშრომლობა ნავსადგურებთან, საზღვაო გადაზიდვებთან და მრავალ სხვა რკინიგზასა და სატვირთო გადამზიდავთან.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საზღვრებზე ტვირთების სწრაფ და ეფექტურ განბაჟებას. ამასთან მიმართებაში უმნიშვნელოვანესია ნავსადგურების, გადამზიდავების, საბაჟო სამსახურებისა და სხვა რკინიგზების შესახებ ელექტრონული ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიების გამოყენება.

მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით უამრავი რამ არის შესაცვლელი, თუკი საქართველოს რკინიგზა სამომავლოდაც გეგმავს საერთაშორისო სატრანსპორტო ქსელში მნიშვნელოვანი როლის შესრულებას. რასაკვირველია, ამისათვის თანხებია საჭირო. რკინიგზა უნდა წარმოადგენდეს მოქნილ სისტემას, რათა დაადგინოს კონკურენტული ტარიფები, დაფაროს ხარჯები, მოახდინოს ახალი ტექნოლოგიების ინვესტირება. იგი უნდა იყოს სიცოცხლისუნარიანი სატრანსპორტო კომპანია, რომელიც კაპიტალური დაბანდებების განსახორციელებლად მოიზიდავს დაფინანსებას საერთაშორისო და კერძო ინვესტორებისაგან.

საქართველოს რკინიგზა უკვე მუშაობს ამ სისტემის რესტრუქტურიზაციის პროგრამის შემუშავებაზე, რათა შეძლებისდაგვარად სწრაფად გადაიქცეს საბაზრო ეკონომიკასა და მომხმარებელზე ორიენტირებულ და ეფექტურად ფუნქციონირებად კომპანიად. საერთაშორისო ორგანიზაციის CESO-ს ფარგლებში კანადის მთავრობა დახმარებას უწევს საქართველოს რკინიგზას ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწაში, მისი სხვადასხვა ვარიანტების შეჯერებაში, რათა შემდგომში სწორი ორიენტირი იქნეს აღებული უმთავრესი ამოცანების განსახორციელებლად. ეს პროცესი მოიცავს იმ სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთას, რომლებიც არანაირად არ უწევს დახმარებას რკინიგზის ძირითად ფუნქციონირებას. შესაძლოა, სწორედ ეს ერთეულები გახდეს პრივატიზაციის სავარაუდო ობიექტები.

2005 წლის დასაწყისში რკინიგზაში იწყება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო დახმარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის განხორციელება საქართველოს რკინიგზის რესტრუქტურიზაციის უმთავრესი სტრატეგიული გეგმის შემუშავების შესახებ. ამ პროექტის საფუძველზე მომზადდება საქართველოს რკინიგზის ხუთწლიანი განვითარების (2006-2011) ბიზნეს-გეგმა, რომელიც მომავალში საფუძვლად დაედება რკინიგზის სახელმწიფო და სხვა სახის დაფინანსებას მისი კაპიტალური და ფუნქციური განვითარების მიზნით.

საქართველოს მსგავსად ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალი რესპუბლიკა ახორციელებს სარკინიგზო ორგანიზაციების გარდაქმნას რკინიგზის ევროპული მოდელის მსგავს ძლიერ საბაზრო სტრუქტურებად. ევროგაერთიანების მიდგომები შესაძლებლობას იძლევა, სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვები, ინფრასტრუქტურის სამსახურები საბაზრო ეკონომიკისა და სატარიფო პოლიტიკის სფეროში განსაკუთრებით მოქნილი იყოს.

რამდენადაც საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ცდილობს, დაუახლოვდეს ევროპის მოდელს, საქართველოს რკინიგზაც მიზნად ისახავს, გაითავისოს ევროპული მოდელის მრავალი პრინციპი მის ახალ სტრუქტურაში. ეს ყოველივე კი მჭიდროდ დაგვაახლოვებს ევროპის რკინიგზებთან და ევროკავშირის ბაზრებთან.

რკინიგზაში რესტრუქტურიზაციის პროცესის განხორციელება არ არის იოლი ამოცანა. მის განსახორციელებლად მრავალი რთული გადაწყვეტილების მიღება იქნება საჭირო, თუმცა უდაოა, რომ საქართველოს რკინიგზა კვლავაც აპირებს, საქართველოსა და კასპიის რეგიონების ტრანსპორტირების სისტემაში წამყვანი და ქმედითი ადგილი დაიკავოს.

**ედმონდ ქალითსი**
**ტრანსპორტის სფეროს**
**საერთაშორისო მრჩეველი, CESO**

# "ნარინჯისფერი საფრთხე", ცვლილებები კონსტიტუციაში და პოლიტტექნოლოგები

პირველი გვერდიდან

12 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებთან შეხვედრისას პუტინმა განაცხადა: "ჩვენ არ ვაპირებთ კონსტიტუციის შეცვლას ან მასში შესწორებების შეტანას - ასეთი ამოცანის წინაშე არ ვდგავართ, ასეთი განზრახვა არ გვაქვს".

უნდა ითქვას, რომ მსგავსი განცხადებები პუტინს აქამდე არ დაუშურებია. თუმცა, ზოგიერთი პოლიტტექნოლოგი, პირიქით, უკვე რამდენიმე ხანია ღიად აცხადებს, რომ კონსტიტუცია მორალურად მოძველდა - მათი სიტყვებით, იგი აღარ პასუხობს დროის მოთხოვნებს. ეს თანამედროვე გამოწვევები კი, მათი აზრით, რუსეთს დიდ საფრთხეს უქადის.

სწორედ ამ პოლიტტექნოლოგების სიტყვებით, "ნარინჯისფერი რევოლუციის" აჩრდილი ლამის კრემლის შემოგარენს მიადგა. მაგალითად, უკრაინის მოვლენების ერთ-ერთი "მნიშვნელოვანი" ფიგურა, ეფექტური პოლიტიკის ფონდის პრეზიდენტი გლებ პავლოვსკი თავის უკრაინულ წარუმატებლობას იმით ხსნის, რომ მას არ მისცეს ქმედითი კონტრრევოლუციური პოლიტიკის შემუშავების შესაძლებლობა. და ახლა ქადაგებს, რომ ასეთი პოლიტიკა, სანამ გვიან არ არის, რუსეთში გაატარონ. ამას უკავშირდება მისი წინადადებაც - "ზოგიერთი ძალის წინააღმდეგობის მიუხედავად", ქვეყნის ძირითადი კანონი შეცვალონ.

"არა მარტო პავლოვსკის, არამედ მრავალ მისი თანამოაზრე ექსპერტსაც დამარცხებულის ბოლმა ახრჩობთ, რომელიც უკრაინაში მათი ტექნოლოგიების წარუმატებლობით არის გამოწვეული," - აღნიშნავს პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორის მოადგილე ალექსეი მაკარკინი. "სწორედ ამიტომ, შიში, რომ რუსეთში საჭირონი აღარ იქნებიან, აიძულებთ მათ, კონსტიტუციის "გადაწერის" ახალი და საკმაოდ ხმაურიანი წინადადებით გამოვიდნენ, - ამბობს მაკარკინი, - მათ ესმით, რომ ეს ერთი-ორი თვის სამუშაო არ არის და თუ შეძლებენ ასეთი ცვლილებების აუცილებლობაში ხელისუფლების დარწმუნებას, შეინარჩუნებენ პოზიციებს და მომავალი "შეკვეთები" გარანტირებული ექნებათ." რუსი ექსპერტის აზრით, ეს ბატონები თავიანთი არგუმენტების გამყარებას შემდეგი დებულებით ცდილობენ: "მხოლოდ განახლებული ძირითადი კანონის გამოჩენა მოგვცემს საშუალებას, თავიდან ავიცილოთ დასავლეთის ჩარევა ჩვენს საშინაო საქმეებში, რაც ნიშნავს, რომ არსებული ხელისუფლება შესაძლო რყევას გადაურჩება".



რუსეთში, ბორის ელცინის კვალდაკვალ, მის მიერ მიღებული კონსტიტუციის "გაცილებაზეც" ალაპარაკდნენ.

სხვა ექსპერტები ეჭვობენ, რომ პუტინი გარისკავს და სერიოზული კონსტიტუციური ცვლილებების ინიციატივით გამოვა, თუმცა, ამის უფლება შესაძლოა, სხვას მისცეს.

ამავდროულად, რუსი ანალიტიკოსები ერთხმად საუბრობენ რუსეთის ფედერაციის მოქმედი კონსტიტუციის სისუსტეებზეც. კერძოდ, მასში საკმაოდ ბუნდოვნად არის გავლებული ცენტრსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის კომპეტენციათა ზღვარი. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, 1993 წელს მიღებული კონსტიტუციის მთავარი ნაკლი ფედერაციის ასიმეტრიულობაა. ფაქტობრივად, სხვადასხვა სუბიექტები განსხვავებული უფლებებით არიან აღჭურვილი.

მიუხედავად კრემლის ბინადართა ღია და დაფარული სურვილებისა, კონსტიტუციის შეცვლა არცთუ უპრობლემო საკითხია. დოკუმენტის პირველი ცხრა თავის დებულებებში ცვლილებების შეტანა (სწორედ მათშია ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი პრინციპები) მხოლოდ და მხოლოდ საკონსტიტუციო კრების პრეროგატივაა. ეს ორგანო კი უახლოეს მომავალში შეკრებას ვერ შეძლებს, მისი მოწვევის წესის შესახებ კანონის არარსებობის გამო.

შესაბამისი სურვილის არსებობის შემთხვევაში, ერთადერთი ინსტრუმენტი საერთო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარებაა, სადაც კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას მონაწილეთა ნახევარზე მეტმა უნდა დაუჭიროს მხარი. ხოლო, როგორ "საშიში" გახდა "არადემოკრატებისთვის" უკანასკნელ პერიოდში საყოველთაო ხმის მიცემის წესი, მეზობელი უკრაინის მაგალითიც ცხადყოფს.

# ერაყში საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადება იწყება

იწურება მიმდინარე წელი და ერაყში იანვრის ბოლოს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადება უკვე სერიოზულ სახეს იძენს. 30 იანვრისათვის წინასაარჩევნო კამპანია გუშინ დაიწყო პოსტსადამური რეჟიმის ქვეყანაში, რომელსაც ეძლევა საშუალება საკანონმდებლო ორგანო პლურალისტურ საფუძველზე ჩამოაყალიბოს. არჩევნების დღეს ამომრჩევლებს 79 ბლოკისა და ალიანსების წარმომადგენლებისაგან 275 დეპუტატის არჩევა მოუწევთ. ერთი სიტყვით, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ სუნიტებიც, შიიტებიც, კომუნისტებიც, აიათოლისტებიც და ა.შ. სულ 79 ბლოკი და ალიანსი, რომლებიც 230 პოლიტიკური პარტიისაგან არის ფორმირებული.

მიუხედავად იმისა, რომ კოალიციური ძალები აშშ-ს მეთაურობით ცდილობენ დაგეგმილი არჩევნები მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩაატარონ, ექსცესების, თანაც სერიოზული ფორმებით, ალბათობა მაინც რჩება. მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებულ პარტიებში სუნიტური ძალა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, სუნიტ ექსტრემისტთა მხრიდან თავდასხმები გამორიცხული არაა. აღნიშნულს ადასტურებს სუნიტურ ორგანიზაციებში ყველაზე მსხვილი, ერაყის ისლამური პარტიის განცხადება იმის შესახებ, რომ შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით წარმატებული არჩევნების ჩატარებაზე ფიქრიც კი ილუზია იქნებოდა.

"გაზეტა რუ"-ს წყაროზე დაყრდნობით, რეგისტრირებულ პარტიებში შეიძლება სამი უმთავრესი მიმართულება გამოიკვეთოს. პირველი მათგანია "შიიტური სია", სადაც უდავო ლიდერი წარსულში არალეგალური, ტერორისტული ორგანიზაცია "ისლამური რევოლუციის უმაღლესი საბჭოა". აღნიშნული ორგანიზაციის უკან კი გავლენიანი ირანელი შიიტი ღვთისმეტყველი აიათოლა ალი ას-სისტანი დგას. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ მიუთითებს ირანის ინტერესებზე.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობით შიიტ პრემიერს აიად ალავის შიიტური სიით გასვლის კარგი შანსები ჰქონდა, მან ნაცვლად ამისა, ცესკო-ში საკუთარი სიის წარდგენა არჩია, საიდანაც პარლამენტში ადგილის დასაკავებლად კონკურენტი, ფაქტობრივად, არ ჰყავს.

ერაყის მომავალ პარლამენტში ასევე გარანტირებული ადგილი აქვს ქურთების ერთობასაც. ისინი ასევე ერთობლივი სიით არიან რეგისტრირებული. ამ ალიანსში შედიან, როგორც "ქურთისტანის პატრიოტული კავშირის" წევრები, ასევე "ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის" წარმომადგენლებიც. პარლამენტში საკმაო ოდენობით ადგილების დაკავების არანაკლები შანსები აქვთ ქურთებსაც, რადგან მათი ელექტორატი ქვეყნის მშვიდ რეგიონებში კომპაქტურად არიან დასახლებული და ორგანიზებულობით გამოირჩევიან.

დაბოლოს, არჩევნების უმთავრესი მონაწილე ერაყის ისლამური პარტიაა. იგი საყურადღებოა არა იმდენად, გამარჯვების შანსებით, რადგან გარკვეულ პირობებში იგი შესაძლოა საერთოდ ვერც მოხვდეს პარლამენტში, არამედ სიმბოლურობით. ეს ორგანიზაცია შიიტური პარტიის მსგავსად რელიგიური ნიშნის ბაზაზეა ფორმირებული და სუნიტებს აერთიანებს. ჯერ კიდევ ნოემბერში ყველა სუნიტურმა პარტიამ და მოძრაობამ არჩევნებში მონაწილეობაზე, არასრულყოფილი საარჩევნო კანონმდებლობის მიზეზით, უარი განაცხადა. საარჩევნო კანონის თანახმად, ერაყელებმა ხმა ერთიანი ოლქის მიხედვით უნდა მისცენ. ამდენად, ქვეყნის იმ რეგიონებს, რომლებიც ეთნოკონფესიური ნიშნით გამორჩევა, არ ექნება კვოტა. შედეგად კი იქმნება სურათი, რომლის თანახმადაც, ერაყის იმ რაიონებში, სადაც საბრძოლო მოქმედებები ჯერ კიდევ გრძელდება, რაც არჩევნების ჩატარებას ართულებს, სუნიტებს ნაკლებად ექნებათ მაღალი აქტიურობის გამოვლენის შესაძლებლობა, რაც ისევ შიიტების წისქვილზე ასხამს წყალს.

სუნიტებისაგან განსხვავებით, შიიტები, რომლებიც ერაყის მოსახლეობის 60 პროცენტს შეადგენენ, სადამ ჰუსეინის მმართველობის დროს სასტიკ დისკრიმინაციას განიცდიდნენ. ეს ფაქტორიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს შიიტური პარტიებისა და დაჯგუფებების არჩევნებისადმი კეთილგანწყობაში. ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰამიდ ბაიათის განცხადებით, 30 იანვრის არჩევნების შედეგად ისეთი პარლამენტი უნდა იქნეს არჩეული, სადაც დომინანტური პოზიციები არ ექნება დაკავებული არც ერთ ეთნიკურ თუ რელიგიურ ერთობას (შიიტები, სუნიტები და ქურთები).

ერაყში საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების პარალელურად იწყება სასამართლო პროცესების სერია იმ პირებზე, რომელთაც ბაასის რეჟიმის დროს ხელმძღვანელი თანამდებობები ეკავათ.

პირველის სასამართლოს წინაშე ალი ჰასან მაჯიდი წარსდგება, რომელიც "ქიმიური ალის" სახელითაა ცნობილი. ერაყის თავდაცვის მინისტრის ჰასიმ შალაანის თქმით, შესაძლოა მაჯიდის სასამართლო პროცესი უკვე მომავალ კვირასაც დაიწყოს. "ქიმიური ალი" ერაყის ყოფილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის ბიძაშვილია. მას ეს სახელი მას შემდეგ შეარქვეს, რაც 1987 წელს ქურთების წინააღმდეგ ერაყის არმიამ მომწამვლელი ნივთიერება გამოიყენა. 1995 წელს ალი ჰასან მაჯიდი ოჯახთან ერთად იორდანიაში გაიქცა. მოგვიანებით იგი რამდენიმე წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ინგლისში ქალაქ ლიდსში ცხოვრობდა.

# პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის წინ მოშიმშილე ჯაშუში

*ყოფილი საბჭოთა ოფიცერი, ერთ დროს ვლადიმირ პუტინის თანაკურსელი, შემდგომში კი, ქვეყნის მოღალატედ შერაცხული რუსი "ჩეკისტი" შიმშილობას იწყებს. ბრიტანული გავლენიანი გაზეთი "Independent" აქვეყნებს ორმაგი ჯაშუშის ისტორიას, რომელიც პუტინის რისხვის შიშით სამშობლოში ვერ ბრუნდება და ამჯერად, ბრიტანეთის მთავრობისგან ითხოვს შემწეობას.*

ოდესღაც ვიქტორ მაკაროვი დიდ ბრიტანეთს "კაგებედან" სადაზვერვო მონაცემებს აწვდიდა. შემდეგ ის ამხილეს, რის გამოც ხუთი წელი ბანაკში გაატარა. ბრიტანეთის დაზვერვის სამსახური MI-6 მას საზღვარგარეთ გაქცევაში დაეხმარა და მასაც იმედი გაუჩნდა, რომ ბედნიერად იცხოვრებდა იმ ქვეყანაში, რომლის გამოც საკუთარი სიცოცხლე არაერთხელ ჩააგდო საფრთხეში. თუმცა, რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. ინვალიდობის პენსია, რომელსაც იგი დიდ ბრიტანეთში იღებდა, პურის ფულადაც არ აღმოჩნდა საკმარისი.

დღეს ეს ადამიანი - ცივი ომის პერიოდის ცოცხალი ისტორია - ითხოვს იმას, რაც, მისი აზრით, კანონით ეკუთვნის.

49 წლის მაკაროვი აცხადებს, რომ უაითჰოლის ტროტუარზე, პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის მოპირდაპირე მხარეს, უვადო შიმშილობის დაწყებას აპირებს. ამ გზით მას პოლიტიკური დევნილის ყოველწლიური პენსიის მიღება სურს. "ამის გაკეთება არ გამიჭირდება. მე საბჭოთა შრომაგასწორებით ბანაკში ვიყავი, ამიტომაც შიმშილის განცდა ჩემთვის უცხო არ გახლავთ," - განაცხადა მან.

ვიქტორ მაკაროვი 1955 წელს დაიბადა მოსკოვში. სპეცსამსახურის ახალგაზრდა ამბიციურმა ოფიცერმა "კაგებეს" უმაღლესი სკოლა იმავე წელს დაამთავრა, რა დროსაც რუსეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. გასული საუკუნის 80-იან წლებში იგი მე-16 საიდუმლო განყოფილების ანალიტიკოსად მუშაობდა, სადაც დასავლეთის ქვეყნების ხელში ჩაგდებულ წერილებს შიფრავდნენ.

რუსი "ჩეკისტის" ცხოვრებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა სიმართლის გაგება თავისი ოჯახის ისტორიის შესახებ.

აღმოჩნდა, რომ თავად მაკაროვის ოჯახი საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი იყო. ამის შემდეგ, ერთადერთი რამ ჰქონდა გადასაწყვეტი, - ახლავე წასულიყო საზღვარგარეთ, თუ ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდა. დასავლეთით დაინტერესებამ მას ინგლისურის შესწავლა აიძულა და შედეგად, ინგლისურის მასწავლებელი შეუყვარდა. შეყვარებული ქალი ცდილობდა, იგი ინგლისში ერთად გაქცევაზე დაეთანხმებინა. ქალი დაუკავშირდა ნაცნობ ინგლისელ ბიზნესმენს, რომელიც, მოგვიანებით გამოირკვა, რომ MI-6-ში მუშაობდა. საიდუმლო სამსახურმა, როგორც ეს მსგავს შემთხვევებში ხდებოდა, სანაცვლოდ ინფორმაცია მოითხოვა. მათ უნდოდათ, სრული ინფორმაცია მიეღოთ მისი საქმიანობის შესახებ, რის შემდეგაც გაქცევაში დაეხმარებოდნენ.

თითქმის ორი წელი ის მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიდა იმის შესახებ, როგორ ახერხებდა მისი განყოფილება დიპლომატიური წერილების ხელში ჩაგდებას, თან სპეცსამსახურს პირობის შესრულების დაჩქარებას სთხოვდა. სანამ ბრიტანეთის დაზვერვა ჭოჭმანობდა, მაკაროვი სამშობლოს ღალატის ბრალდებით 1987 წლის ივლისში დააპატიმრეს, ხუთი თვე გრძელდებოდა მისი დაკითხვა, ის კი დუმილს არ არღვევდა, საბოლოოდ, 10 წელი მიუსაჯეს, რომელიც მას შრომა-გასწორებით ბანაკში პერმ-35-ში უნდა გაეტარებინა.

პატიმრობის პერიოდში საბჭოთა კავშირის და ვარშავის შეთანხმების ბლოკი დაიშალა. იგი 1992 წელს ამნისტიით გაათავისუფლეს, რის შემდეგაც MI-6-ს დაუკავშირდა. რა თქმა უნდა, სავარაუდოა, რომ იგი ლეგალურადაც გააღწევდა ქვეყნიდან, მაგრამ მაინც, "კონტრაბანდის სახით", რიგისა და ჰელსინკის გავლით, ჩაიყვანეს ლონდონში.

მაკაროვი ამტკიცებს, რომ მას სოლიდურ ფინანსურ დახმარებასა და ღირსეული ცხოვრებისთვის საჭირო პირობების შექმნას დაჰპირდნენ.

თუმცა, მან სამსახურის შოვნა ვერ მოახერხა და არსებობისთვის ბრძოლა მოუწია. ამ ხნის განმავლობაში იგი საიდუმლო სამსახურებს უპირისპირდებოდა იმისთვის, რომ მას მაშინაც მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია, რომ ღირსეულად ცხოვრების უფლება აქვს.

მაკაროვის შემოსავლის ერთადერთი წყარო ინვალიდობის პენსიაა (იგი დეპრესიას უჩივის). 1992 წლიდან მას წვრილ თანხას აძლევდნენ, სამი წლის წინ კი, როცა მან დანაპირების შეუსრულებლობის გამო ხელისუფლებას სასამართლოში უჩივლა, 65 ათასი ფუნტი მიიღო, რომლითაც მან პატარა სახლი შეიძინა ნორტუმბერლენდის საგრაფოში.

ახლა ის ცდილობს "დევნილის პენსია" მიიღოს - ამ სახის პენსიას სხვა ჯაშუშებიც იღებენ, მაგალითად, მიხაილ ბუტკოვი.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილ ჯაშუშს ახალი საბუთების მიღებაში დაეხმარნენ, ის ამბობს, რომ შემდგომ შემწეობას საჭიროებს, რადგან ფიქრობს, პუტინის პრეზიდენტობის დროს მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

"ვერ ვახერხებ, ვიშოვო სამუშაო, რადგან დაზვერვის ოფიცრობის გარდა არაფერი მეხერხება, ეს კი ახლა ნაკლებად სჭირდებათ. შემეძლო საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსული მესწავლებინა, მაგრამ ამათ არაფრის გაგონება არ უნდათ. ვგრძნობ, რომ მიღალატა იმ ქვეყანამ, რომლისთვისაც არაერთხელ ჩავიგდე სიცოცხლე საფრთხეში," - ამბობს მაკაროვი.

მის ადვოკატს მიაჩნია, რომ მაკაროვს უსამართლოდ მოექცნენ: "ის გამოიყენეს, შემდეგ კი უსარგებლო ნივთივით მიაგდეს. ის აბსოლუტურ ვაკუუმში აღმოჩნდა."

დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით კომენტარს არ გააკეთებენ.

მაკაროვი კი იმდენი ხანი აპირებს უაითჰოლის ტროტუარზე ჯდომას, რამდენიც საჭირო იქნება.

# ევროკავშირმა კუბის წინააღმდეგ დიპლომატიური სანქციები გააუქმა

ესპანეთის ინიციატივით, ევროკავშირმა კუბის წინააღმდეგ დიპლომატიური სანქციები გააუქმა. ამიერიდან, ევროკავშირის წევრ-ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებს და დიპლომატებს კუბაში გამგზავრება, ამ ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებებში სტუმრობა და მიღებებში მონაწილეობა აღარ ეკრძალებათ. გარდა ამისა, ევროპის კავშირმა ჰავანის საელჩოებში მიღებებზე კუბელი დისიდენტების დემონსტრაციულად მიწვევების პრაქტიკაზე უარი თქვა. შეგახსენებთ, ევროკავშირმა კუბის წინააღმდეგ დიპლომატიური სანქციები 2003 წლის აპრილში 75 კუბელი დისიდენტის დაპატიმრების პასუხად შემოიღო.

რასაკვირველია, ესპანეთი კვლავინდებურად მოითხოვს კუბელ პატიმართა გათავისუფლებას, ადამიანის უფლებათა პატივისცემასა და დემოკრატიული ნორმების აღდგენას. თუმცა, ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ხოსე ლუის როდრიგეს საპატერომ, თავისი წინამორბედის ხოსე მარია ასნარისგან განსხვავებით, კუბის იზოლაციისა და მასზე ზეწოლის პოლიტიკაზე უარი განაცხადა. საპატერო თვლის, რომ ევროკავშირის მხრიდან ასეთი პოლიტიკა კასტროს მხოლოდ რეპრესიების გაძლიერებისკენ უბიძგებს და პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობას აუარესებს. მადრიდის აზრით, ჰავანასთან მოლაპარაკება და მასთან ურთიერთობის განვითარება კუბის ლიბერალიზაციას შეუწყობს ხელს.

ამგვარი პოლიტიკის ეფექტურობა ნოემბრის ბოლოს დადასტურდა, როცა კუბამ ესპანეთთან 2003 წელს შეჩერებული დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა, რის შემდეგაც ციხიდან 5 დისიდენტი, მათ შორის, ცნობილი პოეტი რაულ რივერო გამოუშვა.

აღსანიშნავია, რომ მადრიდის დაჟინებულმა მცდელობებმა "თავისუფლების კუნძულის" იზოლაციიდან გამოყვანის მიზნით აშშ-ის აშკარა გაღიზიანება გამოიწვია. ევროპისგან განსხვავებით, ოფიციალური ვაშინგტონი, ბოლო ხანებში, კუბის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს სულ უფრო ამკაცრებს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**იაპონია-აშშ.** იაპონიისა და აშშ-ს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნაში თანამშრომლობის შესახებ ახალ ხელშეკრულებას. დოკუმენტს ხელს იაპონიის მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრმა ნობუტაკა მატიმურამ, ხოლო აშშ-ს მხრიდან ტოკიოში შეერთებული შტატების ელჩმა ჰოვარდ ბეიკერმა მოაწერეს. აღნიშნული შეთანხმება ამ სფეროში ერთობლივი კვლევების აქტივიზაციას ითვალისწინებს. უახლოეს წლებში იაპონიის ხელისუფლებას დამატებით ამერიკული წარმოების ახალი შეიარაღების შეძენა აქვს დაგეგმილი და ამ მიზნით 10 მლრდ. აშშ დოლარის დახარჯვას აპირებს. ამასთანავე, ოფიციალურ ტოკიოს სურვილი აქვს ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო დანადგარ "პეტრიოტ"-ის წარმოება იაპონიაშიც დანერგოს, რასაც სავარაუდოდ, კორპორაცია "მიცუბიში ჰევი ინდასტრიზ" განახორციელებს. მომავალში "პეტრიოტი" და "იჯისი" იაპონიის რაკესაწინააღმდეგო თავდაცვის მთავარი ძალა გახდება და მნიშვნელოვნად გაზრდის არქიპელაგის უსაფრთხოებას. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ჩილე.** ყოფილი დიქტატორი აუგუსტო პინოჩეტი შინაპატიმრობიდან გაათავისუფლეს. შესაბამისი დადგენილება ჩილეს ყოფილი მმართველის ადვოკატების მიერ სასამართლოში შეტანილი აპელაციის შემდეგ იქნა გამოტანილი. თუმცა, კვლავინდებურად ძალაში რჩება გადაწყვეტილება პინოჩეტისთვის იურიდიული იმუნიტეტის ჩამორთმევის შესახებ. აუგუსტო პინოჩეტს პოლიტიკური ოპონენტების მკვლელობაში და ადამიანების გატაცებაში ედება ბრალი. დანაშაულები პინოჩეტის 17-წლიანი მმართველობის პერიოდში, 1973-დან 1990 წლამდეა ჩადენილი. როგორც მოსამართლე გუზმანი ამტკიცებს, 89 წლის პინოჩეტი ფსიქიურად შერაცხადია და თავისუფლად შეუძლია წარდგეს სასამართლოს წინაშე. მოსამართლე ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივიდა, რაც ექს-დიქტატორის მიერ ბოლო ხანებში მიცემული ტელეინტერვიუ გამოიკვლია. მიახლოებითი გაანგარიშებით, პინოჩეტის დიქტატურის პერიოდში პოლიტიკური მოტივებით, დაახლოებით 3000 ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. **24 საათი**

# საზოგადოება და წმინდა სინოდის დადგენილება

*გუშინწინ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი შეიკრიბა. დაინტერესებული საზოგადოება ამ შეკრებას დიდი ხანია ელოდა. ყველას აინტერესებდა, განიხილავდნენ თუ არა იმ საკითხებს, რომელიც ამ ბოლო დროს საზოგადოებას ასე აღელვებს, თუმცა ამაოდ. ეკლესიაში არსებული ყველაზე სერიოზული პრობლემა საზღვარგარეთის ეპარქიის საკითხი და სამი ურჩი მღვდელი აღმოჩნდა.*

ნინო ცინცაძე

გუშინ ომბუდსმენის ოფისში საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად შეკრებილ ხელისმომწერ სტუდენტებს იმედგაცრუება აშკარად ეტყობოდათ, ისინი წმინდა სინოდისაგან უფრო მეტ გულისყურს ელოდნენ. -"**მაშინ, როდესაც ეკლესიაში მართლაც უამრავი ვინმეა დასასჯელი, ისჯებიან ისინი, ვინც სიმართლეს ამბობს. მეუფე სერაფიმე (ჯოჯუა, ბორჯომისა და ბაკურიანის მთავარეპისკოპოსი) უნივერსიტეტში მოშიმშილე სტუდენტებთან მივიდა და ისინი დალოცა, ჩვენთან კი არასდროს არც ერთი ეპისკოპოსი არ მოსულა და არ უკითხავს, რა გვაწუხებს და რატომ დავწერეთ ეს წერილი,**" - ამბობდნენ ისინი.

რისთვის მიეცა გაფრთხილება დეკანოზ მიქაელ ასათიანს, ადამიანს, რომლის მოღვაწეობის შედეგადაც ეკლესიაში სიარული უამრავმა ბავშვმა დაიწყო, რომლის მოღვაწეობის შედეგადაც ბავშვები ჟურნალსაც გამოსცემენ და სხვა საინტერესო და სასარგებლო საქმეებითაც არიან დაკავებული? იმისათვის, რომ მან ხმამაღლა განაცხადა, ხაშმის საქმე აუცილებლად უნდა გამოვიძიოთო? -"**ნებისმიერმა, მართლმადიდებლობაში ოდნავ მაინც გარკვეულმა ადამიანმა იცის, რომ ქრისტიანული მორჩილება საკუთარი სინდისის წინააღმდეგ წასვლას არ ნიშნავს. არც ერთი იმ ადამიანთაგანი, რომელიც გუშინ დაისაჯა, არაფერს მიუღებელს არ მოითხოვს. არ არის ლაპარაკი არაფერზე, რაც მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ტრადიციაში არ არსებობს. ე.ი. რა გამოდის? ჩასახშობ აზრად ითვლება ის, რომ საპატრიარქოში არ უნდა იყოს კორუფცია, ჩასახშობ აზრად ითვლება ის, რომ არ უნდა მოახდინო საკუთარი ქვეყნის ინტერესების შებღალვა უცხო ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ, ჩასახშობ აზრად ითვლება ის, რომ ქვეყანაში სხვა სარწმუნოების წარმომადგენლები არ უნდა იდევნებოდნენ,**" - თქვა გუშინდელ შეხვედრაზე ნოდარ ლადარიამ. ომბუდსმენის ოფისში შეკრებილი ადამიანების აღშფოთება გამოიწვია იმანაც, რომ არც დეკანოზ ბასილ კობახიძეს, არც მღვდელ ზაზა თევზაძესა და არც დეკანოზ მიქაელ ასათიანს წმინდა სინოდზე დასწრებისა და თავდაცვის საშუალება არ მისცეს. ნაირა გელაშვილი: "**მართალია ფორმალური, მაგრამ სასამართლოები ინკვიზიციის დროსაც იმართებოდა და სტალინის რეჟიმის დროსაც, აქ კი ესეც არ ჩათვალეს საჭიროდ. დეკანოზ ბასილ კობახიძეს არც 2003 წელს და არც ახლა არ მისცეს საშუალება, საკუთარი თავი დაეცვა და საკუთარი პოზიცია გამოეხატა.**"

და კიდევ. როგორც თეოლოგმა ლევან აბაშიძემ აღნიშნა, ქვეყანაში, სადაც ასეთი მნიშვნელოვანია ეთნიკური ერთიანობის საკითხი, ქვეყანაში, სადაც ოსები და აფხაზები მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლად ითვლებიან, ქვეყანაში, სადაც ეკლესიას სახელმწიფოსთან განსაკუთრებული საკონსტიტუციო ხელშეკრულება აქვს დადებული, ამ ეკლესიის ლოზუნგი არ უნდა იყოს - ქართველნო ერთად ღვთისაკენ! როდესაც ეკლესიას სახელმწიფოსთან სიახლოვის ისეთი პრეტენზია აქვს, რომ ამ ურთიერთობას საკონსტიტუციო ხელშეკრულებით აფორმებს, როდესაც ამ ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებების მიღებისას არა მხოლოდ ქვეყნის კონსტიტუცია, არამედ ეს კონკორდატიც უნდა გაითვალისწინოს, მაშინ ის, რაც საპატრიარქოში ხდება, მხოლოდ საპატრიარქოს საქმე კი არა, მთელი საზოგადოების საქმეა.

რა შეიძლება საზოგადოებამ გააკეთოს ამ პრობლემის გადასაწყვეტად, ან რა შეიძლება მოსთხოვოს მან ხელისუფლებას. საბოლოოდ შეკრებაზე ერთ აზრამდე მივიდნენ: საუკეთესო გამოსავალი ხელისუფლებისაგან ლუსტრაციის კანონის დროულად მიღების მოთხოვნა იქნება, რადგან არსად, არც ტელევიზიაში, არც უმაღლეს სასწავლებლებში და მით უმეტეს, არც ეკლესიაში აღარ უნდა მოღვაწეობდნენ ის ადამიანები, ვისი თანამდებობაზე დანიშვნის ბედიც ცკ-ს კაბინეტებში წყდებოდა.

## მიმართვა წმინდა სინოდს, საპატრიარქოსა და საზოგადოებას!

საქართველოს საზოგადოების აქ შეკრებილი წარმომადგენლები შეშფოთებულნი ვართ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული სიტუაციით. ვფიქრობთ, დროა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას. სინოდზე მიღებული გადაწყვეტილება დეკანოზ ბასილ კობახიძის მღვდელმოქმედების აკრძალვასთან დაკავშირებით, ასევე მღვდელ ზაზა თევზაძისა და დეკანოზ მიქაელ ასათიანის მიმართ გამოტანილი განაჩენი მოწმობს, რომ ეკლესიაში ძლიერდება ობსკურანტიზმი და შეუწყნარებლობა განსხვავებული აზრის მიმართ. წლების განმავლობაში საპატრიარქო გზას არ ულობავდა რელიგიურ ექსტრემიზმს, დღეს კი აქტიურად ცდილობს, დაადუმოს არა მარტო სასულიერო პირები და სტუდენტები, რომლებიც ვერ ურიგდებიან ეკლესიაში მართლმადიდებლობის სახელით მართლმადიდებლობისა და ეკლესიის ჭეშმარიტი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებას, მის დისკრიმინაციას, არამედ - მთელი საზოგადოება. საპატრიარქო აშანტაჟებს საზოგადოებას იმით, რომ ეკლესიაში არსებულ მანკიერებებზე საუბრით, თურმე, საფრთხე კონსტიტუციურ წესრიგს ექმნება. საპატრიარქო წლების მანძილზე ეწინააღმდეგებოდა და ეწინააღმდეგება საქართველოს დასავლური განვითარების კურსს, დემოკრატიზაციას, რეფორმებს, ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკას, ლიბერალიზმს; საზოგადოებაში აღვივებდა რელიგიურ შეუწყნარებლობას; არაფერს აკეთებდა კორუფციასთან საბრძოლველად, პირიქით, ფინანსდებოდა კიდეც კორუფციული შემოსავლებით. ამ ბოლო დროს საპატრიარქო გამოდის საზოგადოებაში სოციალური თანასწორობის პრინციპის წინააღმდეგაც. განსაკუთრებით საშიში ხასიათი შეიძინა რელიგიური ნაციონალიზმის ქადაგებამ.

ეკლესიისა და დემოკრატიული საზოგადოებისთვის ამ მეტად სახიფათო ტენდენციებმა გადაგვაწყვეტინა, რომ მივმართოთ, ერთი მხრივ, წმინდა სინოდსა და საპატრიარქოს, მეორე მხრივ, საზოგადოების წარმომადგენლებს ამ საკითხებზე აქტიური დიალოგის დაწყების წინადადებით.

*პაატა ზაქარეიშვილი, გიორგი ხუციშვილი, გიგი თევზაძე, ლელა ქართველიშვილი, ლაშა ბაქრაძე, ნაირა გელაშვილი, მიხეილ ქვლივიძე, ბექა მინდიაშვილი, ეკა კვესიტაძე, მერაბ ბასილაია, ნოდარ ლადარია, სერგო რატიანი, და სხვები; სულ 70 ხელმოწერა*


# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

# აცხადებს კონკურსს

## საეთერო სპეციალიზებულ (გასართობი) რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

„კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" საქართველოს კანონის 362 მუხლის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია") სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე ლიცენზიის გასაცემად კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის გამოცხადების საფუძვლების - თავისუფალი რესურსის არსებობის და/ან ლიცენზიის მაძიებლის მიერ კომისიისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენის შემთხვევაში.

კომისია აღნიშნავს, რომ, კომისიას განცხადებით მიმართა შპს „რადიო საქართველომ" (05.11.2004 №61) საეთერო სპეციალიზებულ რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

კანონმდებლობით მაუწყებლებისათვის განსაზღვრული ვალდებულებების, ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების, აგრეთვე, სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, არსებული სიხშირული რესურსის მიზნობრივი და ოპტიმალური გამოყენების, ხარისხიანი მაუწყებლობის მიწოდების წინაპირობების შექმნის მიზნით, „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ა„ ქვეპუნქტისა და 455 მუხლის, „კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ" დებულების მე-2 მუხლის თანახმად, კომისიამ

გადაწყვიტა:

1. გამოცხადდეს კონკურსი საეთერო სპეციალიზებულ (გასართობი) რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

ა) რვა გადამცემის გამოყენებით, შემდეგ სამაუწყებლო ზონებში:

| ქალაქი | სამაუწყებლო ზონა | რეგიონი | ანტენის განთავსების ადგილი | გეოგრაფიული კოორდინატები | ანტენის სიმაღლე ზღვის დონ. მ | რადიოსიხშირე მგჰც FM | სიმძ კვტ | ანტენის გამოსხივების დიაგრამა | სამაუწყებლო ზონის სამ.რად. კმ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 1 | თბილისი | თბილისის ანძა | 44E47; 41N41 | 100 | 96.7 | 1 | წრიული | 25 |
| ბათუმი | 2 | აჭარა | ბათუმის ანძა | 41E43; 41N41 | 35 | 101.9 | 1 | წრიული | 20 |
| ყვარელი | 3 | კახეთი | სანავარდოს ანძა | 45E46; 41N58 | 50 | 105.7 | 0.5 | წრიული | 15 |
| გორი | 4 | შიდა ქართლი | გორის ანძა | 44E03; 42N02 | 140 | 102.0 | 0.5 | წრიული | 40 |
| დმანისი | 5 | ქვ. ქართლი | დმანისის ანძა | 44E13; 41N22 | 150 | 103.0 | 0.5 | წრიული | 50 |
| ახალციხე | 6 | სამცხე-ჯავახეთი | ახალციხის ანძა | 42E57; 41N38 | 35 | 105.1 | 0.5 | წრიული | 40 |
| ქუთაისი | 7 | იმერეთი | ქუთაისის ანძა | 42E44; 42N16 | 118 | 104.0 | 1.5 | წრიული | 70 |
| ზუგდიდი | 10 | სამეგრელო | ზუგდიდის ანძა | 41E52; 42N30 | 50 | 107.9 | 0.5 | წრიული | 40 |

შენიშვნა:

სამაუწყებლო ზონები განსაზღვრულია კომისიის 2003 წლის 13 ივნისის №267 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით.

გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 1 000 (ერთი ათასი) მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

ბ) სამოქმედო ზონა:

- ქ. თბილისი (სამაუწყებლო ზონა - 1).
- ქ.ბათუმი, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედას, შუახევის, ხულოს რაიონები (სამაუწყებლო ზონა 2);
- ქ.თელავის, გურჯაანის, ახმეტის, ყვარელის, ლაგოდეხის, სიღნაღის, დედოფლისწაროს, თიანეთის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 3);
- ქ.მცხეთის, კასპის, გორის, ხაშურის, ქარელის, ცხინვალის, ჯავის, ახალგორის, დუშეთის, ყაზბეგის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 4);
- ქ.რუსთავი, გარდაბნის, საგარეჯოს, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი-წყაროს, დმანისის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 5);
- ქ.ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, ნინოწმინდის, წალკის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 6);
- ქ.ქუთაისი, ხონის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 7);
- ქ.ზუგდიდი და ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის რაიონები (სამაუწყებლო ზონა 10);

გ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 50463 (ორმოცდაათი ათას ოთხას სამოცდასამი) ლარით;

დ) კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2005 წლის 4 მარტი 13:00 საათი;

ე) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს 2005 წლის 13 იანვრის 17:00 საათამდე;

2. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისთვის - სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისთვის - საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

დ) ტელერადიომაუწყებლობის სავარაუდო ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში;

ე) ტელერადიომაუწყებლობის დადგენილი პრიორიტეტების უზრუნველყოფის პირობები;

ვ) სამაუწყებლო ზონის დასახლებული ტერიტორიის მაუწყებლობით მოცვის გრაფიკი და სამაუწყებლო ზონაში პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადები;

ზ) ტელერადიოპროგრამების გავრცელებისათვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებები;

3. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე:

-ბანკი: სააქციო კომერციული ბანკი „თი-ბი-სი";

-ა/ანგარიში: 609326;

-კოდი: 220101830;

-საიდენტიფიკაციო კოდი: 204953050;

ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს უბრუნდება აღნიშნული თანხა, საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დარჩენილი თანხა გადაიხადოს კონკურსის პირობების შესაბამისად.

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის - აგრეთვე, პირადობის მოწმობის ასლი. თუ ლიცენზიის მაძიებლის დამფუძნებელი იურიდიული პირია, წარმოდგენილ უნდა იყოს ამ იურიდიული პირის სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო თუ დამფუძნებელი ფიზიკური პირია - მისი პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ლიცენზიის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ე) სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმა;

ვ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

4. კომისია არ მიიღებს წარმოებაში ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, თუ მის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, რის თაობაზეც ლიცენზიის მაძიებელს განემარტება განცხადების წარდგენისთანავე. დაუშვებელია კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისათვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება. კონკურსის ჩატარების დროს სავალდებულოა ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება;

5. ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მიღება, „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ„ საქართველოს კანონის 452 და 362 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ეკრძალება:

ა) უცხო ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს და მის წარმომადგენლებს;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს და მათ წარმომადგენლებს;

გ) უცხოეთის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებულ პირს, მის წარმომადგენლობებსა და ფილიალებს;

დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტი ეკუთვნის ამ პუნქტის „ბ"-„გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სუბიექტს.

ე) პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში სიხშირული რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ კონკრეტულ სამაუწყებლო ზონაში.

6. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება შემდეგი ასპექტების მიხედვით:

ა) ტექნიკური;

ბ) ფინანსური;

გ) პროგრამირების.

7. ტექნიკური ასპექტის შეფასებისას კომისია პრიორიტეტს ანიჭებს ლიცენზიის მაძიებლის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობას, აგრეთვე მის მიერ მაუწყებლობის პროცესში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხს.

ტექნიკური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 1 ქულა.

8. ფინანსური ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო საქმიანობის დოკუმენტალურად დასაბუთებული დაფინანსების გეგმის თანახმად, მიმდინარე და მომავალში საქმიანობის დაწყებისა და გაფართოების დაფინანსების წყაროების და მოცულობის მიხედვით, შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:

ა) საკუთარი წყაროები (მათ შორის უშუალოდ განხორციელებული საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავლები);

ბ) სესხები;

გ) სუბსიდიები, გრანტები და სპონსორული დაფინანსება;

დ) საინვესტიციო ვალდებულებები;

ფინანსური ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 2 ქულა;

9. პროგრამირების ასპექტი შეფასდეს წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის კომისიის მიერ დადგენილ ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებთან შესაბამისობის, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ოდენობის, აგრეთვე სამაუწყებლო ზონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის (მომხმარებლების) მრავალფეროვანი ინტერესების გათვალისწინებით. პროგრამირების ასპექტის მიხედვით შეფასების მაჩვენებელია 3 ქულა.

10. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის „დ", „ე", „ვ", „ზ" ქვეპუნქტით, მე-3 პუნქტის „დ„ და „ე„ ქვეპუნქტებით, მე-8 და მე-9 პუნქტების მოთხოვნების ამსახველი მასალები უნდა წარმოადგინოს ბიზნეს-გეგმის სახით, რომელსაც თან უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

11. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - ტექნიკური, ფინანსური და პროგრამირების ასპექტების მიხედვით დაგროვილი ქულების მაქსიმალური რაოდენობა.

12. კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება კომისიის სხდომაზე. კომისიის სხდომაზე დგინდება საჭირო დოკუმენტაციის არსებობა და კონკურსის პირობებთან შესაბამისობა. კონკურსში მონაწილეობისთვის არ დაიშვება ის პირი, რომელსაც არასრულად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია ან მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან კონკურსის პირობებს. სხდომის ოქმი, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი, მოწმდება კომისიის ბეჭდით.

13. თუ კონკურსის ორი ან მეტი მონაწილის ქულების ოდენობა თანაბარია, კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ„ საქართველოს კანონის 455 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარის მიერ ხდება სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის დაფიქსირება და თანხის იმ მინიმალური ოდენობის გამოცხადება, რომელიც უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას (საკონკურსო ბიჯი), რომელიც შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებულ თანხის ოდენობას;

ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს ნაკლები სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობისა და საკონკურსო ბიჯის ჯამისა;

გ) ყოველი მომდევნო მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირება ხდება წინა მონაწილის მიერ თანხის დაფიქსირების შემდგომ საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა;

დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას დააფიქსირებს გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას;

ე) ყოველი მონაწილის მიერ დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში;

14. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება. კომისიის გადაწყვეტილების ასლი კონკურსის შედეგების შესახებ ეგზავნება კონკურსის ყველა მონაწილეს;

15. სალიცენზიო გადასახდელის ოდენობა ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა და გადახდის პირობები მითითებული უნდა იყოს კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში;

16. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე სალიცენზიო გადასახდელის ან სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 20%-ის კომისიის ანგარიშზე, ხოლო 10%-ის კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე თანხების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის გასვლიდან მომდევნო ცხრა წლის განმავლობაში თანაბარწილად ლიცენზიის მოქმედების ვადის ყოველი მომდევნო წლის პირველივე თვის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე, კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების ხელმისაწვდომობისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად;

17. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის პროცესში დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან/და შეთანხმებებით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი„, „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ„, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ„, „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ„, „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ„, „რეკლამის შესახებ„ და „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ„ საქართველოს კანონებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესები;

18. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს მისთვის ლიცენზიით განსაზღვრული სამაუწყებლო ზონ(ებ)ის სრულად დაფარვა ლიცენზიით განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სამაუწყებლო ქსელის შექმნის ან სხვა პირის ტექნიკური საშუალებების სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გამოყენების გზით;

19. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია კომისიას მოთხოვნისთანავე წარუდგინოს მაუწყებლობის პროცესში ტელერადიოპროგრამის გავრცელების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

20. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია მაუწყებლობის დაწყების შემდეგ კვირაში ერთხელ კომისიას მიაწოდოს და გამოაქვეყნოს ყოველი მომდევნო კვირის სამაუწყებლო ბადე.

21. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას კონკურსის პირობები და ლიცენზიის მაძიებლის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები აისახება კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის განსაკუთრებულ პირობებში, როგორც ტელერადიომაუწყებლობის ოპერატორის ვალდებულებები.

22. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საოლქო სასამართლოში (ქ. თბილისი, რობაქიძის გამზ. 7ა) 6 თვის ვადაში;

*კომისიის თავმჯდომარე*

*დ.ქიტოშვილი*

# ვატო ყიფიანის საქმე

*რამდენიმე დღის წინ "24 საათში" გამოქვეყნდა წერილი "ვატო ყიფიანის საქმე", რომელიც ვახტანგ (ვატო) ყიფიანის საბრალდებო დასკვნას და საზოგადოებაში გავრცელებულ ვერსიებს ეხებოდა. შეგახსენებთ, ვახტანგ ყიფიანი ბრალდებულია ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შენახვაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-შეძენა-ტარებაში და განზრახ მკვლელობაში. მის საქმეს ამჟამად უზენაესი სასამართლო განიხილავს. ამჟამად გთავაზობთ თავად ვახტანგ ყიფიანის ადვოკატების გიგი ზირაქიშვილის და მარიკა ფხალაძის პოზიციას.*

თამარ კაციტაძე

- როდესაც ვახტანგ ყიფიანი დააკავეს, თვითონ სამართალდამცველებისგან უამრავი ვერსია გავრცელდა, თითქოს იგი იმხილებოდა სხვადასხვა დანაშაულში, მათ შორის იყო მკვლელობებიც. თუმცა, საბოლოოდ გამოძიებამ ვერაფერი დაამტკიცა.

დავიწყოთ ვახტანგ ჯაფარიძის მკვლელობის საქმით, რომელიც ყიფიანს ამჟამად ბრალად აქვს შერაცხული. სხვათა შორის, თავის დროზე აღნიშნული საქმე, დამნაშავის დაუდგენლობის მოტივით, შეწყვეტილი იყო. სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ საქმის შეწყვეტასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია ვატო ყიფიანის ბიძას, უზენაესი სასამართლოს იმჟამინდელ მოსამართლეს ჯიმი ყიფიანს. მეტიც, არც იმდროინდელი პროკურატურა ყოფილა დაინტერესებული იმით, რომ ვატო ყიფიანის მიმართ საქმე შეწყვეტილიყო. პირიქით, სამართალდამცველნი თავიდანვე იყვნენ დაინტერესებული, რომ აღნიშნული დანაშაული არ გახსნილიყო, რეალური დამნაშავე არ დადგენილიყო და დანაშაული ვატო ყიფიანს დაბრალებოდა. მაგრამ მტკიცებულებები ისეთი იყო, რომ რაც არ უნდა მოენდომებინათ, სხვა შედეგი ვერ დადგებოდა. საუბარია იმაზე, რომ საქმეში მთავარი მტკიცებულება - ტყვიები გაყალბებულია და აქცენტი ისე გაკეთდა, თითქოსდა გამოძიება სწორედ ტყვიების გაყალბების დასამტკიცებლად განახლდა. მაგრამ გამოძიებამ ამჯერადაც ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ ერთი და იმავე იარაღიდან გასროლილი ტყვიები, რომლებიც ჯაფარიძის და ყიფიანის სხეულებიდან არის ამოღებული, გაყალბებულია. სხვათა შორის, გამოძიებას არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს იმისათვის, რომ თავის დროზე სრულიად კანონიერად შეწყვეტილი საქმისთვის ახალი მტკიცებულებები შეემატებინა. ამას ისიც მიუთითებს, რომ გამოძიებას არც ერთი ექიმი არ ჰყავს დაკითხული. დაინიშნა ერთადერთი ექსპერტიზა, რომელსაც ერთი კითხვა დაესვა - შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ მასრას შეესაბამებოდა თუ არა ის ტყვია, რომელიც ამოიღეს ვატო ყიფიანის სხეულიდან. დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია სწორედ იმ ტყვიების მასრები, რომლებიც ჯაფარიძის და ყიფიანის სხეულებიდან ამოიღეს.

რაც მთავარია, შემთხვევის ადგილიდან აღებულია სისხლის რამდენიმე ნიმუში. ერთი მართლაც შეესაბამება ყიფიანის სისხლის ჯგუფს, მაგრამ არის განსხვავებული სისხლის ჯგუფიც, რომელიც არც ვატო ყიფიანს და არც ჯაფარიძეს არ ეკუთვნის. ანუ, იმ პერიოდში დაიჭრა კიდევ ერთი პიროვნება, რომელის ვინაობაც, ფაქტობრივად, გამოძიებამ დღემდე ვერ დაადგინა.

დავუშვათ, ტყვია შეცვალეს, სისხლის ლაქებს რაღა ვუყოთ? ხომ აბსურდია იმის მტკიცება, რომ ყველა ექსპერტიზა და მტკიცებულება გაყალბდა. ამას როდესაც ბრალდების მხარე ამბობს, ხომ უნდა დაასაბუთოს სათანადო მტკიცებულებებით? ერთი სიტყვით, გამოძიების ვერსია, თითქოს ვატო ყიფიანი იყო დამნაშავე, თავიდანვე გამოგონილი იყო.

ასევე გამოგონილია ის ბრალდებაც, რომ თითქოს თერჯოლაში უგრეხელიძის ბინაში ნაპოვნი იარაღი ვახტანგ ყიფიანს ეკუთვნოდა. უგრეხელიძე, რომელმაც ჩვენებაში დააფიქსირა, რომ იარაღი ვახტანგ ყიფიანის იყო, უკვე გასამართლებულია. თავის დროზე გამოძიებამ ვახტანგ ყიფიანი და უგრეხელიძე დააპირისპირა, სადაც მან კატეგორიულად უარყო ყიფიანის იარაღთან რაიმე შეხება და განაცხადა, რომ გამოძიების მხრიდან იყო ზეწოლა, რათა ყიფიანი იარაღთან დაეკავშირებინა. თანაც ჰპირდებოდნენ, რომ სასურველი ჩვენების სანაცვლოდ, პატიმრობიდან გაათავისუფლებდნენ. მაგრამ ფაქტია, რომ ისიც მოატყუეს. არის კიდევ ერთი საინტერესო ფაქტორი: გამოძიების მასალების თანახმად, ეს იარაღი 8-10 წელია, რაც თერჯოლაში ინახებოდა. ანუ იმ პერიოდში ყიფიანი დაახლოებით 14 წლის იყო. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ბრალდებაც აბსურდულია.

საინტერესოა ყიფიანის იარაღზე და ნარკოტიკზე დაკავების ისტორიაც. სამართალდამცველებმა კარგად იცოდნენ, რომ ჯაფარიძის მკვლელობის განახლებული საქმე იმდენად სუსტი იყო, რომ მასზე დაყრდნობით ყიფიანისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება, კანონის უხეში დარღვევა იქნებოდა. ამიტომ მათ დაკავების სხვა საფუძველი დასჭირდათ და ჩვეული ხერხიც ამიტომ გამოიყენეს. თუმცა, მალე ეს შეკერილი ბრალდებაც უსაფუძვლო აღმოჩნდა. საქმის მასალებით, ვახტანგ ყიფიანი აეროპორტის შენობაში დააკავეს, თითქოს იგი საზღვარგარეთ აპირებდა გაფრენას. რეალურად, ეს ასე არ იყო. იგი მართლაც მიჰყვა მეგობარ შალიკაშვილს აეროპორტში, რომელსაც ძმისთვის თვითმფრინავის რეისი უნდა გაეგო. ამას ადასტურებს ისიც, რომ შალიკაშვილის ძმა ყიფიანის დაკავების შემდეგ ნამდვილად იყო საზღვარგარეთ. ყიფიანს დაკავების მომენტში პირადი ჩხრეკა არ ჩატარებია, იგი პირდაპირ მიიყვანეს თბილისის პოლიციის სამმართველოს შენობაში და მერე დაიწყეს ჩხრეკის მოწმეების ძებნა. ჩხრეკის ორივე დამსწრეს მუქარით, ზეწოლით დააწერინეს ჩვენებები, თითქოს ისინი აეროპორტში ესწრებოდნენ ჩხრეკას და დაინახეს, როგორ ამოიღეს პოლიციელებმა ყიფიანისგან ნარკოტიკი და იარაღი.

ამის შემდეგ, მოწმეებმა გამოძიებას მიმართეს და დააფიქსირეს, რომ აეროპორტში არ ყოფილან. პოლიციამ ისინი სამმართველოს შენობაში მიიყვანა, სადაც აჩვენეს მაგიდაზე დალაგებული იარაღი და ნარკოტიკი. სხვათა შორის, ჩატარდა დაქტილოსკოპური ექსპერტიზა და დადგინდა, რომ სამი იარაღიდან, რომელიც თითქოსდა ყიფიანს აღმოუჩინეს, არც ერთზე მისი ანაბეჭდები არ იყო. ერთ-ერთმა დამსწრემ კი ისიც დაწერა, რომ დაინახა, თუ როგორ ჩადო პოლიციელმა ნარკოტიკი.

დაკავების მომენტში რომ ჩხრეკა არ ჩატარებულა, ვადასტურებთ აეროპორტიდან ამოღებული ვიდეო-ფირითაც, სადაც აშკარად ჩანს, რომელ საათსა და რომელ წუთზე დააკავეს ყიფიანი და როგორ ჩასვეს მანქანაში. ოქმის შესაბამისად, ჩხრეკა თითქოს აეროპორტის შენობაში 8 საათსა და 30 წუთზე ჩატარდა. არადა, ჩვენ გაგვაჩნია პოლიციის სამმართველოდან ოფიციალური დოკუმენტი, რომ ვახტანგ ყიფიანი სამმართველოში 8 საათზე შეიყვანეს.

რაც შეეხება ვახტანგ ყიფიანის ციხიდან გაქცევის მცდელობას, ეს იმდენად აბსურდული ინფორმაციაა, რომ კომენტარის გაკეთებაც შეუძლებელია, რადგან ასეთი ფაქტი ბუნებაში არ არსებობს. ვის დასჭირდა ამ ინფორმაციის გავრცელება, გაუგებარია. ჩვენ თანახმა ვართ, ჩატარდეს მოკვლევა და დადგინდება ყველაფერი.

■ ■ ■

ასეთია ვახტანგ ყიფიანის ადვოკატების პოზიცია, მაგრამ რჩება კიდევ ერთი კითხვა - ვის ან რატომ სჭირდებოდა ვახტანგ ყიფიანის დაპატიმრება?

**"მას შემდეგ, რაც თბილისის პროკურორის თანამდებობა ვალერი გრიგალაშვილმა დატოვა, ამ საკითხთან დაკავშირებით ვატო ყიფიანმა განცხადებით მიმართა გენერალურ პროკურორს, სადაც ხსნიდა მისი დაპატიმრების მიზეზს. მოგეხსენებათ, ჯაფარიძის საქმის შეწყვეტის დადგენილება გაუქმებული იყო თბილისის მაშინდელი პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის მიერ. ისიც ცნობილია, რომ მან ეს გადაწყვეტილება მიიღო თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მაშინდელ უფროსთან ლორდი ლებანიძესთან დაპირისპირების გამო. თავის დროზე, ჯაფარიძის მკვლელობის საქმის გამოძიება სწორედ ლებანიძის მიერ იყო შეწყვეტილი. ამ საქმის განახლებით, გრიგალაშვილს სურდა დაემტკიცებინა, რომ ლორდი ლებანიძემ უკანონოდ შეწყვიტა საქმე. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის გაკეთება პროკურატურამ ვერ შეძლო და ეს თავიდანვე კარგად იცოდნენ,"** - ამბობენ ადვოკატები.


საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
სსიფ GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის წყალსადენის რეკონსტრუქცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფელ ბაკურციხის განვითარების სათემო კავშირთან "ბაკურციხე-2004", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ბაკურციხე-2004" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, გურჯაანის რაიონი,
სოფელი ბაკურციხე, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი შოთა ქართველიშვილი, სათემო კავშირი "ბაკურციხე-2004"-ს თავმჯდომარე

2004 წლის 17 დეკემბრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2 600 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, გურჯაანის რაიონი,
სოფელი ბაკურციხე, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი შოთა ქართველიშვილი, სათემო კავშირი "ბაკურციხე-2004"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 18 იანვრის 15 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**



საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
სსიფ GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის წყალსადენის რეკონსტრუქცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფელ ველისციხის განვითარების სათემო კავშირთან "ველისციხე-1500", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ველისციხე-1500" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, გურჯაანის რაიონი,
სოფელი ველისციხე, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი შალვა ერჩიკი, სათემო კავშირი "ველისციხე-1500"-ს თავმჯდომარე

2004 წლის 17 დეკემბრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2 600 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, გურჯაანის რაიონი,
სოფელი ველისციხე, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი შალვა ერჩიკი, სათემო კავშირი "ველისციხე-1500"-ს თავმჯდომარე

2005 წლის 18 იანვრის 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**


# მირცხულავას საქმეს სტრასბურგი აკონტროლებს

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დავით მირცხულავას საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოდან, რამდენიმე დღის წინ, მესამე რეკომენდაცია მოუვიდა.

თუ პირველი ორი რეკომენდაცია ბრალდებულ მირცხულავას საპყრობილიდან ციხის საავადმყოფოში გადაყვანას ეხებოდა, ამჯერად, სტრასბურგის სასამართლო საქართველოდან ყოფილი მინისტრის საქმის სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით ყველა ინფორმაციის მიწოდებას ითხოვს.

სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეები იტყობინებიან, რომ მირცხულავას ინტერესების დამცველთა მიერ გაგზავნილი დოკუმენტები მტკიცებულებად მიიღეს. ევროპელი მოსამართლეები თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში გამართული პროცესებით დაინტერესდნენ და ამ პროცესზე მოპოვებული არგუმენტირებული მტკიცებულებების წარდგენას სთხოვენ საქართველოს ხელისუფლებას.

სტრასბურგიდან გამოგზავნილი უკვე მესამე რეკომენდაციის შინაარსი გუშინდელ სასამართლო პროცესზე გახდა ცნობილი. გუშინდელ პროცესზე კვლავ რამდენიმე მოწმე დაიკითხა, რომლებმაც აქამდე დაკითხულ მოწმეთა მსგავსად, ბრალდებისთვის სასურველი ჩვენება ვერ მისცეს სასამართლოს.

ერთი სიტყვით, ქართული მართლმსაჯულება ცოტა ხანში, თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულ დავით მირცხულავას განაჩენს გამოუტანს. პარალელურად კი, სტრასბურგის სასამართლო ყოფილი მინისტრის პატიმრობაში ყოფნის კანონიერება-არაკანონიერებაზე მსჯელობს.

*24 საათი*

*მოკლედ*

### სპეცოპერაციისას გაქცეული დამნაშავეები პოლიციას თავადვე ჩაბარდნენ

გუშინწინ, გვიან ღამით, ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლებს ავტომანქანების გამტაცებელთა ჯგუფის წევრები თავად ჩაბარდნენ. თუმცა, სანამ ეჭვმიტანილები პოლიციას დანებდებოდნენ, მათ დასაკავებლად სპეცოპერაცია ჩატარდა, რომლის დროსაც ავტომანქანის გატაცებაში ეჭვმიტანილებმა სამართალდამცველებს წინააღმდეგობა გაუწიეს და გაქცევაც მოახერხეს. გაქცეულებმა თავი შეაფარეს ერთ-ერთ ოჯახს, თუმცა, მოგვიანებით, პოლიციელებს ჩაბარდნენ.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, გატაცებული ავტომანქანა კრიმინალებს აფხაზეთში უნდა გადაეყვანათ, რომლის თანხაც - 2 500 დოლარი უკვე აღებული ჰქონდათ. "ბოროტმოქმედებისგან ცეცხლსასროლი იარაღი და გატაცებული ავტომანქანების საბუთები ამოვიღეთ. როგორც დაკავებულებმა თავად აღიარეს, მანქანები, რომლებიც მათ ადრე მოიპარეს, უკვე აფხაზეთშია გაყიდული," - აცხადებენ სამართალდამცველები. **24 საათი**

### უფასო იურიდიული დახმარება დედაქალაქის და რეგიონების მცხოვრებლებისთვის

არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლმა" გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" "ღია საზოგადოების ინსტიტუტის" ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის პრეზენტაცია გამართა. პროექტის სახელწოდებაა "სტრატეგიული სამართალწარმოება და ევროსასამართლოს პრაქტიკის დანერგვა საქართველოს სასამართლოებში". პროექტის მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ევროპის სასამართლოში. პროექტის განხორციელების დაწყებიდან 6 თვის განმავლობაში, ევროსასამართლოში 7 საქმე გაიგზავნა, რომელთაგან ორს უკვე პრიორიტეტი მიენიჭა. პროექტის ფარგლებში "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები უფასო იურიდიულ დახმარებას უწევენ როგორც თბილისის, ისე ქვეყნის სხვადასხვა რაიონების მოსახლეობას. როგორც გუშინდელ პრეზენტაციაზე ორგანიზაციის წარმომადგენელმა მანანა კობახიძემ განაცხადა, აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, ადამიანის უფლებათა დაცვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება და მოსახლეობის სამართლებრივი ცოდნის დონე გაიზრდება. **ინტერ-პრესი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ...............................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ...............................................

საკონტაქტო ტელეფონი ...............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

**1**

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქუპონები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს [illegible] სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „აბდუშელის თეატრი" (გალერეა);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "ნიუმარკეტის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**მარინა ბაჩიაშვილი**

ჩემი შვილი, მამნიაშვილი ვანო იმყოფებოდა ქორწინებაში ანა პაპუნაშვილთან. ამა წლის 28 სექტემბერს შეეძინათ ქალიშვილი. ოქტომბრის ბოლოს ანა დაბრუნდა დედის სახლში. მრავალ მიზეზთა შორის, ვფიქრობ, მთავარი იყო ის, რომ ჩემი შვილი ავარიაში მოჰყვა და მხედველობაც დაუზიანდა. რადგანაც ხელი მოწერილი არ ჰქონდათ, შვილი დედის გვარზე დაწერეს. ჩემი ყოფილი რძალი ევროპაში აპირებს გამგზავრებას ბავშვთან ერთად. მაინტერესებს, რა უფლება აქვს ამ შემთხვევაში მამას შვილზე. შეიძლება თუ არა ბავშვს ჰქონდეს მამის გვარი და თუ არ ექნება, აქვს თუ არა უფლება, მიოთხოვოს, რომ მისი შვილი არ გაიყვანონ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ?

ქალბატონო მარინა,

თქვენ კითხვაში არ გაქვთ აღნიშნული, თქვენი შვილი არის თუ არა ოფიციალურად მამად აღიარებული. თუ მამობა დადასტურებულია, მაშინ დედას სჭირდება ოფიციალური, ნოტარიულად დადასტურებული საბუთი, რომ მამა ნებას აძლევს მას შვილის გაყვანაზე. საქართველოს კანონის "საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ" მე-8.1 მუხლი სწორედ ამაზე მიუთითებს. კერძოდ:

დაუშვებელია საქართველოდან 16 წლამდე ბავშვის, აგრეთვე ქმედუუნარო პირის დროებითი გასვლა მისი კანონიერი წარმომადგენლის უნებართვოდ და სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირის თანხლების გარეშე. თუკი მამობა დადასტურებული არ არის, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის თანახმად, თქვენმა შვილმა უნდა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ბავშვის მამად აღიარება და შვილის საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის დაფიქსირება. 1190-ე მუხლი ადგენს შემდეგ პროცედურას:

1. შვილის წარმოშობა ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან დგინდება იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოში მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით. *(2004 წლის 15 ნოემბრიდან 24.05.2004 N 179)*

2. მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის შემთხვევაში მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადებით, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

3. მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

ამის შემდეგ, დედა თვითნებურად ველარ შეძლებს Bშვილის საზღვარგარეთ გაყვანას თქვენი შვილის თანხმობის გარეშე.

**ლია სულაძე**

მე ვარ ქართველი, მაგრამ რუსეთის მოქალაქე. თბილისში გავთხოვდი და მყავს ორი შვილი, რომლებიც აქ დაიბადნენ. ჩემს მეუღლესთან ხელი არ მაქვს მოწერილი. ძალიან მინდა მივიღო საქართველოს მოქალაქეობა, რადგან რუსეთში ცხოვრებას არ ვაპირებ.

ვის უნდა მივმართო და როგორ შეიძლება მოქალაქეობის შეცვლა?

ქალბატონო ლია,

საქართველოს ორგანული კანონი "მოქალაქეობის შესახებ" ადგენს, რომ მოქალაქედ შეიძლება იქნეს მიღებული პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში;

ბ) დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა;

გ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა;

დ) საქართველოში აქვს სამუშაო ადგილი ან რაიმე უძრავი ქონება.

ამავე დროს დადგენილია მოქალაქეობის მიღების გამარტივებული წესი იმ პირებისათვის, რომლებიც იქორწინებენ საქართველოს მოქალაქეზე. 28-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც დაქორწინდება საქართველოს მოქალაქეზე და მასთან ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში, შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ თუკი მან დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა და დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა. არის კიდევ ერთი გამონაკლისი. 29-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა პირს შეიძლება აღუდგეს ამ კანონის შესაბამისად, თუ მას მოქალაქეობა შეუწყდა:

ა) მოქალაქეობის არამართლზომიერი შეწყვეტის შედეგად;

ბ) მოქალაქეობიდან გასვლის შედეგად;

გ) მშობლების არჩევანის შედეგად. ანუ თუ თქვენ საქართველოს მოქალაქე იყავით, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა. მოქალაქეობას პირს ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი. ხოლო საბუთები უნდა შეიტანოთ იუსტიციის სამინისტროში.

**არჩილ კახიძე**

დედაჩემი ლიმონკა სოფრომაძე (კახიძე) დაბადებულია 1928 წელს ქ. ტყიბულში. იყო რეპრესირებულთა ოჯახიდან. თვითონ ცხოვრობდა გადასახლებაში. ლიმონკა სოფრომაძეს არ უსარგებლია არავითარი შეღავათებით (სიცოცხლის პერიოდში).

მეკუთვნის თუ არა როგორც შვილს ყოველგვარი შეღავათები?

ბატონო არჩილ,

თქვენ არ აღგინიშნავთ, დედათქვენმა უშუალოდ განიცადა თუ არა პოლიტიკური რეპრესია. კანონის მესამე მუხლის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა:

ა) პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია;

ბ) პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. ამავე დროს, იმისათვის, რომ თქვენ ისარგებლოთ შეღავათებით, პირველ რიგში სასამართლოს მიერ უნდა იქნეს დადასტურებული ფაქტი, რომ დედათქვენი რეპრესირებულია. ამისათვის უნდა მიმართოთ სასამართლოს. ამის შემდეგ თქვენ მოგენიჭებათ შესაბამისი სტატუსი, რომლის შემდეგაც შეძლებთ შეღავათებით სარგებლობას. ეს შეღავათები კი შემდეგია:

ა) სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა სახელმწიფოს ხარჯზე;

ბ) საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების (გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, გაზი და თბოენერგია, რადიოსა და ტელეფონის სააბონენტო გადასახადი, კოლექტიური ანტენა) ფასდაკლება სახელმწიფოს ხარჯზე - ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო დაწესებულება. ელექტროენერგიის უფასო მოხმარება თვეში განისაზღვრება 30 კვტ სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას - 45 კვტ სთის ოდენობით. საცხოვრებელი ფართობის ქირის შეღავათები უწესდება პირს, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო ფონდის სახლში.

გ) საპროთეზო და ორთოპედიული ნაკეთობებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;

დ) სახელმწიფო სოცუზრუნველყოფის ორგანოების მიერ სახელმწიფო ტრანსპორტით მგზავრობის ტალონებით უფასოდ უზრუნველყოფა დადგენილი წესით;

ე) სამუშაო სტაჟის მიუხედავად სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე(სამსახურში) უპირატესი დატოვება;

მ) პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო იურიდიული კონსულტაციებით უფასოდ სარგებლობა და სასამართლო ხარჯისაგან განთავისუფლება. (მუხლი 12)

**მზევინარ ჯუზაშვილი**

მაქვს ბინასთან დაკავშირებული შემდეგი პრობლემა. 2000 წელს შევიძინე ბინა და გავაფორმე ჩემს სახელზე. ყველა დოკუმენტი ინახებოდა ბინაში, რომელშიც ვცხოვრობდი დედასთან ერთად. დედაჩემს ჩემს დაუკითხავად ჩემი თანხმობისა და ყოველგვარი ხელმოწერის გარეშე ბინა გაუფორმებია სხვა პიროვნებაზე, რომლისგანაც აუღია რაღაც თანხის ოდენობის ვალი. როგორც ახლა გავიგე, ვალს ვერ იხდის და მისმა მევალემ გადაწყვიტა იჩივლოს სასამართლოში. გთხოვთ, მიპასუხოთ, რა უფლება გამაჩნია და როგორ შემიძლია დავიბრუნო ბინა ჩემს მფლობელობაში. ხელზე გამაჩნია მხოლოდ ორი სახის დოკუმენტი: ხელშეკრულება და ქონების გადაცემისათვის გადასახადის დეკლარაცია. ორივე დოკუმენტზე დაფიქსირებულია ჩემი ხელმოწერა.

ქალბატონო მზევინარ,

პირველ რიგში უნდა მიბრძანდეთ საჯარო რეესტრში და გაარკვიოთ, თქვენი ბინა მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით არის თუ არა იპოთეკით დატვირთული. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, რადგან რეალურად მასზე დაფიქსირებული არ არის თქვენი ხელმოწერა.

**იური მერკვილაძე**

მაქვს საბაჟო სამსახურში მუშაობის 40 წლის სტაჟი. 1964 წლიდან 2004 წლამდე ვმუშაობდი ბათუმის საბაჟოში სხვადასხვა თანამდებობებზე. საკლასო ჩინი მესამე კლასის მრჩეველი. 1998 წელს საბაჟო ორგანოებს მიენიჭათ სამართალდამცავი ორგანოს სტატუსი. საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მიხედვით საბაჟოს მოხელეზე ვრცელდება პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, ხოლო საბაჟოს მოხელეთა საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება შინაგან საქმეთა ორგანოს მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს კანონით. აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საბაჟო ორგანოებს სამართალდამცავი ორგანოს სტსტუსი მიენიჭათ 1998 წელს, გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა პენსიის ოდენობა შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის თანაბრად.

ბატონო იური,

გამომდინარე იქიდან, რომ საბაჟო ორგანოებს 1998 წელს მიენიჭათ სამართალდამცავი ორგანოს სტატუსი, ხოლო თქვენ პენსიაში გახვედით 2004 წელს, თქვენზე ეს შეღავათი გავრცელდება და პენსიას მიიღებთ საქმეთა ორგანოების მუშაკთა საპენსიო უზრუნველყოფის თანაბრად.

**რევაზ ასათიანი**

ვარ სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდი, გადამდგარი პოლიციის პოლკოვნიკი, 82 წელს მიღწეული. ინვალიდობის პენსია დამენიშნა ძალოვანი სტრუქტურებიდან, ამასთან საერთო წესით მივიღე მეორე სახელმწიფო პენსია სოციალური დაზღვევის ფონდის განყოფილებიდან. ამდენად, ვღებულობდი ორი სახის პენსიას. მაგრამ იმის გამო, რომ გადავედი წელთა ნამსახურების მიხედვით პენსიის მიღებაზე, რამეთუ პენსია უფრო მაღალი იყო, შემიწყვიტეს სოციალური დაცვის მეორე პენსია.

გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენად სწორია ეს მოქმედება და როგორ უნდა მოვიქცე მის აღსადგენად კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად? მე როგორც I-ლი ჯგუფის ინვალიდს და 82 წელს მიღწეულ პირს მაქვს მუდმივი ჯგუფი და ომის ინვალიდობის სტატუსი.

ბატონო რევაზ,

საქართველოს კანონი "სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ" adgens, rom პირებს, რომლებსაც ამ კანონის შესაბამისად, ერთდროულად რამდენიმე სახის სავალდებულო სადაზღვევო პენსიის მიღების უფლება აქვთ, მათივე არჩევით დაენიშნებათ ერთი სახის სავალდებულო სადაზღვევო პენსია. (მუხლი 6.1). ხოლო კანონის მეხუთე მუხლი სავალდებულო სადაზღვევო პენსიად მიიჩნევს

ა) ასაკით სავალდებულო სადაზღვევო პენსიაs;

ბ) შესაძლებლობის შეზღუდვის გამო სავალდებულო სადაზღვევო პენსიაs da

გ) მარჩენლის დაკარგვის გამო სავალდებულო სადაზღვევო პენსიაs. შესაბამისად, თქვენ სამართლიანად შეგეზღუდათ ორი პენსიის მიღების უფლება.

**ინეზა ლორთქიფანიძე**

2004 წლის 1 ნოემბრიდან ისანი-სამგორის საგადასახადო ინსპექცია მოითხოვს გადასახადის გაზრდას. ადრე საშემოსავლოს ვიხდიდით ხელფასის 50 ლარის 12 %-ს. ე.ი. 6 ლარს. ხოლო სოციალური ანარიცხი ფიქსირებული 50 ლარიდან წარმოადგენდა 16 ლარს. ა.წ. 1 ნოემბრიდან ინსპექცია ითხოვს აღნიშნული გადასახადები ვიანგარიშოთ თანამშრომელთა ხელფასის - 100 ლარიდან. გვაიძულებენ ხელფასების გაზრდას და გადასახადის გაზრდას. მაშინ როდესაც ახალი საგადასახადო კოდექსი ლიბერალიზებულია. კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ მსხვილ ბიზნესს ამით მიეცემათ შეღავათი (ვინც უხდიდა თანამშრომელს 300-500 ლარს), ხოლო მცირე ბიზნესი, სადაც ხელფასები მცირეა და არ აქვს ხელფასების გაზრდის საშუალება, აღმოჩნდება მძიმე მდგომარეობაში. რომელი კანონის თანახმად გვაიძულებენ ხელფასების გაზრდას და გაზრდილი ხელფასებიდან დაბეგვრას? მაშინ როდესაც ახალი საგადასახადო კოდექსი შემცირებული განაკვეთებით, უნდა ნაკლები გადასახადები გადაგვეხადა?

ქალბატონო ინეზა,

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 42-ე მუხლი ადგენს, რომ საშემოსავლო საგადასახადის განაკვეთი არის შემდეგი:

ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება შემდეგი განაკვეთებით:

| დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა კალენდარული წლის განმავლობაში (13.07.2000. 470 საქართველოს მაცნე N30) | გადასახადის განაკვეთი |
|---|---|
| 1. 200 ლარამდე | დასაბეგრი შემოსავლის 12% |
| 2. 201-იდან 350 ლარამდე | 24 ლარი + 200 ლარს ზევით შემოსავლის 15% |
| 3. 351-იდან 600 ლარამდე | 46,5 ლარი + 350 ლარს ზევით შემოსავლის 17% |
| 4. 601 და მეტი ლარი | 89 ლარი + 600 ლარს ზევით შემოსავლის 20% |

(მუხლი 42).

ასე რომ, საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნა კანონის ნორმებში ჯდება. რაც შეეხება ახალ საგადასახადო კოდექსს, იგი ძალაში 2005 წლის იანვრიდან შედის და რა ცვლილებები იქნება იქ გათვალისწინებული ამ კუთხით, ჩვენთვის უცნობია.

**ჟენია მიქიაშვილი**

ვარ 75 წლის პენსიონერი. მეუღლე 12 წლის წინ გარდამეცვალა (მეორე მსოფლიო ომის მონაწილე). მაქვს 30 წლამდე მუშაობის სტაჟი. აქედან 20 წელზე მეტი ვიმუშავე ქუთაისის აბრეშუმსაქსოვ კომბინატში მქსოველად. ჩემი პენსია 20 ლარს შეადგენს. მაინტერესებს, მეკუთვნის თუ არა ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირის პენსია, რადგანაც ომის პერიოდში მობილიზაციის დროს ომისათვის პარაშუტის შესაკერ ქსოვილს ვქსოვდით. სად უნდა გავარკვიო, იყო თუ არა ეს ფაბრიკა გასამხედროებული და მეკუთვნის თუ არა ომის ვეტერანებთან (ზურგში მომუშავესთან) გათანაბრობული პენსია?

ქალბატონო ჟენია,

გასამხედროებული ქარხნებისა და ფაბრიკების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ უშიშროების სამინისტროში. თუ ეს ქარხანა მიეკუთნება გასამხედროებულ საწარმოთა რიცხვს, მაშინ თქვენზე გავრცელდება ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ საქართველოს კანონის დებულებები. ამ კანონის მე-7.1 მუხლის თანახმად, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან:

ე. სამხედრო ობიექტებისა და საწარმოების, სახალხო კომისარიატების მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს გადაყვანილი იყვნენ სამხედრო მოსამსახურეების მდგომარეობაზე და ასრულებდნენ მოქმედი არმიისა და ფლოტისათვის სამხედრო დაკვეთებს, აგრეთვე ზურგის მუშაკები, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან ორდენებითა და მედლებით ომის წლებში მამაცური შრომისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების (მათ შორის, კულტურისა და ხელოვნების) მუშაკები, ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, სატელეგრაფო სააგენტოს, საინფორმაციო ბიუროთა კორესპონდენტები, დოკუმენტური კინოფილმების ცენტრალური სტუდიის (კინოქრონიკის) კინოოპერატორები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში მივლინებული იყვნენ მოქმედ არმიაში სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 7 ივლისის N6139 დადგენილებითა და მის საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის (ბ) 1944 წლის 21 ივლისის ერთობლივი დადგენილებით, ამიერკავკასიაში მშენებარე მეტალურგიული ქარხნის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით სამხედრო მობილიზაციით გაწვეული მეტალურგები, საქართველოში მცხოვრები სოციალისტური შრომის გმირები. თქვენ უნდა მიმართოთ ვეტერანთა დეპარტამენტს და მოითხოვოთ თქვენთვის შეღავათების დანიშვნა.

**გივი მრელაშვილი**

წალენჯიხის ტექნიკური აღრიცხვის სამსახური წლების განმავლობაში გასცემდა ერთი და იმავე შინაარსის ცნობებს, რომ სოფელ საჩინოში მდებარე ჩაის ფაბრიკის ერთადერთი მესაკუთრეა ზაურ შელია. შელიამ წლების განმავლობაში ვალები აიღო (მათ შორის ჩემგანაც), რომლებსაც ახლა ველარ ისტუმრებს და ყველაფრით თავს არიდებს. მისი ერთ-ერთი მევალის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღნიშნული ფაბრიკა გატანილ იქნა აუქციონზე. პირველ აუქციონზე იგი არ გაიყიდა. მეორე აუქციონის წინ ვინმე ფიფიამ სარჩელი შეიტანა სასამართლოში - "ფაბრიკა ჩემიაო". სასამართლო დაეყრდნო ფიფიას მიერ სასამართლოში წარდგენილ ცნობას, რომელიც გასცა იგივე წალენჯიხის ტექბიურომ, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ფაბრიკა ეკუთვნის ფიფიას. პირველმა კრედიტორმა არ ვიცი რატომ, სასამართლო გადაწყვეტილება არ გაასაჩივრა. ტექბიუროს უფროსმა აღიარა დანაშაული და თხოულობს პატიებას. ურთიერთგამომრიცხავი ცნობების გაცემისათვის. მიპასუხეთ, ძალაში რომელი საბუთი რჩება: პირველი თუ მეორე?

მე საჩივარი შევიტანე პროკურატურაში. საქმის მასალებში ვნახე ნოტარიულად დამოქმებული დოკუმენტი, რომლითაც ფაბრიკის ახალი "მფლობელი" გადასცემს ძველ მფლობელს, ანუ ჩემს მოვალეს 62 ათას აშშ დოლარს. პროკურატურისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ახალი მფლობელი ფულის მიცემას ამართლებს იმით, რომ მოვალე თავის დროს ფაბრიკის მშენებლობაში მონაწილეობდაო. ვიდრე პროკურატურა ბოლომდე გამოიძიებს საქმეს, მაინტერესებს, დაარღვია თუ არა კანონი ფაბრიკის ახალმა მესაკუთრემ, რომელიც ინფორმირებული იყო მოვალის ვალების შესახებ. სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს წარვუდგინე სააღსრულებო ფურცელი, რომელიც დააწერეს ერთ-ერთ აღმასრულებელს. აღსრულების პროცესში აღმოჩნდა, რომ ჩემს მოვალეს სხვადასხვა მაქინაციებით გაუსხვისებია თავისი ქონება - ფაბრიკა, საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთი და ა.შ. ფაბრიკის გასხვისებასთან დაკავშირებით მე საჩივარი შევიტანე პროკურატურაში. ამ პერიოდის განმავლობაში აღმასრულებელმა წარმოადგინა გაანგარიშება იმ პირობით, თუ თანხას დათქმულ დროში არ გადავიხდიდი, დამიბრუნებდა სააღსრულებო ფურცელს. მე ვთხოვე აღმასრულებელს, რადგან პროკურატურის მონაცემებით მოვალეს სხვა ქონება არ გააჩნია და ერთადერთი საიდანაც ვალის (27 300 აშშ დოლარი) ამოღება შეიძლება - ფაბრიკაა, დაველოდოთ პროკურატურის დასკვნას. აღმასრულებელმა მაინც დამიბრუნა სააღსრულებო ფურცელი. როგორ მოვიქცე?

ბატონო გივი,

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. აქედან გამომდინარე, თუკი საჯარო რეესტრში ქარხნის მესაკუთრედ დარეგისტრირებულია ფიფია, მაშინ მის მესაკუთრედაც საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ითვლება ფიფია. ამავე დროს, თუკი თქვენ სესხის ხელშეკრულება არ გქონდათ უზრუნველყოფილი იპოთეკით ანდა გირავნობით, მაშინ მოვალეს თავისუფლად შეეძლო განეკარგა თავისი ქონება და გაესხვისებინა იგი. უფრო მეტიც, მას ასევე შეეძლო გაეყიდა იპოთეკით დატვირთული ქარხანა, რადგანაც იპოთეკა აქსესორულ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება და ახალ შემძენზე გადადის. ახლა თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ თქვენი თანხა ზ. შელიასაგან. თუ მას გააჩნია თავის სახელზე რეგისტრირებული რაიმე ქონება, მაშინ მოხდება ვალის ამ ქონებიდან დაფარვა. თუ მას ქონება არ გააჩნია, მაშინ სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა აღარ მოხდება.

**ის, რასაც ადამიანებისგან ვსწავლობ**



B2

**ფერწერული მოზაიკა პასტელში**

მირზაშვილის გამოფენა ვერნისაჟში



B2

**გოგიტიძეს ფალავნობა ჩააბარეს**



B7

# TV მეხუთე დრო




ქეთევან სადღობელაშვილი

### შესავლის მაგიერ

1895 წელს, როცა ძმები ლუმიერების ფილმი "მატარებლის შემოსვლა" პირველად აჩვენეს, მაყურებელი შეშლილივით გამოვარდა დარბაზიდან, რადგან ყველას ეგონა,რომ ორთქლმავალი გადაუვლიდა. მას შემდეგ ინტერესი ეკრანის მიმართ არ განელებულა. "კინოს ხვალინდელმა დღემ"- ტელევიზიამ კი, კამერულ, ოჯახურ გარემოში ერთგვარი ორთქლმავლის ფუნქცია შეითავსა - მაყურებლის ფსიქიკაზე ზემოქმედება და ორთქლის გამოშვება.

ამერიკელები ამბობენ, რომ ტელევიზიამ ბუნებაშიც შეიტანა ცვლილებები და წელიწადის ოთხ დროს მეხუთე, ხელოვნური დრო დაუმატა, რომელსაც ადამიანი მთლიანად ტელეეკრანთან ატარებს. ცივილურ ქვეყნებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ურთიერთკონტროლი მიღებული და სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, აგერ, მარტო ჩვენი მეზობელი რუსეთის პრესას რომ გადავხედოთ, სავალდებულოდ, "ორშაბათის თათბირებივით" მიმოიხილავენ ხოლმე ტელევიზიების საეთერო პოლიტიკას ზოგადად და კონკრეტულ ტელეგადაცემებს, რაც ერთგვარად საზოგადოების გემოვნებისა თუ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ვერ ვიტყვით, ამის გამოა თუ არა რუსული ტელებაზარი მრავალფეროვანი, გემოვნებიანი და ინტელექტუალური, მაგრამ ეტყობა, პრესის ეს ერთგვარი კონტროლი თავის საქმეს მაინც აკეთებს. ვცადოთ ჩვენც!

### აუცილებელი ჩანართი

სანამ უშუალოდ ქართული ტელესივრცის ჩხრეკას დავიწყებდეთ, ერთი იდეა მომივიდა - გამეგო იმ საზოგადოების მდგომარეობა, რომლისთვისაც ჩვენი "ძვირფასი ტელეჟურნალისტები" ტყავიდან ძვრებიან. ამის გარკვევაში, ისე, რომ ჩვეული სამუშაო რიტმი არ შეუცვლია და ჩემი თანდასწრებით სამ საათში 15 პაციენტი მაინც მიიღო, ნევროპათოლოგი, თ.ს.ს.უ ნერვულ სნეულებათა დეპარტამენტის დოცენტი არჩილ საყვარელიძე დამეხმარა. დავინდობ თქვენს ფსიქიკას და სურათის სიმძიმეს დეტალურად არ აღვწერ, მხოლოდ ზოგად მდგომარეობას შევეხები.

პროფესიონალის აზრით: *"ბოლო პერიოდში, ძირითადად ახალგაზრდებში კატასტროფულად იმატა ნევროზით დაავადებულთა რიცხვმა. მიზეზი: იმედგაცრუება, სოციალური გაჭირვება, უმუშევრობა და ამის გამო არასრულფასოვნების შეგრძნება. ნარკოტიკების მომხმარებლებში კი ისეთი დაავადებებიც გვხვდება, ადრე რომ არ ყოფილა, თავად ნარკოტიკის შემადგენლობაა იმდენად შეცვლილი, რომ საშინელ ნევროლოგიურ და ორგანულ დაავადებებს იწვევს, ფუნქციურზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ნევროზი ვლინდება სხვადასხვა სინდრომით, ძალიან ხშირია იპოქონდრიები, ფობიები, პანიკური შეტევები, შრომის უნარის დაქვეითება, დეპრესია და ა.შ. თუნდაც ქუჩის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ მძღოლების 95 პროცენტი, მათი საქციელის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისტერიითაა დაავადებული. წამითაც ვერ ითმენენ, ნერვიულად ცმუკავენ შუქნიშანთან, ოდნავ რომ შეფერხდე, იწყება სიგნალები, გინება, ჩხუბი. ცოდვა გამხელილი ჯობს და ძალიან უჭირს ხელისუფლებასაც, მათი ბოდვების მიხედვით შემიძლია ვთქვა, რომ 60 პროცენტს მაინც აუცილებლად სჭირდება ნევროლოგის ან ფსიქიატრის კონსულტაცია. აღარავინ დაობს იმაზე, რომ ტელევიზიას საზოგადოებაზე ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. ჰიჩკოკის სტილი დამკვიდრდა გადაცემებში: ეს მოკლეს, ის გაიტაცეს, დენი არ გვექნება და ათასი უბედურება, რომელიც საზოგადოების ფსიქიკაზე ნეგატიურად მოქმედებს. ბავშვებთანაც მიწევს შეხება და ვიცი, როგორ ანგრევს ეს ტელეძალადობები მათ ფსიქიკას, რადგან რეალურად აღიქვამენ ხოცვაჟლეტას, ვამპირებს და ჯადოქრებს. მერე გვიკვირს, რატომ მოიმატა ნევროზებმა, ფობიებმა და ისტერიამ. რა თქმა უნდა, ამაში ლომის წილი ტელევიზიისაა, რომელმაც ე.წ. მსოფლიო ცივილიზაცია უკონტროლოდ შემოიტანა ქვეყანაში. ამას წინათ, პროგრამა "დროებაში" სიუჟეტი აჩვენეს ჰოლანდიაზე, სადაც პირდაპირი პროპაგანდა იყო იმისა, რომ პლანი და კანაფი კარგია. ჩვენ ამდენი ხანია ვებრძვით ამ სენს, ესენი კი მარიხუანას, პროსტიტუციას და სქესთა შორის ქორწინებას უკეთებენ რეკლამას, როგორც ამას წინათ, ვითომ კიბოს წამლის რეკლამა რომ გააკეთეს და ხალხში სრული ისტერია გამოიწვიეს. ეს არის არაკომპეტენტურობა და სრული მარაზმი."*

აი, ასეთია მძიმე სურათი. არ ვიცი, რამდენად ითვალისწინებენ ჩვენი "ტელეესთეტები" საეთერო პოლიტიკის განსაზღვრისას აუდიტორიის გუნება-განწყობილებას, თუმცა, რა ცოდნა ამას უნდა, ჩართეთ ნებისმიერი ქართული არხი და ნახავთ - თქვენს ფსიქიკაზე არავინ ფიქრობს! მაყურებლის და შესაბამისად რეკლამის მოსაზიდად მათთვის მხოლოდ ისტერიაა საჭირო.

ანკეტა, რომლის კითხვებზე პასუხის გაცემა ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია, ამ პუბლიკაციას ერთვის. თუ როგორ უნდა იმსჯელოთ ტელევიზიაზე ამ კითხვების მიხედვით, ჩემი მაგალითითაც შეიძლება.

5 ... 4 ... 3 ... 2 ... 1 ... მოტორ !

### ანკეტა

**1. ქართულ ტელესივრცეში რომელ არხს გამოარჩევდით და რატომ?**

**2. როგორი გადაცემების ნახვას ისურვებდით ქართული ტელეეთერით?**

**3. როგორია ქართული ტელევიზიების სამეტყველო ენა და საზოგადოებაზე ზეგავლენის ხარისხი?**

**4. ხედავთ თუ არა დილეტანტიზმის მაღალ დონეს ქართულ ტელეჟურნალისტიკაში? (კონკრეტული მაგალითების მოხმობით)**

**5. გადაცემა და წამყვანი, რომელიც მოგწონთ ან გაღიზიანებთ...**

**1.** ჯერ ჩამოვთვალოთ (არ გვაქვს თუ რა?) და მერე გამოვარჩიოთ.

ამას წინათ, პრეზიდენტმა ბრიფინგი გამართა წამყვანი ტელეკომპანიების ჟურნალისტებთან (ასე გვამცნობდა მორბენალი სტრიქონი), წარმოდგენილი იყო სულ ოთხი არხი: "პირველი არხი," "რუსთავი-2," "მზე" და "იმედი". ესეც შენი ტელებაზარი. როგორც ვიცი, "კავკასიას" არც ხელისუფლება ცნობს და ვერც მოსახლეობა თბილისს გარეთ. თავად თბილისში აღიარებაც გემოვნების ამბავია. აბსოლუტურად გაუაზრებელი და ამორფული ტელეკომპანია "202", ანუ ერთი კაცი 202 ამპლუის ამბიციით, სილაში მოთამაშე ბავშვს უფრო ჰგავს, მშობლებს "დომიკებს" რომ აჩვენებს ნამდვილი მშენებლის სიამაყით.

დანარჩენი ტელერეალობა ასეთია: "მეორე არხი" მოფენილია დედინაცვალი "პირველი არხის" მიერ მონელებული პროდუქციის ნარჩენებით და მის მიმართ სიბრალულის მეტს ვერაფერს იგრძნობ. გაუღიმებს თუ არა კონკიას ბედი და გამოუჩნდება უფლისწული, არავინ იცის. რეანიმაციის პერიოდი უსასრულოდ გაუგრძელდა "იბერიას" და როდის მოხსნიან წვეთოვანს, ესეც უცნობია. "ევრიკის" არხზე გადაბარგებული "მაესტრო", რომელმაც კვალიც კი აღარ დატოვა "ევრიკის" სალხინო ეთერისაგან, ქართველ თინეიჯერებს ნელ-ნელა ისეთ საიდუმლოებებს აზიარებს, მალე „რომის პაპსაც კი აჯობებენ კათოლიკობაში" (კომერციული არხია, ე!). "პირველი სტერეო" კი, საიდანაც ხსენებულმა არხმა აიდგა ფეხი, ახალ პატრონს და ნიშას ეძებს.

ახლა იმ ოთხ, ხელისუფლების მიერ აღიარებულ ტელეკომპანიებსაც დავუბრუნდეთ. (ამ პუბლიკაციაში ზოგადად და მომავალში, რა თქმა უნდა, დაწვრილებით).

### ანონსი

**"პირველი არხი"** თავისი ჭკუით "თვითგამორკვევის" პროცესშია. ჩვენი აზრით კი, ისეთ მდგომარეობაში, ასინეთა რომ განუმარტავს დათა თუთაშხიას: "აბელი ერქვა უწინ, ახლა არქიფო ჰქვია! თვითონ გადაირქვა! ასეა საჭირო და იმიტომ."

ტელეკომპანია **"იმედი"** ცდილობს, საკუთარ თავზე აიღოს ის ფუნქციები, რაც "ნეტარ" დროს სახელმწიფო ტელევიზიას ჰქონდა (ამაში ხალხის იმედიანად ყოფნაც იგულისხმება), და მაქსიმალურად მოიცვას საზოგადოების ყველა ფენის ინტერესი. როგორ ახერხებს ამ "მისიის აღსრულებას"ანუ იმედის კეთებას, ვის ესთეტიკას ეწირება ოლიგარქის მილიონები, შემოჰკრავს თუ არა ჭაში მყოფი ზებოს ზარი "მხოლოდ იმედის არხზე", ამას ჩვენს სპეცგამოშვებებში შეიტყობთ.

10 წელია, რაც **"რუსთავი 2"** არსებობს და ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ისეთ სრულფასოვან მაუწყებლობად, რომლის საეთერო პოლიტიკა, საინფორმაციოანალიტიკური პროგრამების გარდა, სტაბილურად მოიცავდა პუბლიცისტურს, საგანმანათლებლოს, მუსიკალურ-გასართობს, შემეცნებითს, საბავშვოს, კულტურას, თოქ-შოუს და ა.შ. (აქ არ იგულისხმება ეპიზოდური ხასიათის, ე. წ. ერთჯერადი გადაცემები და არაორიგინალური პროდუქცია). თუმცა, ობიექტურობა მოითხოვს, აღინიშნოს ამ სამაუწყებლო კომპანიის „გააზრებული" საინფორმაციო პოლიტიკა - ყოველთვის იცის, რა არის მისთვის უკეთესი და მიზნის მისაღწევად ისიც იცის, როგორ იმოქმედოს საზოგადოების ცნობიერებაზე.

არსად გამიგია, მსოფლიოს მეტ-ნაკლებად ცნობილ ტელეარხებს ისეთი სახელი ერქვათ, როგორიც **"მზეა"** (ან "იმედი"), რომლის ათასგვარ, ხშირად კომიზმამდე მისულ თვითრეკლამას თავად არხი აწარმოებს საკუთარი ანონსებით. სრულფასოვან ტელეკომპანიამდე "მზეს" ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, ჩვენც, ნება-ნება "ჩავუსხდეთ", რა გვეჩქარება.

**2.** ძალიან არ მინდა, ჩემს აუხდენელ ოცნებებში ქართული კულტურის არხიც შევიდეს.

**3.** ტელევიზიის ზეგავლენა საზოგადოებაზე, რაც დრო გადის, უფრო შესამჩნევია, ტელეეკრანი, რომელსაც "ხასიათების რენტგენს" უწოდებენ, ქცევის წესებსაც კი კარნახობს საზოგადოებას. არსებობს მოსაზრება, თითქოს 30-იანი წლების გერმანიაში რადიოს მაგივრად ტელევიზიას რომ ეარსება, მსოფლიო ჰიტლერს გადარჩებოდა. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ხალხმა ბევრი "ჰიტლერი" აიცილა ტელევიზიის მეშვეობით, მაგრამ ეს ხალხის სისუსტეზე კი არა, "ტელევიზიონშჩიკების" სიძლიერეზე მეტყველებს მხოლოდ.

რაც შეეხება ტელეენას, მიუხედავად იმისა, რომ დაწერილი არ რჩება, ხშირად ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებაში დამახინჯებული ფორმით მკვიდრდება და საზოგადოების უმწიფარი ნაწილი თავისდაუნებურად ამ ენით მეტყველებს. ქართული ტელევიზიების სამეტყველო ენა, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, მდაბიურია, რაც განსაკუთრებით თარგმნილ მასალაში ჩანს. ქართული ტელეარხები, ეტყობა, რედაქტორის ინსტიტუტს არ ან ვერ ცნობენ... ეტყობათ, კიდეც.

**4.** ერთი რუსი ტელეკრიტიკოსის პერიფრაზს ქართულ ტელერეალობას თუ მივუსადაგებთ, ასეთ სურათს მივიღებთ - *კარგი ტელევიზია ისეთივე იშვიათობას წარმოადგენს, როგორც ლამაზი გოლები სამამულო ფეხბურთში, რომელიც ქრონიკული, სამოყვარულო სენითაა დაავადებული.* ასე რომ, სამოყვარულო სენით დაავადებულთათვის დილეტანტიზმი, შესაძლოა, კომპლიმენტადაც კი მოგვეჩვენოს.

**5.** აქამდე ჩემს საყვარელ ხუთიოდე ქართველ მწერალს შორის გიო ახვლედიანიც იყო. ახლა ის ერთადერთი წამყვანია ( იქნებ, უფრო მთხრობელი), რომელიც მომწონს, გადაცემასაც მისი საინტერესო ტვინისა და საუბრის გამო ველოდები ხოლმე, თორემ ვიზუალურ მხარესთან პრეტენზიები მაქვს, რა თქმა უნდა. დიდი ინტერესით ვუყურებდი გია მაჩაბელის საუბრებს "მეცხრე არხზე", მაგრამ რაც "პირველ არხზე" დაიდო ბინა, საერთო აურაში თითქოს გაუფერულდა "პირველი არხივით", რა უცნაურია, არა?

წამყვანი, რომელიც მაღიზიანებს თავისი აგრესიულობით, ამბიციურობითა და ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტური ანბანის უცოდინარობით ( თუმცა, ერს რომ წითელ პარასკევს მიულოცავ ეკრანიდან, არც კი ვიცი, რის ცოდნაში უნდა მოვიაზრო), ქართული ტელევიზიების superstar-ადაა შერაცხული, ასეთ "star"-ებს კი სამამულო ტელეჟურნალისტიკაში შეტანილი წვლილისათვის სპეციალური მიძღვნების გარეშე ნამდვილად ვერ დავტოვებთ.

### ასე რომ...

სანამ საზოგადოებრივი მაუწყებლობის ძნელ გზაზე შემდგარი მშობლიური არხი დღეში ათჯერ მაინც გვახსენებს "მთელი ქვეყანა განახლებული პირველი არხის მოლოდინშიაო", შევუერთდეთ ჩვენც ამ დაყურსულ, "გოდოს მოლოდინს". შენგელიას "ესთეტიკით" განახლებული არხი არ გაგვიმართლებს მოლოდინს, თუ რა?

ასე რომ, მომავალ ხუთშაბათამდე, ამ დროს, გაზეთის ამ გვერდზე!

### ა ნ კ ე ტ ა

1. ქართულ ტელესივრცეში რომელ არხს გამოარჩევდით და რატომ?
2. როგორი გადაცემების ნახვას ისურვებდით ქართული ტელეეთერით?
3. როგორია ქართული ტელევიზიების სამეტყველო ენა და საზოგადოებაზე ზეგავლენის ხარისხი?
4. ხედავთ თუ არა დილეტანტიზმის მაღალ დონეს ქართულ ტელეჟურნალისტიკაში?

(კონკრეტული მაგალითების მოხმობით)

5. გადაცემა და წამყვანი, რომელიც მოგწონთ ან გაღიზიანებთ...



ანკეტის კითხვებს პასუხობს მსახიობი **ჟანრი ლოლაშვილი**

**1.** ვერცერთს ვერ გამოვარჩიევ, იმიტომ რომ ქართულ არხებს თითქმის არ ვუყურებ. იმის გამო, რომ ამ ქვეყანაში ვცხოვრობ და ბევრ რამეზე გული მტკივა, ხანდახან საინფორმაციოებს თუ შევხედავ, მაგრამ ნერვები მეშლება, რადგან ყველა ერთმანეთს ჰგავს და თანაც, არ ვიცი, შეთანხმებულად მოქმედებენ თუ რა არის, რატომღაც, ყველა ნეგატივზეა ორიენტირებული. თოქ-შოუებსაც მაშინ შევხედავ ხოლმე, როცა დიდი სკანდალებია, მაგრამ ვერანაირი რეზიუმე და ანალიტიკა მე მათგან ვერ დავინახე.

ძირითადად ვუყურებ "დისქავერის", "მეცოს", არხ "კულტურას" "რტრ პლანეტას" და "ევრო ნიუსს".

**2.** სიამოვნებით ვუყურებდი გადაცემებს ფსიქოლოგიაზე, შემეცნებით პროგრამებს, ისტორიას კინოშედევრებზე, ძველ ქრონიკებს, როგორც საინტერესოდ მოყოლილ ამბებს, ნამდვილ ფაქტებს კომენტარის გარეშე და ყველანაირ კულინარიულ გადაცემას.

**3.** ტელევიზიის გავლენის ხარისხი საზოგადოებაზე ძალინ დიდია და ადამიანთა უმეტესობაც ხშირად ტელეჟურნალისტების ენით მეტყველებს ხოლმე. პირადად მე სლენგებისა და გაუმართავი წინადადებების გამო ნერვებს არ ვიშლი, რადგან მათი აზრებიდან ისედაც ვერაფერს ვიგებ.

**4.** მხოლოდ დილეტანტიზმია და სხვა არაფერი.

**5.** არც მომწონს და არც მაღიზიანებს, რადგან გადაცემებიც და წამყვანებიც ძალიან ერთფეროვანია.



## პაულო კოელიოს სვეტი

# ის, რასაც ადამიანებისგან ვსწავლობ



### მოხუცი ქალი კოპაკაბანაში

ის ავენიდა ატლანტიკაზე, ტროტუარის კიდეზე იდგა, ხელში გიტარა ეჭირა, იქვე ტრაფარეტზე კი ხელით მიეწერა: "მოდით, ერთად ვიმღეროთ".

თავიდან გიტარაზე მარტო უკრავდა და მღეროდა. მერე მას ერთი მთვრალი და ერთიც მოხუცი ქალი შეუერთდა. თანდათან იქაურობა მოხალისე მომღერლებით გაივსო, იდგნენ და მოხუცი ქალის დაკრულზე ერთად მღეროდნენ. ცნობისმოყვარეთა ბრბოს კი იქვე წრე შეეკრა და თითოეული სიმღერის დასრულებას ტაშით ხვდებოდა.

"რატომ აკეთებ ამას?" - ვკითხე მოხუცს ერთ-ერთი პაუზის დროს.

"მარტო რომ არ ვიყო" - მიპასუხა მან - "მე ხომ ისედაც მარტოსული ცხოვრება მაქვს, როგორც ყველა ხანდაზმულ ადამიანს".

რა კარგი იქნებოდა, ყველას ასე მარტივად და ლაღად რომ შეეძლოს პრობლემების გადაჭრა.

### ჩემი სიდნეელი მეგობარი

მეგობართან ერთად ვსეირნობ და სიდნეის პორტს გავცქერით. "ხანდახან ადამიანები ისე ეჩვევიან ფილმებში ნანახს, რომ ბოლოს რეალობა სულ მთლად ავიწყდებათ", - მეუბნება ის - "გახსოვს ის ცნობილი სცენა "ათი მცნებიდან"?"

რა თქმა უნდა, მახსოვს. ეპიზოდში, რომელსაც ჩემი მეგობარი გულისხმობს, მოსე (ჩარლტონ ჰესტონი) ხელს წინ იწვდის, ამ ნიშანზე წყალი შუაზე იპობა და ისრაელის შვილები თავისუფლად გადადიან ზღვაზე.

"ბიბლიაში კი ეს ეპიზოდი სხვანაირად არის", - მიხსნის მეგობარი, - "იქ ღმერთი ეუბნება მოსეს: მიმართე ისრაელის შვილებს, რათა არ დაფრთხნენ და უშიშრად წავიდნენ წინ. და მხოლოდ ღმერთის ამ მინიშნების შემდეგ იწვდის მოსე ხელს წყლისკენ და მხოლოდ შემდეგ იპობა წითელი ზღვა ორად. გამბედაობაა ის უდიდესი ძალა, რაც გზაზე შემდგარი ადამიანის წინაშე ამ გზასაც კი - ანუ, ალტერნატივას, შანსს აჩენს და ხსნის".

### კათოლიკე და მუსლიმი

ერთხელ სადილობისას კათოლიკე მღვდელსა და მუსლიმ ახალგაზრდას ვესაუბრებოდი. ოფიციანტმა კერძებით სავსე ლანგრები ჩამოგვირიგა. ჩვენ სადილობას შევუდექით, მუსლიმმა კი პირი არაფერს დააკარა. ყურანის წესების მიხედვით, ის მარხვას იცავდა.

როცა სადილი დამთავრდა და ხალხმა დაშლა იწყო, ერთ-ერთმა სტუმარმა მაინც ვერ შეიკავა თავი და ხმამაღლა აღნიშნა: "ნახეთ, როგორი ფანატიკოსები არიან ეს მუსლიმები! მიხარია, იმის გააზრება, რომ თქვენ, კათოლიკები, მათ არ გავხართ".

"არადა, ვგავართ. ისიც ისევე ცდილობს, ღმერთს ემსახუროს, როგორც - მე. განსხვავება მხოლოდ ჩვენ მიერ არჩეულ გზებსა და წესებშია".

და ბოლოს მღვდელმა ესეც თქვა: "საწყენია, ადამიანები მხოლოდ იმ განსხვავებებს ხედავენ, ერთმანეთს რომ აშორებთ. არადა, თუ მოყვასს უფრო მეტი სიყვარულით დააკვირდები, შეძლებ, თქვენ ორს შორის არსებული საერთოც აღმოაჩინო. ეს რომ შეგვეძლოს, მსოფლიოს პრობლემების ნახევარი მაინც მოგვარდებოდა".

### ჩემი სიმამრი კრისტიანო ოიტისიკა

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩემმა სიმამრმა ოჯახის წევრები შეგვკრიბა და გამოგვიცხადა:

"ვიცი, სიკვდილი ახალი მოგზაურობის დასაწყისია და მინდა, მგზავრობა ყოველგვარი სინანულის გარეშე დავიწყო. ჩემზე რომ არ იდარდოთ, აუცილებლად გამოგიგზავნით ნიშანს, რომელიც მიგახვედრებთ, რომ ამ ცხოვრებაში ადამიანების დახმარება ნამდვილად ღირს". მერე კრისტიანომ დაგვიბარა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი გვამის კრემაცია უნდა მოგვეხდინა, მისი ფერფლი კი არპოადორის სანაპიროზე მოგვეფრქვია, მისი საყვარელი მუსიკის თანხლებით.

ორი დღის შემდეგ ჩემი სიმამრი გარდაიცვალა. მეგობარი დამეხმარა და კრემაცია საუ პაულოში გავაკეთეთ. რიოში დაბრუნებულები პირდაპირ სანაპიროსკენ გავემართეთ, მაგნიტოფონით, აუდიო-კასეტებითა და ფერფლით სავსე ურნით ხელში. მხოლოდ ზღვაზე მისვლის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ურნას თავსახური მჭიდროდ ჰქონდა დაცული. საჭირო იყო "ატვიორტკა". არადა, ერთადერთი ადამიანი, რომელიც ირგვლივ ჩანდა, მათხოვარი იყო. მან შენიშნა, რომ რაღაც გვიჭირდა და დაინტერესდა: "რა ხდება, რამე პრობლემა გაქვთ?"

ჩემმა სიძემ მიუგო:

"ატვკიორტკა" გვჭირდება, ურნის გასახსნელად, მამაჩვენის ფერფლი უნდა მოვაფრქვიოთ ზღვას".

"ალბათ, მამათქვენი მართლა ძალიან კარგი კაცი იყო იმიტომ, რომ "ატვიორტკა" ეს-ესაა ვიპოვე", - თქვა მათხოვარმა და "ატვიორტკა" გამოგვიწოდა.

*ორი მსოფლიო ბესტსელერი უკვე ქართულად:*
*"თერთმეტი წუთი"*
*სული და სხეული - სიყვარულის ალქიმია...*
*"ალქიმიკოსი" - ახალი გამოცემა*




# ფერწერული მოზაიკა პასტელში

## მირზაშვილის გამოფენა ვერნისაჟში

სოფო კილასონია

მის ნამუშევრებს ყველაზე გამოუცდელი თვალიც იოლად ცნობს. საკმარისია ერთი შეხედო პატარა ზომის, ხელის ერთი-ორი მონასმით შესრულებულ ნახატებს, რათა მისი ავტორი ამოიცნო. თენგიზ მირზაშვილი ის მხატვარია, რომლის შემოქმედებაც ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის იოლად მისაღები და გასაგები ხდება. მისი ნამუშევრები ხომ იმ ემოციისა და სითბოს მატარებელია, რომელსაც მაყურებელი ყოველთვის ხალისით იზიარებს.

გუშინ გალერეა "ვერნისაჟში" თენგიზ მირზაშვილის ნამუშევართა გამოფენა გაიხსნა. იმის მიუხედავად, რომ გახსნაზე საკმაოდ დავიგვიანე, საგამოფენო დარბაზის აივანზე გადმომდგარ მხატვარს მაინც მივუსწარი და კიდეც დავიმსახურე მისგან რამოდენიმე თბილი სიტყვა და მისთვის ჩვეული ღიმილი. თუმცა, სანამ მას შევხვდებოდი, მის მეგობრებს შევუერთდი და ექსპოზიცია არაერთხელ გადავათვალიერე.

გამოფენაზე ბოლო სამი თვის განმავლობაში, მხატვრის გერმანიაში ყოფნის პერიოდში შესრულებული ნამუშევრებია წარმოდგენილი. მუყაოსა და ქაღალდზე - პასტელითა და გუაშით შექმნილი მისთვის დამახასიათებელ პატარ-პატარა ნახატებში ნაირ-ნაირი ფერებით გადმოცემულ მხატვრის განცდებსა და ემოციებს დავინახავთ. მხატვრული ლაკონიზმი, რომელმაც მეტად ინდივიდუალური ხელწერა შესძინა მხატვარს, კიდევ ერთხელ გააკვირვებს "ვერნისაჟში" მისულ დამთვალიერებელს. ექსპოზიციაზე წარმოდგენილ, თითქოს ერთმანეთის მსგავს კომპოზიციებში, თუ კარგად დავაკვირდებით დავინახავთ, რომ არაფერი მეორდება. აღარც მხატვრისათვის საყვარელი თუშეთის ბუნებაა ყველგან ერთნაირი. პატერა ფორმატზე დახატული მისი მთები, ტაძრებითა და აქა-იქ ხეებით სხვადასხვა განწყობითა და ელფერითაა წარმოდგენილი.


ვახო ბესელიას ფოტო

მირზაშვილის შედარებით ადრეული ნამუშევრებისგან განსხვავებით, აქ შესრულების მანერაში მეტი დახვეწილობა შეინიშნება, მეტად "წვრილმანდება" მხატვარი, უფრო მეტყველი და თხრობითია მისი მხატვრული სამყარო. თუმცა როგორც უწინ, არც ერთ მის ნამუშევარს სათაური არ ახლავს, ყველამ ისე უნდა გაიგოს, დაინახოს და რაც მთავარია, განიცადოს როგორც სურს და როგორც შეუძლია. რაც ყველაზე თვალშისაცემია ამ ექსპოზიციაში, მირზაშვილის ნამუშევართა, კონკრეტულად პასტელში შესრულებულ ნაწარმოებთა ფერადოვნებაა. ნაირფეროვანი შტრიხებითა და ლაქებით შექმნილი კომპოზიციები მოზაიკის ასოციაციას აღძრავს და ხალისიან ელფერს ანიჭებს საერთოდ ექსპოზიციას.

მიუხედავად იმისა, რომ თენგიზ მირზაშვილის ბოლო სამი თვის განმავლობაში შესრულებული ნამუშევრების ძველმა შტრიხებმა და მანერამ ახალი განწყობა და ახლებური აფერადება შეიძინა, თავად მხატვარი საკუთარ შემოქმედებაზე თითქმის არაფერს საუბრობს. "ვერაფერს გეტყვით, იმის მეტს, რომ მთელი ცხოვრება ამას ვაკეთებ, ესაა ჩემი საქმე" - სიცილით გვითხრა მხატვარმა და საკუთარ ნახატებს კიდევ ერთხელ გადახედა.

გამოფენა 5 იანვრამდე გასტანს. ასე რომ, დრო კიდევ ბევრია, რათა აღმაშენებლის გამზირზე არსებულ გალერეა "ვერნისაჟს" ესტუმროთ და პატარა ნახატებში დატეული თუშური მთების უსასრულობა და პასტელით შექმნილი ფერწერული მოზაიკები იხილოთ.

# ნდობას გადარჩეული ჩამოწერილი თაობა

## ლიტერატურული საღამო თეატრალურ სარდაფში

სოფო კილასონია

იგი, ისე როგორც სხვა მრავალი, ჩვეულებრივი სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობს, თანაც იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს, უნივერსიტეტის მეორე კორპუსში დადის, იქ სადაც ერთნაირად ქერა, თოჯინების მსგავსი გოგონები მიდიმოდიან, ბიჭებიც ერთნაირად იყურებიან, თუმცა მისი ცხოვრება მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება, როგორც თავად წერს, მას სხვა სამყაროც გააჩნია, სამყარო ადამიანებით, რომლებიც ფიქრობენ, მსჯელობენ და ხანაც გარბიან, ან თავის თავს გაურბიან.

ორი დღის წინ თეატრალურ სარდაფში (რუსთაველზე) ახალგაზრდა მწერლის სანდრო კაკულიას შემოქმედებითი საღამო შედგა. ის, ვინც გოეთეს ინსტიტუტისა და ლიტერატურული კაფეს ხშირი სტუმარია, მას უკვე კარგად იცნობს, თუმცა სარდაფში ისეთიც მრავალი იყო, ვისთვისაც მისი სახელი მხოლოდ გუშინ იქცა აღმოჩენად. პიესები - "ჰავანა", "შიზოფრენია", "საათი", "აჯანყებული გმირები", "ტუფტა", მოთხრობები - "მეოთხე კორპუსი", "ჰაბადი", "კვიპაროსები და პალმები" ის ნაწარმოებებია, რომლებიც ლიტერატურული ჟურლალ-გაზეთების მკითხველისთვის უკვე ნაცნობი უნდა იყოს. რაც შეეხება თეატრის მოყვარულთ, არც მათთვისაა სანდრო კაკულია უცნობი. უკვე კარგა ხანია რაც თეატრალური სარდაფის მაყურებელმა რეჟისორ ლელა ჭინჭარაულის მიერ დადგმული მისი პიესა "ფანჯარა" იხილა.

დარბაზსა და სტუმარს შორის დიალოგი არ შემდგარა, თუმცა საღამოს ამით ხიბლი არ დაუკარგავს. ახალგაზრდა მწერალი სავსე დარბაზს თითქმის შეუსვენებლად უკითხავდა საკუთარ მოთხრობებსა და ჩანაწერებს, მომღიმარი სახით უზიარებდა ამათუიმ საკითხისადმი საკუთარ რადიკალურ და პრინციპულ დამოკიდებულებას, რითიც ხშირად ღიმილსა და სიცილს იწვევდა მსმენელში.

კითხვა მოთხრობით "ნაწვიმარ ბაღში" დაიწყო, მას მოჰყვა "რადიო", "ჰაბადი" და სხვა. თითქმის ყოველი მათგანი პერსონაჟთა მონოლოგებზეა აგებული. მწერალი არ თხზავს მკითხველისთვის მაცდურ სიუჟეტებს, არ იგონებს ინტრიგით სავსე ამბებს, მისი მთავარი სამიზნე ადამიანია, მის გვერდით მყოფი, თუ მეზობლად მცხოვრები. მის მოთხრობებში ნაკლებად ჩანს მოვლენათა თხრობა, აქ ყველგან ფიქრია, ყველგან შინაგანი მონოლოგი. მწერალი აკვირდება მის რჩეულ გმირებს, ძირითადად მისი თაობის წარმომადგენლებს: რადიოს წამყვანს, რომელიც საკუთარი მსმენლის ხმასაც ველარ იტანს, საზღვარგარეთ მცხოვრებ ნიცას და მის მოლოდინში დაბერებულ ბიჭებს, აკვირდება საკუთარ კურსელებსა და თანატოლებს და წერს: "სიბნელე, არც მზე და არც თაობა". საკუთარი თაობისადმი მეტად სკეპტიკური დამოკიდებულება ხშირად იჩენს თავს მის დღიურების მსგავს მოთხრობებში, სადაც ავტორი მკვეთრად უსვამს ხაზს იმას, რომ "ჩამოწერილი თაობა" დრომ და საზოგადოებამ ნდობას გადააჩვია და მათ ადამიანებად აღარ თვლიან.

ყველა ვინც მის ნაწარმოებებში ფიქრობს და რაღაცას მაინც განიცდის - გარბის, ან ოცნებობს გაქცევაზე, თუნდაც კუბაში, ოღონდ აღარ უყურონ ერთფეროვნებას, აღარ იჯდნენ იმ მაგიდასთან, რომელზეც ანაბეჭდებსაც ვერ ტოვებენ ისე მიდიან, ისე ქრებიან. მისი ერთ-ერთი გმირის - ევროპაში მაცხოვრებელი ნიცას გარშემო ყველაფერი დღითიდღე იცვლება და ვითარდება, მაშინ, როცა მისი მეგობრები ნაწვიმარ ბაღში სხედან და ამაოდ ელიან მისგან წერილებს. დრო მათთვის შეჩერებულია, სიცოცხლე გაუფასურდა, ანუ უბრალოდ ცხოვრებად იქცა.

სულ მალე თეატრალური სარდაფის სცენაზე სანდრო კაკულიას კიდევ ერთი პიესა დაიდგმება, მანმადე კი, ყველას, ვისაც მისმა შემოქმედებითმა საღამომ სარდაფში გამართული მშვენიერი ლიტერატურული შეხვედრები მოაგონა და მოანატრა, თეატრის დირექცია იანვრიდან ერთობ საინტერესო პროექტს უმზადებს. ყოველ ორშაბათს, ვაკის სარდაფში თანამედროვე ქართული პიესების კითხვა გაიმართება. მარტივი რეჟისორული ინსცენირებითა და მსახიობთა დახმარებით დაინტერესებული საზოგადოება ქართულ დრამატურგებსა და მათ შემოქმედებას ახლოს გაეცნობა.

# მოძრაობისა და ცოცხალი მუსიკის ლაბირინთებში

## პრემიერა მოხეტიალე თეატრში

ვერა ნეფარიძე

*17, 18, 19 დეკემბერი სამეფო უბნის თეატრში საპრემიერო ჩვენების დღეებია. აქაურობას შეხიზნულ "მოძრაობის თეატრს" თავის რიგით მეოთხე სპექტაკლი გამოაქვს სამსჯავროზე. "ლაბირინთი" კახა ბაკურაძის პირველი ექსპერიმენტია, სადაც მსახიობებს ექსპრესიულობის გადმოსაცემად ცოცხალი მუსიკა დაეხმარებათ.*

სამეფო უბნის თეატრის დარბაზში არ ცივა. თუმცა, უახლოეს მომავალში უკეთეს გასათბობ სისტემას ელოდებიან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამუშაო პირობებია. ამიტომაც, აქ ერთდროულად მიმდინარეობს მუშაობა ახალ სპექტაკლებზე. პირველი მათ შორის რეჟისორ კახა ბაკურაძის დაარსებული "მოძრაობის თეატრის" წარმოდგენაა. "ლაბირინთის" პრემიერა თეატრის სცენაზე პარასკევს გაიმართება.

2001 წელს დაარსებული თეატრი დიდი ხანი არაა, რაც სამეფო უბნის თეატრს "შეეხიზნა". "მოხეტიალე თეატრი ვართ და ამის გამო ბევრ სპექტაკლს ვერ ვაკეთებთ. ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვერგებით ნებისმიერ სივრცეს. ყველგან ვქმნით ატმოსფეროს, რომელიც გვჭირდება", - ამბობს რეჟისორი და მადლიერებას გამოხატავს თეატრის ხელმძღვანელობისადმი. თავის მხრივ, თეატრიც მადლიერია "შეკედლებული" თეატრალებით, რომელთა აქტიურობის წყალობით თეატრალურ სივრცეში შესაძლებელი გახდა წლის განმავლობაში უწყვეტად იმუშაოს თეატრმა. "ჩვენ უკვე ერთი ორგანიზმი ვართ", - ამბობს თეატრის წარმომადგენელი ნიკა თავაძე.


ვახო ბესელიას ფოტო

"ლაბირინთისთვის" სცენა ორ ნაწილად არის გაყოფილი. უფრო სწორად, ორსართულიანია. ზემოთ მუსიკოსები სხედან (მათ შორისაა რეჟისორიც), მათ ქვეშ კი, თეატრალური წარმოდგენა თამაშდება. "ცოცხალი მუსიკის დახმარება ექსპერიმენტია. მგონია, რომ გაამართლებს. მართალია, ძვირი სიამოვნებაა. უბრალოდ, გამიმართლა მუსიკოსებში, ერთი იდეა გვაქვს, სამაგიეროდ ბევრად ეფექტურია. სად ფონოგრამა და სად ცოცხალი მუსიკა", - ამბობს კახა ბაკურაძე, რომელიც სპექტაკლების მიმდინარეობისას სწორედ ხუთ მუსიკოსს შეუერთდება და პერკუსიაზე შეასრულებს.

"ლაბირინთის" იდეა რვა წლის განმავლობაში აწუხებდა რეჟისორს. "დიდი ხანი ვცხოვრობდი გერმანიაში. ემიგრაციაში დაიბადა ამ სპექტაკლის იდეა, მაგრამ იქ არ მოხერხდა მისი განხორციელება. აქ რომ ჩამოვედი, სანამ ფეხს ავიდგამდი, ბევრი ვიხეტიალე, - ამბობს რეჟისორი და იმ პრობლემებზე მიგვანიშნებს, რაც მის მორიგ ნამუშევარშია აქტუალური - ამ სპექტაკლის პრობლემატიკაა ჩვენი სოციუმი, ჩვენი ყოფა; ჩვენში საქართველო იგულისხმება, თუმცა უფრო გლობალურ პრობლემებსაც არ ავუარეთ გვერდი". ამ პრობლემებს 70 წუთის განმავლობაში ნიღბიანი მსახიობები მოძრაობითა და სპექტაკლის მუსიკალური ნაწილის, აფრიკული რიტმების დახმარებით გადასცემენ მაყურებელს.

"ლაბირინთი" "მოძრაობის თეატრის" რიგით მეოთხე სპექტაკლია. თეატრის ორი ნამუშევარი - "მიმიკრია" და "ჩუმად, რეპეტიციააა!", სამეფო უბნის თეატრის რეპერტუარშია შეტანილი და მაყურებელიც ჰყავს. რაც შეეხება პირველ სპექტაკლს - "რიჩარდ III" გადასახალისებელია და მასაც მალე ნახავს საზოგადოება განახლებული სახით. თეატრალურ დასში ამჟამად ექვსი მსახიობია - კულტურისა და თეატრალური ინსტიტუტების კურსდამთავრებულები; "მოძრაობის თეატრს" ჰყავს კომპოზიტორი - კოკი ლორთქიფანიძე (რომელიც ამ სეპქტაკლში მუსიკოსებთან ერთად, "მეორე სართულზე" იმუშავებს), მხატვარი გოჩა თოფურია და ხმის რეჟისორი - გიორგი ბაბილაშვილი. რაც შეეხება "ლაბირინთის" მუსიკალურ მხარეს. სპექტაკლის მუსიკოსებს შორის არიან ცნობილი შემსრულებლებიც: ბერიკა (მამუკა ბერიკაშვილი) და კაკადუ (დათო მაჭავარიანი). როგორი გამოვა მუსიკალურ-თეატრალური ექსპერიმენტი, ამას ხვალ ვნახავთ.

# ფოთი

## ნიკო ნიკოლაძე და ფოთის ნავსადგური

ნინო ოთხოზორია



ფოთისა და მისი ნავსადგურის მშენებლობა ერთმანეთისაგან განუყოფელია, ამიტომ ერთად, მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული. ფოთისა და მისი ნავსადგურის წარმატებით მშენებლობა ძირითადად ნ. ნიკოლაძის ფოთში მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა.

1858 წ., ე.ი. იმ დროს, როცა მეფის მთავრობამ ნავსადგურის გახსნა დაამტკიცა, ფოთი მიყრუებულ, ქოხმახებით მოცულ და ჭაობით დაფარულ დასახლებას წარმოადგენდა. ასე აქვს აღწერილი ფოთი ცნობილ ფრანგ მწერალს ალ. დიუმას, რომელიც 1858 წელს ბაქოდან საქართველოში ჩამოვიდა.

ალ. დიუმას გადმოცემით, ამ დროს ფოთში ქუჩები არ ყოფილა. ატალახებულ გზებზე თავისუფლად "დასეირნობდნენ" ღორები. იგი გზების შესახებ წერს: "ჩვენ მივდიოდით დიდი სიფრთხილით და ვუვლიდით წრეს, როგორც ცხენი, რომელსაც დოღისათვის ამზადებენ, გადავდიოდით ღელეებზე გადებული ბოგირებით და ასეთი კლაკნილებით თითქმის მეოთხედი მილი გავაკეთეთ იმისათვის, რომ პირდაპირი ხაზით ასი ნაბიჯის მანძილზე გაგვევარა. ამ უზარმაზარ გუბეში ღორები დაღრუტუნებდნენ".

ნ. ნიკოლაძის ჩამოსვლით ახალი ეტაპი იწყება ქ. ფოთისა და მისი ნავსადგურის მშენებლობაში. ჩაუდგა თუ არა სათავეში ფოთის მმართველობას, მან მტკიცედ მოკიდა ხელი ნავსადგურის გადაკეთების საქმეს. ნ. ნიკოლაძემ კარგად იცოდა, რომ ფოთის მომავალი - ნავსადგურის წარმატებაზე იყო დამოკიდებული.

მეფისნაცვალმა, თავადმა ბარიატინსკიმ, სასწრაფოდ მოითხოვა, ნავსადგური გადაეტანათ ყულევიდან ფოთში და გაეხსნათ ნაოსნობა მდინარე რიონზე. ამ საქმის გადასაწყვეტად 1857 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ივანოვი. კომისიამ საჭიროდ მიიჩნია ფოთში ნავსადგურის მშენებლობის დაწყება და ნაოსნობის გახსნა მდინარე რიონზე ცხენისწყლის შესართავამდე. 1858 წლის იანვარში ბარიატინსკიმ მისწერა საგარეო საქმეთა მინისტრს, თავად გორჩაკოვს, ფოთის ნავსადგურის გახსნის აუცილებლობის შესახებ. იმავე წლის აგვისტოში რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II ხელი მოაწერა ბრძანებულებას, ფოთი გამოცხადებულიყო სავაჭრო პორტად.

1858 წ. ფოთი გამოცხადდა სანავსადგურო ქალაქად. ამასთან, ორპირამდე მდინარე რიონზე დაიწყო გემების რეგულარული მიმოსვლა 1872 წლამდე. ფოთიდან ორპირამდე კვირაში ორჯერ მოძრაობდნენ შემდეგი სახელწოდების ორთქლის გემები: "თავადი ბარიატინსკი", "ნოვოსელსკი" და სხვ. აღნიშნული გემებით უცხოელ და რუს ვაჭრებს ფოთიდან ორპირში ჩაჰქონდათ შალეული, აბრეშუმის ქსოვილები, მაუდი, მარილი, შაქარი და სხვ. საქონელი, რომლის გადმოტვირთვა ხდებოდა ორპირში, საიდანაც აღნიშნული საქონელი სახმელეთო გზით მიჰქონდათ ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცენტრებში (თბილისი, გორი, ქუთაისი, ახალციხე და სხვ.), სანაცვლოდ ორპირიდან რიონის სანაოსნო გზით ფოთში ჩაჰქონდათ ხე-ტყის მასალა, ბამბა, ღვინო და სხვ.

ნავსადგურის ასაშენებლად დიდძალი ფული დაიხარჯა, მაგრამ კეთილმოწყობილი ნავსადგური ფოთს მაინც არ ჰქონდა, ვიდრე ქალაქის სათავეში ღირსეული ხელმძღვანელი - ნიკო ნიკოლაძე არ იქნა არჩეული.

ფოთის ნავსადგურის მშენებლობა დაიწყო 1863 წელს, დამთავრდა 1888 წელს. 1889 წ. 25 აპრილს ნავსადგური სამხედრო სამინისტროს უწყებიდან გადაეცა გზათა სამინისტროს. ნავსადგური გემების წყნარი დგომისათვის სრულიად მოუხერხებელი იყო, რადგან ნავსადგურში მცირე ტალღის დროს გემებს არ შეეძლოთ უშიშრად დგომა, დიდი ქარიშხლის დროს კი ეს ყოვლად შეუძლებელი იყო. მაგალითად, 1886 წ. თებერვალ-მარტში ამოვარდნილმა ქარიშხალმა ნავსადგურში ღუზას მოჰგლიჯა დზა დაამტვრია ინგლისის გემი "კარო". აუცილებელი იყო ფოთის ნავსადგურის გადაკეთება. 1892 წ. საზღვაო სამინისტროს წინაშე დაისვა ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციის საკითხი, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ თანხების გაღებაზე უარი განაცხადა.

ნ. ნიკოლაძემ დაწვრილებით შეისწავლა ნავსადგურის მშენებლობის პრობლემები, ხარჯთაღრიცხვა და დააყენა პროექტის დამტკიცების საკითხი. პროექტის ავტორი ნ. ვოზნესენსკი 1895 წ. იანვარში ნ. ნიკოლაძეს ოფიციალურად ატყობინებს, რომ ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციის პროექტი განსახილველად გადაეცემოდა გზათა სამინისტროს საინჟინრო საბჭოს. ამ პროექტის განხილვა კვლავ გადაიდო 1896-97 წლებში. ნ. ნიკოლაძეს თვითონ მოუხდა ჩასვლა პეტერბურგში ქალაქისა და ნავსადგურის საქმეების მოსაგვარებლად.

1897 წ. გზათა სამინისტრომ, როგორც იქნა, განიხილა ფოთის ნავსადგურის გაფართოება-გაუმჯობესების პროექტი და მოიწონა იგი. ნავსადგურის გადაკეთება იჯარით გადაეცა ბუნგე-პალაშკოვსკის სამშენებლო ფირმას.

მთავარი პროექტში ის იყო, რომ მიწის ამოღებით გაეღრმავებინათ და გაეფართოებინათ შიდა აუზი, ეს საშუალებას მისცემდა გემებს, უშიშრად შესულიყვნენ ნავსადგურში. ვოზნესენსკის ამ პროექტის განხორციელება 370 000 მანეთი ჯდებოდა.

1897 წ. საბოლოოდ დამტკიცდა პეტერბურგის საგზაო-საინჟინრო ინსტიტუტის პროფესორ ვოზნესენსკის პროექტი, რის შემდეგ 1897 წ. 23 დეკემბერს მშენებელ ორგანიზაციასთან დაიდო სათანადო ხელშეკრულება. მუშაობის პროცესში ზოგიერთი სამუშაოს დამატების, ან შეცვლის გამო, 1898 წ. 15 დეკემბერს დაიდო დამატებითი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მშენებლობის დამთავრებას. 1899 წ. დამდეგს მთავრობამ საბოლოოდ დაამტკიცა ნ. ვოზნესენსკის პროექტი. პროექტის დამტკიცებით აღფრთოვანებული ნ. ნიკოლაძე გზათა მიმოსვლის მინისტრს ატყობინებდა: "დღეს შევევედრეთ რა უფალს, შევუდექით ფოთის ნავსადგურის შუაგულ აუზიდან მიწის ამოსაღებ მუშაობას ინჟინრის ვოზნესენსკის პროექტის მიხედვით".

ნავსადგურის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით გამართულ ზეიმზე უფროსმა ინჟინერმა მეიერმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ნ. ნიკოლაძეს: "ნავსადგურის საქმე იმ ლაფში ჩაფლულ ურემის ბედს მომაგონებდა, რომელსაც გარს აუარებელი ხალხი დასტრიალებდა სიცილითა და ხარხარით, ხოლო საშველად კი არც ერთს თავი არ შეუწუხებია. ასეთ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ნავსადგურის საქმე, ხოლო როცა ამ დროს ბ-ნი ნ. ნიკოლაძე სათავეში ჩაუდგა მას, მისი ბედ-იღბალიც ისე შეიცვალა, როგორც მკვიდრთა კეთილდღეობას შეეფერებოდა".

ფოთის თვითმმართველობის დადგენილებით ნ. ნიკოლაძე გაიგზავნა მივლინებაში უცხოეთის ნავსადგურების დასათვალიერებლად. მან იმოგზაურა 1900-1901 წწ. ნახა ევროპის მნიშვნელოვანი ნავსადგურები, შეისწავლა მათი სტრუქტურა და ტვირთბრუნვის მექანიკა, შეეცადა, აღნიშნული ნავსადგურების მშენებლობის გამოცდილება შეეფარდებინა ადგილობრივი პირობებისათვის.

საზღვარგარეთიდან ნიკო ნიკოლაძის დაბრუნების შემდეგ, ფოთის ნავსადგურის აკვატორიუმის რკინის მასალით ამოშენება უარყოფილ იქნა და გადაწყდა, ის აეგოთ ცემენტით. 1902 წლისათვის ფოთის ნავსადგურის მშენებლობა დამთავრდა. 1902 წ. 4 მაისს შეიქმნა დამთავრებულ სამუშაოთა მიმღები სპეციალური კომისია. სამუშაო შეასრულეს კონტრაგენტებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ. კომისიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო შესრულებულად ჩათვალა.

ნავსადგურში ტვირთბრუნვის სისწრაფეს აფერხებდა დატვირთვა-გადმოტვირთვის პრიმიტიული წესები. ასე მაგალითად, მარგანეცით დატვირთული ვაგონები იცლებოდა ნიჩბით, ხოლო გემები იტვირთებოდა კალათების საშუალებით. ნ. ნიკოლაძის მეთაურობით ქალაქის თვითმმართველობამ მრავალი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ მოახერხა, მიეღო ელევატორის დადგმისა და ელსადგურის მშენებლობის ნებართვა.

ქალაქის თვითმმართველობამ 1905 წლის 25 აპრილს შავი ზღვის სამშენებლო საზოგადოებას დაუდო ხელშეკრულება ელევატორისა და ელსადგურის აგების შესახებ. თვითმმართველობა ვალდებულებას კისრულობდა, შესრულებული სამუშაოსათვის გადაეხადა 370 000 მან. მშენებელი ორგანიზაცია მოვალე იყო, დაედგა რკინის 2 ამწე და აეგო 320-ცხენისძალიანი ელსადგური.

1908 წ. დამთავრდა ელევატორის მშენებლობა. ქალაქის გამგეობამ ის ჩაიბარა იმ ვარაუდით, რომ ორივე ელევატორს ერთდროულად დღეში უნდა ჩაეტვირთა 300 000 ფუთზე მეტი მარგანეცი. ამრიგად, ნ. ნიკოლაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა ფოთის ნავსადგურის მექანიზაციასა და ელექტროფიკაციას.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ აღიარა, რომ ნავსადგური 1900-1907 წწ. რეკონსტრუქციის შემდეგ ერთადერთი საუკეთესო, წყნარი და უშიშარი ნავსადგური იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ნ. ნიკოლაძის მიერ შემუშავებული პროექტით, 1901 წელს ქალაქის საბჭომ განიხილა და დაამტკიცა ფოთის მშენებლობის გეგმა. ამ გეგმის საფუძველზე 1902 წ. დამდეგიდან ქალაქში ფართოდ გაჩაღდა კომუნალური მშენებლობა. ქუჩები კვადრატულად დაიგეგმა. გეგმის საფუძველზე 1902-1905 წწ. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გაიყვანეს განიერი და სწორი ქუჩები, რომელიც 1906-1908 წწ. ქვაფენილით მოპირკეთდა.

მდინარე რიონზე აიგო 100 საჟენზე მეტი სიგრძის კაპიტალური ხიდი, რითაც ქალაქის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროები ერთმანეთს დაუკავშირდა. აიგო ხიდი მდინარე მალთაყვაზეც. მდინარე რიონის ორივე ტოტის ნაპირებზე აშენებულ იქნა ქვისა და ხის ჯებირები, რომელმაც ქალაქის ტერიტორია დაიცვა მოსალოდნელი წყალდიდობისაგან. ჭაობის დაშრობის მიზნით, ქალაქისა და მის განაპირა უბნებში გაიყვანეს წყლის საწრეტი არხები.

1908 წ. პირველად განხორციელდა ქ. ფოთის ელექტროფიკაცია. ელექტროფიცირებული იყო ნავსადგური, რკინიგზის სადგური და სხვა დაწესებულებები.

ნ. ნიკოლაძე წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა სარკინიგზო ხაზების გამყვან კომისიებსა და ამხანაგობებში. ქართველი პუბლიცისტის განხორციელებული გეგმებიდან ყურადღების ღირსია ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანა 1872 წ., რისთვისაც მას ჯილდოდ გადაეცა ოქროს ჟეტონი. ეს ჟეტონი ნ. ნიკოლაძეს აძლევდა უფლებას, რუსეთის იმპერიის ფარგლებში, სიცოცხლის მანძილზე, უფასოდ ემგზავრა რკინიგზით ცალკე კუპეში.

დიდი საზოგადო მოღვაწის არაერთი ჩანაფიქრი და პროექტი დღესაც ხალხის სამსახურშია, დღესაც ხელს უწყობს და ეხმარება ჩვენი ქვეყნის ეროვნული დაწინაურების საქმეს.

## ქალაქ ფოთის ეკოლოგიური პრობლემები

1. ქალაქში გამავალი მდინარე რიონის ტოტი (არხი) წყალგამყოფი კვანძიდან ზღვამდე ვერ უზრუნველყოფს წყლის იმ ხარჯების გატარებას, რომელიც შესაძლებელს გახდის ნაპირწარმომქმნელი პროცესების გაძლიერებას და ზღვის სანაპირო ზოლის წარეცხვებისაგან დაცვას.

პირველ ეტაპზე აუცილებელია არხის ამოწმენდა-დაღრმავება, საპროექტო პროფილში მოყვანა იმ ვარაუდით, რომ მისმა კალაპოტმა შეძლოს წამში 360 კუბ მ წყლის ხარჯის გატარება, რაც უზრუნველყოფს სანაპირო ზოლის ზღვის წარეცხვით მოქმედების მინიმუმამდე დაყვანას.

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა - 14 ათასი ლარი.

ამოწმენდა-დაღრმავების სამუშაოთა წარმოება - 850-950 ათასი ლარი.

2. მდინარე კაპარჭინამ გაიკეთა ახალი კალაპოტი ზღვასთან შეერთების უბანზე და ინტენსიურად რეცხავს მალთაყვის ფიჭვნარს საკურორტო ზოლში და ემუქრება წარეცხვით ფოთი-ბათუმის საავტომობილო გზას და ორი კილომეტრის მანძილზე მიუვალი გახადა ზღვის სანაპირო ზოლი.

ახალი კალაპოტის გადაკეტვა ქვაყრილის ზღუდარით და ზღვასთან შემაერთებელი ძველი კალაპოტის აღდგენა.

პროექტი არსებობს, მშენებლობის ღირებულება 131 ათასი ლარი.

3. მდინარე კაპარჭინა, რომელიც მოქცეულია ქალაქის ფარგლებში, პალიასტომის ტბიდან მალთაყვამდე დასილულია, ძლიერ დანაგვიანებულია, დაჭაობებულია და წარმოადგენს ანტისანიტარიის კერას.

გაწმენდა, ძველი კალაპოტის აღდგენა, რიონთან შეერთება.

საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა 35 ათასი ლარი, მშენებლობის ღირებულება 550-600 ათასი ლარი.

4. კოკისპირული წვიმების დროს ტერიტორიის ცალკეული უბნები, მათ შორის საცხოვრებელი სახლებისა და შენობა-ნაგებობების პირველი სართულები იტბორება, რაც ამძიმებს ეკოლოგიურ ვითარებას. არსებული არხთა ქსელი არასაკმარისი გამტარუნარიანობისაა და ვერ უზრუნველყოფს წყლების დროულ გაყვანას.

სანიაღვრე კანალიზაციის არსებული ქსელის კორექტირება, შეჩერებული მშენებლობის განახლება.

სანიაღვრე ქსელის (150 კმ) მოსავლელად სპეციალიზებული სამსახურის შექმნა.

ბიუჯეტში ფინანსური შესაძლებლობის კვალობაზე.

5. მდ. რიონის ჰიდროკვანძი უკიდურესად ავარიულ მდგომარეობაშია, კერძოდ, ქვედა ბიეფიდან წაღებულია გარეცხვის საწინააღმდეგო რისბერმის ელემენტები, გამორეცხილია კაშხლის კბილი, რის გამოც დაზიანებულია წყალსატუმბი ნაწილი, რაც ავარიის მომასწავებელია და თუ გადაუდებლად არ იქნა განხორციელებული ავარიული დაცვითი ღონისძიებანი, მოსალოდნელია მდ. რიონის სათავე კვანძის დანგრევა, რის შედეგად ქალაქ ფოთს, ნავსადგურს, სხვა სასიცოცხლო ობიექტებსა და მოსახლეობას მიეყენება გამოუსწორებელი ზარალი, ადამიანთა მსხვერპლიც კი.

მსოფლიო ექსპერტების შეფასებით, კუნძულის უბანში ნაპირსამაგრი სამუშაოების, ქალაქში გამავალი მდ. რიონის არხისა და კვანძის სარეაბილიტაციო ღონისძიებების გასატარებლად საჭირო საორიენტაციო თანხა შეადგენს 25 მილიონ დოლარს.

**შენიშვნა:** სხვა დანარჩენი ეკოლოგიური პრობლემები ნაგავსაყრელის, ბეკერის ორმოსა და ფეკალური კანალიზაციის სახით შესულია ამ პროგრამის სხვა თავებში.

**ა. ტყებუჩავა**

*მერიის მრჩეველი ეკოლოგიის, გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხებში*

## როგორ "წარმოაჩინა" კოლხური სიმდიდრე ფოთის ყოფილმა მერმა საფრანგეთში

თეა აბსარიძე

*რადიო "თავისუფლება", ტელეკომპანია "მე-9 ტალღა" სპეციალურად "24 საათისთვის"*

1996 წელს ფოთის იმდროინდელმა მერმა, ნუგზარ ნადარაიამ საფრანგეთის ქალაქ აგდში, ძველი საბერძნეთისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის კულტურისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ფოთის კოლხური მუზეუმიდან ექსპონატები კულტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე, თვითნებურად წაიღო და გაასაჩუქრა.

უნიკალური კოლხური ექსპონატები, ორი, რკინისა და ბრინჯაოს, ცული 1962 წლიდან ინახებოდა ფოთის ისტორიულ მუზეუმში, ისინი 1935 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელშია ნაპოვნი და თარიღდება ჩვ.წ. აღრიცხვამდე მე-13-14 საუკუნით.

დღეს უძველესი კოლხური ექსპონატები საფრანგეთის საკუთრებას წარმოადგენს. ისინი ქ. აგდში, ეფების მუზეუმში დიდი პატივით ინახება. გაჩუქების ფაქტს მუზეუმის დირექტორი სილოვან გვასალია დანაშაულებრივ ქმედებად არ მიიჩნევს. "ეროვნული საუნჯის გატანა არ არის რეკომენდებული, მაგრამ ეს გამონაკლისი შემთხვევა იყო. ჩვენი მხრიდან ეს იყო კეთილმეგობრული ჟესტი, შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების გაწევრიანების საქმეში. ეს საფრანგეთისთვის არის საკვირველი და მნიშვნელოვანი ექსპონატები, თორემ ჩვენ მსგავსი ნივთები კიდევ გვაქვს და შეგვიძლია კიდევ აღმოვაჩინოთ ძველ კოლხეთში," - აცხადებს მუზეუმის დირექტორი, ისტორიკოსი, უნივერსიტეტის ლექტორი სილოვან გვასალია.

მაშინ თავად ნადარაია გაჩუქების ფაქტს არ უარყოფდა, ამბობდა, რომ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია და ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღებას მის თანამდებობრივ უფლებამოსილებას უკავშირებდა. "მე მქონდა უდიდესი უფლებები. 2 წლის მანძილზე ვიყავი პრეზიდენტის რწმუნებული და ფოთის მერი. გამოვიყენე ეს სტატუსი და გავაკეთე კეთილი საქმე. საფრანგეთში, კონფერენციაზე ერთხმად აღიარეს, რომ ეს ექსპონატები არ არის ძველბერძნული თუ რომაული ცივილიზაციის ნარჩენები, ეს არის კოლხური სიმდიდრე. მათ ზეიმითა და აჟიოტაჟით მიიღეს ეს საჩუქარი და განათავსეს საპატიო ადგილას. ჩვენ ბრინჯაოსა და რკინის ცულები კიდევ გვაქვს, ამ საქმით კი დიდი მეგობრები შევიძინეთ." - ამბობდა ფოთის ყოფილი მერი. მოგვიანებით ნადარაია პოზიციას ცვლის და აცხადებს: "ის ნივთები არავის მოუპარავს, არის ქ. აგდში და ჩამოიტანენ უკან".

ისტორიკოსი ლუიზა თედელური კოლხური ექსპონატების მნიშვნელობაზე საუბრობს: "საამაყოა, რომ ფოთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში შესანიშნავი ექსპონატებია. ყოვლად დაუშვებელია მათი საზღვარგარეთ გატანა. ჩვენი მოვალეობაა, შთამომავლობას დავუტოვოთ ეს განძი."

"რის საფუძველზე მოხდა ექსპონატების გატანა, გაურკვეველია. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უნდა მოხდეს ამ საკითხზე რეაგირება. კულტურის სამინისტროშიც ვერ აღმოვაჩინეთ ამ ნივთების საზღვარგარეთ გატანისა და მით უმეტეს, გაჩუქების ნებართვა. სამინისტრომ დაგვიდასტურა, რომ ეს ქმედება დაუშვებელია. ველოდებით მათ რეაგირებას," - აცხადებს კულტურის განყოფილების იმდროინდელი უფროსი სოსო გვაძაბია და კოლხური კულტურის უნიკალური ნივთების დაბრუნებას აუცილებლობად მიიჩნევს.

ოფიციალური ნებართვა, ექსპონატების გატანის თაობაზე, არ არსებობს, მაგრამ ფოთის მუზეუმში ინახება ცნობა ეფების მუზეუმისათვის საჩუქრების გადაცემის თაობაზე. დოკუმენტი თარიღდება 1996 წლის 12 სექტემბრით და ხელს აწერენ ფოთის ყოფილი მერი ნუგზარ ნადარაია და ქ. აგდის ეფების მუზეუმის რწმუნებული, ფონდების მცველი ოდილ ბერნარდ აზუზი. ცნობაში ნათქვამია, რომ არქეოლოგიური საგნები გადმოცემულია ძველი საბერძნეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის განყოფილებისათვის. იურისტი გიორგი აბაშიძე მომხდარ ფაქტს კანონდარღვევის კვალიფიკაციას აძლევს: "იმ დროს არსებული ნორმატიული აქტების თანახმად ნადარაიას არ ჰქონდა ნივთების საქართველოდან გატანის უფლება, უფრო მეტიც, კანონმდებელი მას, როგორც მერს, პირად პასუხისმგებლობას აკისრებდა ასეთი ნივთების დაცვის უზრუნველყოფაში. ხოლო იმ ნივთების საქართველოს ფარგლებს გარეთ გასატანად, რომელთა გატანაც დასაშვები გახლდათ, აუცილებელი იყო კულტურის სამინისტროს შესაბამისი ნებართვა, მხოლოდ ასეთი ლიცენზიის აღების შემდეგ იყო ნებადართული მათი გატანა საქართველოდან".

ფოთის ყოფილი მერის "გულუხვობის" წყალობით, საზღვარგარეთ გატანილი ექსპონატების დაბრუნება კოლხური კულტურის ხალხს არატრადიციული ფორმით მოგვიწევს.

## წარსულიდან...

მამუკა საყვარელიძე

1770 წელს უკვე ეკატერინე მეორისთვისაც ნათელი გახდა, რომ იმპერიის ყოფილი მოღალატე, ბოლოს შეწყნარებული და საქართველოში წარმოგზავნილი გენერალი ტოტლებენი უბრალოდ კრეტინია და ვერაფერს სასიკეთოს ვერ იქმს. მის ადგილას სამხედრო კოლეგია ნიშნავს გენერალ სუხოტინს (ტოტლებენი ფრიდრიხ მეორის ჯაშუში იყო).

ეკატერინე მეორე კატეგორიულ დავალებას აძლევს სუხოტინს, რომ რადაც უნდა დაგიჯდეს, ფოთი დაიპყარი - გაათავისუფლე იგი თურქებისაგან და ჩვენს პლაცდარმად აქციეო.

1771 წელს სუხოტინი საქართველოშია. ქართველ მეფეებთან მოაქვს იმპერატრიცას წერილები, სადაც ეწერა, რომ ტოტლებენი "მისივე ნებით გადადგა" და ახლა სუხოტინს დაუდექით გვერდით და დაემორჩილეთო!(?)

ერეკლე მეფემ ეს ადრევე იცოდა და საზეიმო შეხვედრა მოუწყო სუხოტინს დუშეთსა და ტფილისში.

პეტერბურგს ჩასული ტოტლებენი კი რუსეთის მთავრობას მოახსენებდა: სუხოტინს ბევრი რამ გაკეთებული დავახვედრეო: - მეფეთა დაუხმარებლად იმერეთში, გურია-სამეგრელოში თურქები გავანადგურეო. შორაპნის, ბაღდათის, ქუთაისის, ანაკლიის, რუხის, კინდრიშის ციხეები ხელთ ვიგდე. მართალია, ქალაქი ფოთი თურქებისაგან გავწმინდე, ფოთის ციხე მაინც აუღებელი დამრჩაო (ფოთის ციხე დღევანდელი ცენტრალური მოედნის ადგილას იყო). თქვენ უკან რომ არ გამოგეწვიეთ, ცხადია, ფოთის ციხესაც ავიღებდიო.



სუხოტინი კი მთავრობას აუწყებდა, რომ ტოტლებენმა ჯარი უტანსაცმლოდ, უკარვებოდ, საკვების მარაგის გარეშე, უცხენებოდ დაახვედრა. უნაგირების საწყობი ხონში დაუწვავთ. ქვემეხები დენთის გარეშეა, ხაზინა გაჩანაგებულია... და მოითხოვს სასწრაფოდ მიაშველონ 117 216 მანეთი, 1399 ცხენი და ა.შ.

1771 წ. 15 ივნისს ქართლში, სოფ. ხელთუბანში ერთმანეთს შეხვდნენ მეფე ერეკლე, სოლომონ მეორე და სუხოტინი. შეადგინეს სამხედრო გეგმა დასავლეთ საქართველოდან და, უპირველეს ყოვლისა, ფოთიდან მტრის განდევნისა. ამისათვის მეფე ერეკლეს 14 300 კაცი უნდა გამოეყვანა, 2 ათასი ბორჩალოს მხარის დასაცავად, 2 ათასი კახეთის, 300 კაცი გორის დასაცავად. მეფე ათი ათასი კაცით ახალქალაქ-ახალციხე-ყარსის მიმართულებით უნდა შეჭრილიყო და არ უნდა მიეცა აქ ფეხმოკიდებული თურქებისათვის საშუალება, ფოთში მდგარ თურქებს დახმარებოდნენ, რომელსაც შეუტევდა სოლომონ მეფე 6000 კაცით. ამ დროს გურიელს უნდა შეეკრა ტრაპიზონიდან ზღვისპირზე მომავალი გზა, დადიანს უნდა შეეკრა აფხაზეთიდან მომავალი გზები და დაეცვა ქალაქი ქუთაისი.

ფოთის აღება საქართველოსთვის თურქების განდევნას ნიშნავდა. რუსებისთვის კი იწყებოდა კონტროლი შავ ზღვაზე. ხმელთაშუა ზღვაში მყოფი რუსეთის ესკადრა შავ ზღვაზე შემოვიდოდა.

დიდებული რამ ხდებოდა, აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველო გაერთიანდა მტრის წინააღმდეგ, მაგრამ... მაგრამ სუხოტინი ამ შემთხვევაში თავისი როლის დაკნინებას ხედავდა. არადა, იმპერატრიცას მოკურკურე გენერალს თვითონ სურდა, ფოთის ციხის გასაღები პირადად მიერთმია ეკატერინე მეორისათვის. მომზადებული ოპერაცია ჩაშალა რეგვენმა რუსის გენერალმა. ქართველ მეფეთაგან შეუთანხმებლად დაიძრა ფოთისკენ შუა ზაფხულში. ჯარი მალე მალარიამ შეიპყრო. გაწბილებული სუხოტინი ქუთაისიდან, თითქოს მომაკვდავი ავადმყოფი, წერილს წერს ეკატერინეს და უხსნის, რატომ ვერ აიღო ფოთის ციხე.

გაბრაზებული ერეკლე მაინც დაერია თურქებს და ხერთვისი აიღო.

სუხოტინის ბრიყვულმა ქმედებამ განსაკუთრებით ცუდ დღეში ჩააგდო სოლომონ მეფე.

ფოთის ციხე კი კარგა ხნით აუღებელი დარჩა.

რუსეთმა უკან გაიხმო თავისი ჯარები, რითაც სოლომონ-ერეკლეს აღშფოთება, ხოლო გარსმოჯარულ მუსულმან ქვეყანათა სიხარული გამოიწვია.

# "23 ნოემბერმა უფსკრულისკენ დაქრული ქვეყანა შეაჩერა"

## ინტერვიუ ქალაქ ფოთის მერთან ვახტანგ ალანიასთან ციფრებისა და პროცენტების გარეშე



*მოკლე ბიოგრაფია:*
*დაიბადა 1958 წ. 30 აპრილს ქ. ფოთში. 1975 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა. ერთი წელი ნავსადგურის მუშაა. 1982 წ. დაამთავრა კალუგის სახელმწიფო პედინსტიტუტი ინგლისური და გერმანული ენების, შემდეგ ისტორიის ფაკულტეტები. აქვე დაიწყო სოფლის სკოლის მასწავლებლობა. 1985 წ. გერმანულ ენას ასწავლის ფოთის III საშუალო სკოლაში. 1986 წ. ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილეა. მუშაობს პროფკავშირულ თანამდებობებზე.*
*1990 წ. დააარსა საწარმოო კოოპერატივი "ტალღა".*
*1991 წ. წყალქვეშა გემის კაპიტნის თანაშემწეა.*
*1998 წ. დააარსა ჩვენში პირველი ეროვნული კერძო საზღვაო სააგენტო "სოფმარი".*
*1999 წ. დააფუძნა საზღვაო სააგენტოების ასოციაცია, სადაც აირჩიეს პრეზიდენტად.*
*2002 წ. აირჩიეს ქ. ფოთის საკრებულოს წევრად.*
*ქალაქ ფოთის მერად აირჩიეს 2003 წ. დეკემბერში.*
*ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.*

იგი მეცხრამეტე საუკუნის იმერელ აზნაურს უფრო ჰგავს. მოძრავია და თავდაჯერებული. ხშირად იცინის, იუმორის ჭარბი შეგრძნება აქვს. სჩვევია მოულოდნელად წარბების შთამბეჭდავად შეყრა და საუბრის შესაბამისი ტონალობით წარმართვა. არტისტულია.

ჩვენს შეხვედრას "საადაპტაციო" ხუთწუთეული თან ახლავს. საღამოა და მერიის შენობა ელექტრონით განათებულია. ტელევიზორს შევყურებთ. პრეზიდენტი სააკაშვილი აჭარის მხარეს სწვევია. ხალხს ხვდება, მოგზაურობს ახალი ავტობუსით, მერე იქვე აგებულ საპატრულო ვერტმფრენშიც ვხედავთ. მერე ზემო ქედაში პენალტს ურტყამს და მარცხენა ზედა კუთხის "ცხრიანში" გააქვს. როგორც ჩანს, ორივეს მოგვწონს, რასაც ვხედავთ.

**- პრეზიდენტმა სულ ცხრიანში უნდა ურტყას,** - კმაყოფილი ამბობს ვახტანგ ალანია, ქალაქ ფოთის მერი, რომელსაც უკვე 1 წლის მუშაობის სტაჟი აქვს.

- მერებმა, მინისტრებმა, ყველამ ცხრიანში უნდა ურტყან, - ვაგრძელებ თემას. მერი ღიმილით მიქნევს თავს და გამოხედვით მებოდიშება. ტელეფონს იღებს. საუბარი ჩემთვის გასაგებ რუსულ ენაზე მიდის. არ მიკვირს რესპონდენტის სუფთა, უაქცენტო რუსულის მოსმენა. აკი ვიცი, ფოთის III რუსული საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული. ისიც ვიცი, კალუგის უცხო ენათა ინსტიტუტი რომ დაუსრულებია. ამიტომ, როდესაც საიდანღაც მოლაპარაკე უცნობმა კიდევ უფრო უცნობს რომ გადასცა ყურმილი, ის ინგლისელი ან ამერიკელი აღმოჩნდა. მესმის, სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობი ინგლისური საუბარი და კიდევ ერთხელ ვაჭეშმარიტებ, რომ სულ სხვა ცხოვრების წიაღ ვართ.

**- თქვენ უკვე ოთხი დღეა ფოთში ხართ, არა?**

- დიახ, მეხუთე დღეა, - სატელეფონო საუბარი დასრულდა. ვახტანგ ალანია თვითონ იწყებს შეკითხვებს.

**- ცხოვრობთ მალთაყვის სასტუმროში, რომელიც გარედან მტერს უბრმავებს თვალებს, შიგნით კი მოყვარეს...** (დანანებით თავს გადააქნევს). **საშინლად ცივა, არ არის სინათლე, გაზი და, მგონი, სასმელი წყალიც. ეს ოთხი დღე დადიხართ ქალაქში, რომელიც ქალაქს აღარ ჰგავს... ამის შემდეგ მიდიხართ მერთან, ქალაქის ხელისუფლების მთავარ წარმომადგენელთან და თავს იკავებთ, რომ ძალზე მწარე და გესლიანი სიტყვით არ მიმართოთ მას, არა?**

- არა, სრულებითაც არა... ფოთის ყოფა-ცხოვრებას, მის პრობლემებს მეტ-ნაკლებად მეც ვიცნობ. ერთი წლის წინათ დანიშნული მერი აქ რა შუაშია... როგორც ჩანს, ის ლოზუნგი, რომელიც 1990 წლიდან ძალზე ხშირად გაისმის - "ფოთი ჩვენი ძლიერების საძირკველია" - მხოლოდ ლოზუნგად დარჩენილა და აქამდე სრულებითაც არ უგრძვნია ამ მნიშვნელოვან რეგიონს სახელმწიფოებრივი ყურადღება, ზრუნვა.

**- გეთანხმებით! აქვე მოგახსენებთ, რომ ჩვენს ახალ ხელისუფლებას, რომელსაც რა მემკვიდრეობაც დახვდა, ვიცით და ამიტომაც ჯერჯერობით ვერაფერს ვუსაყვედურებთ, ჩემი ღრმა რწმენით, 2005 წელი, როგორც მთელი ქვეყნისთვის, ისე ჩვენი ფოთისთვისაც ზესვლის, კეთილდღეობის საწყისად მიაჩნია. ქვეყნის ბიუჯეტის ასეთი ზრდა და სიმყარე ვის არ განაწყობს კარგ ხასიათზე. როგორც ვიცი, მალე სახელმწიფო უმაღლეს დონეზე შეისწავლის და შემდეგ კი განიხილავს ჩვენი ქალაქის ყოველ სფეროს, ყოველი დარგის ავ-კარგს.**

- და, ალბათ, ყველაზე უწინ განიხილავთ წლების განმავლობაში ყბადაღებულ დილემას - ქალაქის და ნავსადგურის დაკავშირების, ერთ სივრცეში მოქცევის თემას.

**- დიახ, რასაკვირველია! ფოთის ნავსადგური, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, სულ სხვადასხვა ავანტიურისტთა ინტერესების სათავე და გამდიდრების წყარო იყო. მხოლოდ ახლა ხდება შესაძლებელი ნავსადგურის განვრცობის, ქვეყნის სიმდიდრის საწყისად მიჩნევისა. და არა ისე, როგორც ზოგიერთს სურს... ტვირთბრუნვის ტარიფების ზრდით წამგებიანად აქციოს ეს ქვეყნის იმედი ნავსადგური და ბოლოს აუქციონზე თხასავით გაიყიდოს. ეს იქნება მიუტევებელი შეცდომა! ნავსადგურისა და ქალაქის ინფრასტრუქტურა ნიკოლაძისეულად რომ მოწყობილიყო, დღეს ფოთი აყვავებული, უპრობლემო ქალაქი იქნებოდა. დღეისათვის არსებობს რაღაც თანამშრომლობა ქალაქსა და ნავსადგურს შორის. ბიუჯეტსაც ძირითადად ის ავსებს. ეს არის და ეს... აქვე დავძენ, რომ ნავსადგური ყოჩაღი და სანდო ბიჭების ხელმძღვანელობას არ უნდა დავუქვემდებაროთ. საჭიროა სპეციფიკური ცოდნა და სათანადო პრაქტიკული გამოცდილება. ასეთი კადრები ფოთს ნამდვილად ჰყავს.**

**შაბათს ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის, ბ-ნ რომან მელიას თაოსნობით პარლამენტის მუშა ჯგუფი ჩამოდის ფოთში, სწორედ ინფრასტრუქტურის ნიკოლაძისეულად მოწყობისათვის. ეს პიროვნება ამ საკითხით თავისი მერობის ჟამსაც ხშირად აწუხებდა მაშინდელ ხელისუფლებას, მაგრამ რა?**

ისევ ტელეფონი. მერი ესაუბრება, როგორც გავიგე, ფოთის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარეს.

***მცირე ჩანართი***

მერიის შესაბამისმა სამსახურმა წინა დღით გადმომცა რესპუბლიკური, სამხარეო და ადგილობრივი პრესა, სადაც დაბეჭდილია სტატიები ფოთზე. ჟურნალისტების 90 პროცენტი თავგამოდებით ჩაბმულია მერის, მისი პირველი მოადგილის ირაკლი მოწერელიას და საკრებულოს წევრების გაუთავებელ და ცოდვა-მადლიან ქიშპობაში. დროდადრო კბილს გაკრავენ მაჟორიტარ დეპუტატს, რომან მელიასაც. საკრებულოს წევრები, ბატონ წურწუმიას ხელმძღვანელობით, არ ერიდებიან სალანძღავ დამამცირებელ გამონათქვამებს. შეკრებილი მასალები აშკარად მიმანიშნებელია ფოთში არსებულ არაჯანსაღ სიტუაციაზე. ჩვენი მკითხველები მხოლოდ სათაურებითაც კარგად მიხვდებიან, რა ხდება ფოთში: "ოღონდ ეგ არა - ეხვეწება კომისია ჯალაღონიას და ბიუჯეტის ხარჯზე ქრთამავს"; "წურწუმიამ ამერიკაში შეგვარცხვინა"; "ფოთში სტუდენტები საკრებულოს დაუპირისპირდნენ, საკრებულო - მერს, მერი პროკურატურაში ჩივის"; "რაც საკრებულოს ახარებს, ის ალანიას აღიზიანებს"; "ალანია გადადგომას, დაუმორჩილებლობის კომიტეტი კი აქციების შეწყვეტას არ აპირებს"; "ალანიას და საკრებულოს თავმჯდომარეს სასამართლოში პირისპირ შეხვედრა მოუწევთ"; "რა აერთიანებთ "პოლიტიკოს" ქალაქის მერს და "არაპოლიტიკოს" ვიცე მერს"; "ალანია-მელია-მოწერელიას წინააღმდეგ საპროტესტო აქციები მასობრივ ხასიათს იღებს"; "ბიუჯეტი, იმპიჩმენტი და ორხელისუფლებიანობის პრეცედენტი"; ფოთის საკრებულო ახალდანიშნულ ქალაქის მერს ვერ ეგუება და იმპიჩმენტს უმზადებს"; "ალანიამ ფოთის მერია სოფ-მერიად გადააქცია"; "ალანია-მელიას ტანდემი" და ასე - დაუსრულებელი პუბლიკაციები მერის იმპიჩმენტზე...

საუბარი ფოთის მერთან გრძელდება.

- თქვენი მერად დანიშვნისთანავე იწყება ფოთში ხმაური, რომელიც გაზაფხულზე აპოგეას აღწევს. მოწინააღმდეგე მხარე, ანუ ქალაქის საკრებულო ცდილობს, მთელ საქართველოს გააგებინოს, რომ ითხოვენ მერის იმპიჩმენტს.

**- კი, აბა...** (იცინის ქალაქის მერი) **უცნაური ქალაქია ჩვენი ფოთი, აქ ძალიან უყვართ ასეთი სადღეგრძელო - "ფოთს და ფოთელებს გაუმარჯოს!" მე მგონი, ერთ ნაწილს ძალიან მოსწონს სიტყვა "იმპიჩმენტი" - უფრო სემანტიკურად. რაც შეეხება ამ სამარცხვინო ხმაურს, ვისაც უნდა რცხვენოდეს, იმის სინდისზე იყოს... საქმე ისაა, რომ ამ საწყალ ფოთს ყველა საკუთრად მიიჩნევს, გარეულიც და შინაურიც... მერობაც ოცამდე კაცს სურს, ორიოდ ქალსაც... ზოგმა მზარეულის "ჩეფჩიკი" მოიხადა, ზოგმა ჩონგურის ჩხაკუნს ანება თავი. ზოგსაც რცხვენია, ერთხელ მაინც რატომ არ უნდა ვიყო მშობლიური ქალაქის მერიო და შემომიტიეს. ... აქ სხვა თავისებურებაც გასათვალისწინებელია: მერობის მსურველებს უხვად ჰყავთ საგვარეულო, სანათესაო, სამეგობრო, სამეზობლო, გარკვეული ინტერესებით დაკავშირებული პიროვნებები და იწყება ტრაგიკომედია. ასეთ დროს ამ ხალხის ფანტაზია კულმინაციურ წერტილს უახლოვდება. რას აღარ თხზავენ, რას აღარ გამოიგონებენ და რაც ასე საინტერესოა, თვითონვე სჯერათ ამ ვაიშემოქმედებისა... მერე ნაწილი ჩვენი მასმედიისა... ასეთი თემატიკით აღტაცებას რესპუბლიკურმა ერთმა ტელეკომპანიამ დაუდო საფუძველი, როგორც ხედავთ, ჩვენში მრავლად აღმოჩნდა მათ კვალზე მიმდევარი! თუმცა, თქვენ ხომ გაეცანით ამ პრესას, შეფასებაც თქვენთვის მოგვინდია.**

- თქვენს ფოთელ ჟურნალისტებზე რას გვეტყოდით. ბევრი მათგანი მკაცრად გაკრიტიკებთ.

**- კრიტიკა აუცილებელია, მაგრამ უსაფუძვლო კრიტიკისა და შეურაცხყოფის რა მოგახსენოთ... მე ყველასთვის მიპატიებია!** (იცინის) **მალე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. ჩემი კრიტიკოსებიც დაიოკებენ ვნებებს... რამდენიმე თვის წინ ფოთის ტელეკომპანიას ჩემი სიბრაზეც ვაჩვენე, რაც მერე არ მოვუწონე ჩემს თავს. ფოთს დღეს ეს ტელეკომპანია ემსახურება, ეს აგებინებს საქვეყნო ამბებს... კარგად ვხედავ მათ როლს ქალაქის ცხოვრებაში და მათ ნიჭიერებასაც ვაფასებ.**

მერიაში სინათლე ჩაქრა. 5 საათია და ეზოში შესული ღამეა. ისევ მეგრელთათვის დამახასიათებელი ხაზგასმული ზრდილობით მებოდიშება ვახტანგ ალანია, ალბათ, სხვა სადენზე გადაგვრთავენო, ამბობს და ტელეფონით სადღაც რეკავს.

დენი მალე მოვიდა. ოთახი გაჩახჩახდა...

**- მაინც რა არის ეს დალოცვილი, არა? -** ფანჯარასთან მივიდა და ფოთს გადახედა, **- აჰა, ერთი მეათედია განათებული. რა ქნას ამ ხალხმა? რა ქნას ახალგაზრდობამ, რომლისთვისაც 5 საათიდან იწყება გაყინულ ლოგინში წოლის დრო? 13 საათი უნდა იყოს საწოლში? გეცოდინებათ, როდის განჭვრიტა ჩვენმა დიდმა მამულიშვილმა ნიკო ნიკოლაძემ, რომ ფოთს ესაჭიროება ავტონომიური ელექტრომომარაგება. რომ დაცლოდა, ის ამ პრობლემასაც საუკუნის წინ გადაგვიჭრიდა. თუმცა, ვინ უგდო ყური ნიკო ნიკოლაძის ნააზრევ-ნაწინასწარმეტყველებს?**

მდივან გოგონას ჩაი და ტკბილეული შემოაქვს.

**- ასე, ევროპულად ვივახშმოთ... სხვათა შორის, ერთ ჩემს ინტერვიუში კითხვაზე, თუ სასმელებიდან რომელს ვანიჭებ უპირატესობას, ვუპასუხე, რომ ეს არის ფეიხოას ნაყენი. ამ პასუხმა ზოგი ჩემი პოლიტიკური ოპონენტი აღაგზნო და ჩემ საწინააღმდეგოდ დარაზმა** (ახლა კი, მგონი, მართლა მთელი გულით იცინის!) **- ჰო, მახსოვს რაზე შევჩერდით, ჩემს იმპიჩმენტებზე, ქალაქის საკრებულოზე... აქ ძირითადად ორი განსვენებული პარტიის - "მოქკავშირის" და "აღორძინების" დაზრდილ-დაფრთიანებული ხალხია. უმეტესობა ცალ-ცალკე ძალიან კარგებიც არიან, ვერც ნიჭს, ვერც ოჯახიშვილობას დავუწუნებ. ერთად შეიყრებიან და მტრისას... უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ჩვენ სხვადასხვა მენტალიტეტის, მსოფლმხედველობის პიროვნებები ვართ. მოქალაქეობრივი თვითშეგნებაც ასე განსხვავებული გვაქვს... ისინი ცოტას "წაიძველებენ". ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ როდესაც მერად დავინიშნე, ჩემი გუნდის შედგენა საკრებულომ მოიწადინა (მასთან უნდა ვიგულისხმოთ მმართველი პარტია - მაშინდელი გაგებით) და დიდად შეურაცხყოფილადაც იგრძნო თავი, როდესაც ჩვენი აზრები ერთმანეთს არ დაემთხვა. მერე, როგორც ჩვენს ფოთში უყვართ გამოთქმა, ააგორეს და ააგორეს ცოდვის ქვა. შესადავებლად, თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად კიდევ ბევრი დამატებითი "კომპონენტი" მოიშველიეს. კულმინაცია, როგორც იცით, გაზაფხულზე დადგა. აქვე გეტყვით, რომ ეს სამარცხვინო დაპირისპირება, ქიშპი და ოხრობა ფოთში თავის პირველსავე ჩამოსვლაზე შეაჩერა პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელოსა და ზემო სვანეთში გიგი უგულავამ.**

- ესე იგი, მოელო დავას ბოლო?

**- არა, მხოლოდ დროებითია ეს "ზავი". მაგათ რა მოასვენებთ? ისე, თუ მოისურვებენ კოლეგიალობას, ერთად საქმის კეთების სურვილზე თუ მოვლენ, ამას რა აჯობებს? ქალაქიც დაწყნარდება და ჩვენც უკეთ შევასრულებთ მოვალეობას. აქვე დავძენ, რომ მე ვერ შემაშინებს წურწუმიასა და მისი თანამზრახველების ბადე-ხლართები და ზნეობას მოკლებული ხრიკები. მიმაჩნია, რომ სწორ და მყარ ნიადაგზე ვდგავარ. მიყვარს ჩემი ქვეყანა, ჩემი ქალაქი. მაქვს შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება, ცოდნა! მაქვს, რაც არ ვიცი, იმისი შეცნობის, შესწავლის სურვილი. კიდევ დავუმატო? კი ბატონო, მერად დანიშვნამდე ჩემი შრომით იმდენი კი შემიძენია, რომ ქალაქის მწირი ბიუჯეტისკენ ცქერით თვალები არ დავიელმო. ამის მაგალითები აქ მრავლად ყოფილა** (ისევ იცინის!) **და როდესაც თვითონ ცდილობ, იყო ზნეობრივი და მართალი, შენ ირგვლივ მყოფნიც სწორედ ასევე მოიქცევიან! მე მგონი, არ მეშლება, ასეა ეს.**

- წეღან კერძო საუბრისას თქვით, რომ მომავალი წლისთვის ფოთს მეტი ელექტროენრგია ექნება და ეს გახარებთ.

**- დიახ, მახარებს, რადგან ეს ჭეშმარიტებაა! წარსულის დაპირებებმა, განსაკუთრებით კი ელექტროენერგიაზე, ხალხი დაღალა და ყველა დამპირებლისადმი უარყოფითად განაწყო. ახლა კი, მართლაც, "ახლო არს ზაფხული"... ამის იმედს მე მაძლევს ჩემი ქვეყნის ასე თვალნათლივი ძალთა მოკრება, ზესვლის დასაწყისი! სამწუხაროდ, ჩვენი მოქალაქეების ერთი ნაწილი ამ გაუთავებელმა ენერგოკრიზისებმა ყველაფრის მიმართ სკეპტიკურად განაწყო და ახალი ხელისუფლების მიმართ გულისწყრომას გამოხატავს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მათ მივმართო - არა, ჩემო კარგებო! წარმოვიდგინოთ ქვეყნის ის ვითარება, რაც დახვდა წმინდა გიორგობის დღით დაგვირგვინებულ გასული წლის ისტორიულ "ვარდების რევოლუციას". ეს იყო სრული განუკითხაობა, კორუფციის ზეიმი, კლანური და ქურდული ზეგავლენები... 23 ნოემბერმა უფსკრულისკენ დაძრული ქვეყანა შეაჩერა ისე, რომ დაცემის, ვარდნის საშინელება აგვაცილა. დღემდე რამდენი რამ გაკეთდა? იმედის ხასიათზე არ განგვაწყობს ჩვენი ქვეყნის ასეთი მსოფლიო აღიარება? ძლიერ მეგობარ ქვეყანათა მატება, ევროოჯახის და ნატო-ს კარებთან მისვლა, სამშობლოს მთლიანობისთვის ასეთი მიზანსწრაფული, გეგმაზომიერი პოლიტიკის წარმართვა, თუნდაც მარტო აჭარის ფაქტი რად ღირს? ყველაფერი ერთ წელიწადში როგორ მოესწრებოდა. მხოლოდ ნგრევა და განადგურება ხდება მყისიერად, რისი მოწმენიც ყველანი ვართ. აი, აღდგენას, შენებას და მშვენებას კი დიდი ოფლი, შრომა, დრო და მოთმინებაც უნდა!**

- ფოთის მაგალითზე რას გვეტყოდით?

**- მომავალი წლისთვის მეტი ელექტროენერგია რომ ექნება ქვეყანას - ესე იგი, ფოთიც ამოისუნთქებს. სასიხარულოა, რომ უკვე დაიწყო გამრიცხველიანება... ახლა ორი სიტყვა ბუნებრივი გაზით მომარაგების შესახებ: 2005 წელს 11 მილიონ ლარამდე გაზრდილმა ქალაქის ბიუჯეტმა მოგვცა იმის საშუალება, რომ დავიწყოთ სუფსიდან ფოთამდე გაზის ჩამოყვანისათვის პირველი სამუშაოები. ბიუჯეტის ასეთი პროგრესი სრულ გარანტიას გვაძლევს, რომ 2006 წელს დამთავრდეს ძირითადი სამუშაოები. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა.**

- რაც შეეხება ფოთისათვის გადაუჭრელ პრობლემას - სასმელი წყლით მუდმივად მომარაგებას, სავალალო მდგომარეობაში მყოფ კანალიზაციის პრობლემებს...

**- ო** (იღიმის რესპონდენტი), **აქ კი უფრო მკვეთრი და ძლიერი ნაბიჯი გადავდგით... თუმცა, ჩემდა საკვირველად, ამასაც კრიტიკით შეხვდა ქალაქის საკრებულო... ეს ძალზე მნიშვნელოვანი რამაა და რადგანაც ასეთ ყურადღებას გვაქცევს თქვენი გაზეთი, გთხოვთ, საგანგებო სტატია უძღვნათ ამ თემას...**

- სიამოვნებით!

**- რა მინდა კიდევ ვთქვა... აჰა, ისტორიული ქალაქი ფოთი! გაბრდღვიალებული ნავსადგურით... ქალაქში რამდენი ხანია, კინოსეანსი არავის უნახავს, ქალაქს არა აქვს ახალგაზრდებისთვის არავითარი კლუბი, დისკოთეკა... უბრალოდ, გული მწყდება. თანაც, არავის დაავიწყდეს, ფოთი ის ქალაქია, რომელმაც პირველმა გაუშვა ახალგაზრდები ამერიკასა და ევროპაში! მათი ნაწილი დღეს ფოთშია. ჩვენ კი ამგვარი ქალაქი დავახვედრეთ... ფოთი პატარა ქალაქია, თითქმის ყველა იცნობს ერთმანეთს, სახით მაინც... ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ პარლამენტის დადგენილებას არ უნდა დაველოდოთ, თვითონ უნდა მოვუაროთ ჩვენს ქალაქს, როგორც საუკუნენახევრის წინ იყო ევროპაში...**

- როგორ წარმოგიდგენიათ...

**- ახალგაზრდობამ ბევრი რამ უნდა ითავოს. აბა, ნახონ, როგორ დავუდგებით გვერდით. უპირველეს ყოვლისა, დავგავოთ, გავასუფთაოთ ჩვენი ქალაქი, ჩვენი ქუჩები, ჩვენი სადარბაზოები, ეზოები... დავასუფთაოთ და შემდეგ უდიერად ნუღარ მოვექცევით. თებერვლის თვიდან კონკურსს გამოვაცხადებთ საუკეთესო ქუჩაზე, ეზოზე... 26 მაისს შეჯამდება შედეგები.** (მცირე პაუზა) **რატომ არ უნდა იყოს ფერადოვან ყვავილებში ყელამდე ჩაფლული ჩვენი ფოთი? სილამაზის შეგრძნების უნარი ბავშვობიდანვე იწყება. ჰოდა, დაგვიანებით, მაგრამ ჩვენ დავიწყებთ ამ საქმეს დღევანდელი პატარა ფოთელებისათვის. სკანდინავიის ქვეყნები აიღეთ, 8 თვე ზამთარი რომ იცის. ყველა სარკმლიდან ყვავილები გიცქერს, ყველგან ყვავილებია, ყველგან... მე ხომ ჰოლანდიაზე ან ვენეციაზე არას ვამბობ? მერე და ძნელია ეს? არა, სულ უბრალო რამაა, მაგრამ დღემდე არავის უზრუნია ამაზე... სხვათა შორის - არც თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და ყველგან, საქართველოში. ფოთმა უნდა დაიწყოს საქართველოს ეკონომიკის სიძლიერის ჩარხის ბრუნვა, ისევე ვიქნებით ტონის მიმცემი ქალაქის მოვლისა და გამშვენიერების საქმეშიც!**

- აგაშენათ ღმერთმა!

**- და ამას გააკეთებს სწორედ ფოთის ახალგაზრდობა. ჯანსაღი და ჭკვიანი, რომლებმაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა ისწავლონ დროის სწორი გამოყენება, უფრო მიზანსწრაფულები უნდა გახდნენ.**

- ესე იგი, ლამაზი ქუჩის, კარ-მიდამოების კონკურსი 26 მაისს შეჯამდება? კარგია, იქნებ ჩვენც მოგვიწვიოთ ამ დღეს.

**- რასაკვირველია! ვაპირებთ, ჟურნალისტთა ან ახალგაზრდა შემოქმედთა სახლი ან კაფე-ბარი გავხსნათ. როგორც ხედავთ, ფოთში ძალზე ბევრმა ჟურნალისტმა მოიყარა თავი. გვაქვს ჟურნალისტიკის ფაკულტეტიც... ამას რა სჯობია? შეიკრიბებიან, გაერთობიან და თემატურ საღამოებს გამართავენ. ვფიქრობ, მაშინ უფრო სასიკეთოდ გაირჯება მათი ნიჭი, მათი კალამი.**

- მივესალმებით ამ იდეას! კიდევ რას გეგმავთ მომავალი წლისთვის? მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ქალაქი...

**- დავიწყებთ დრამატული თეატრის მშენებლობას. ნიკო ნიკოლაძისეულ არსებულ შენობაში, ასე სიმბოლურად რომ განასახიერებს აია სოფიას შემცირებული მასშტაბით, ისევ წირვა-ლოცვას აღვავლენთ... ვიწყებთ ქუჩების სარემონტო სამუშაოებს. გვექნება მოქმედი კინოთეატრი. შეიძლება მერიის ადმინისტრაციის მშენებლობაც დავიწყოთ. სკოლებისა და საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა ხომ - თავისთავად, დისკოთეკაც კარგი შენამატი იქნება... რა ვიცი, ბევრ რამეს ვფიქრობთ, ვგეგმავთ!**

- ვარდების რევოლუციამ თავისი მრავალდარგობრივი რეფორმებით უმუშევართა რიგები გაზარდა. ფოთში რა ვითარებაა?

**- სამწუხაროდ, დიდია უმუშევართა რიცხვი. თითქოს ფოთს არ უნდა დამუქრებოდა ეს, მაგრამ ფაქტი ასეთია. აგერ ნავსადგურიდან 300-მდე სხვადასხვა პროფესიის ადამიანი დაითხოვეს. თურმე, ნუ იტყვით - სამედიცინო შემოწმების შედეგად. იმ დღეს თუ მაღალი წნევა გქონდა ან შაქარი აწეული, მორჩა, დაიხურე ქუდი და მოუსვი! რა არის ეს? ბევრი საუბრით რომ არ შეგაწუხოთ, ჩემი ღრმა რწმენით, მომავალი წლის ბოლომდე დღევანდელ უმუშევართა დიდი ნაწილი დასაქმდება. შემდეგში კი უმუშევრობა სრულებით აღმოიფხვრება...**

- სანანებლად რას მიიჩნევთ?

**- ძალზე ბევრ რამეს... უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ ქვეყნის თავისუფლების პირველ წლებში მთელმა საქართველომ და ფოთმაც ვერ შეძლო საერთო, სახელმწიფო ქონების დაცვა ხელყოფისაგან... რა შენობები დაიწვა... რაღა შორს მივდივართ, აგერ ქალაქის ადმინისტრაციული შენობა... საქორწინო სახლები, რესტორნები... რაც შეიძლებოდა, სახლში წაეღოთ, წაიღეს, რაც არა და ბარბაროსულად მისცეს ხანძარს. დაუფიქრებლად ჩატარდა ქვეყანაში პრივატიზაცია. გროშებად გავასხვისეთ ერის კუთვნილი ქონება... ბევრ ისეთ პიროვნებას გამოვუცხადეთ ნდობა, ვინც ამის ღირსი არ ყოფილა...**

შვიდი საათი ხდება! ხვალ პარასკევია და რედაქციაში მელიან... ვფიქრობ, შედგა ინტერვიუ, ციფრების და პროცენტების გარეშე.

**- გუშინ თუ შეძელით და ტელევიზორს უცქირეთ, პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი შეღავათი მისცა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს. დიდი ყურადღებაა... დიდადაც წაგადგებათ.**

- თვითონ თუ გქონიათ ჟურნალისტობის სურვილი.

**- როგორ არა, ადრე, რა თქმა უნდა. უფრო ფოტოჟურნალისტიკის სფერო მომწონდა.**

- იღებთ კიდეც, თუმცა დღეს ეს პრობლემა არაა.

**- არა, მე ადრე ვიყავი ფოტოგრაფიით დაინტერესებული. სახლში ვბეჭდავდი... თუმცა, გეტყვით...** (ჩვენი რესპონდენტი გამოცოცხლდა!) **დედის მხრივ ჩემი დიდი ბაბუა ქართული ფოტოხელოვნების პიონერია... ვასილ იბიანსკი, რომელიც პოლონეთიდან რუსეთის იმპერიაში, კერძოდ, "სამხრეთ რუსეთში" გადმოასახლეს. ეს იყო 1865 წელს, 140 წლის წინათ... მასთან ერთად იყო მისი მეგობარი ზემლიცკი... რომელთა შთამომავლობა დღესაც ფოთში ცხოვრობს... დიახ, თქვენ იცით, რომ სწორედ 1865 წელს საქართველოში უმაღლესი დონის ფოტოხელოვანი ხლამოვის მოწაფე ალექსანდრე როინიშვილი ხსნის ფოტოსტუდია "რემბრანტს". პარალელურად პერიფერიებშიც გაიხსნა სტუდიები, ფოთში ამ საქმეს ბებიის ბაბუა, ვასილ იბიანსკი თაოსნობდა... ალბათ, 1870-იანი წლებიდან. ნიკო ნიკოლაძის ფოთის ეპოქის სურათები მისი გადაღებულია... შემორჩენილი გვაქვს მისი და ჩემი ბებიის (ნაკაშიძის ქალის) პორტრეტი, ორიოდე ფოტოც. ყველაფერი კი ომამდე, 1940 წლამდე დაკარგულა, განადგურებულა.**

გავოცდი და აღვუთქვი, რომ ამ თემას შემდეგში სპეციალურად მივუბრუნდებით.

- სპორტთან რა ურთიერთობა გაქვთ?

**- ოჰ, თავის დროზე აკადემიური ნიჩბოსნობა მიტაცებდა... ჩემი მწვრთნელი ბატონი ჯორჯი ბუკია კარგ მომავალსაც მიწინასწარმეტყველებდა... ახლა მე ვმეურვეობ ამ სპორტს, წარმატებებიც გვაქვს. ფოთში ნიჭიერი ხალხი რომ იბადება, ამას მტკიცება არ სჭირდება. იმის თქმაც მსურს, რომ ფოთში გამორჩეული ტალანტის სპორტსმენებიც იბადებიან. მარტო ბორის პაიჭაძის, ამური გვანცელაძის და კრატისიუკის სახელებიც კმარა. აი, ნაღდმა ფოთელმა კაცმა ამგვარ პირობებში, საკუთარი ენთუზიაზმით დაიწყო ფოთისთვის ასე ნიშანდობლივი საცხენოსნო სპორტის განვითარება... ასეა, თუ სიყვარული გამოძრავებს, თუ ხარკს გადაუხდი ნამდვილ პროფესიონალიზმს, მაინც რაღაც გაკეთდება, რაღაცას საფუძველი ჩაეყრება... ვიცი, მუშაობს სპორტის თითქმის ყველა სახეობის სექცია. შეგვეძლება, ყველას გვერდში ამოვუდგეთ, დავეხმაროთ.**

**ვხედავ, ჩვენი საუბრის ფინალია... თქვენ არ მკითხეთ, მაგრამ მე გეტყვით... ძალიან მინდა, ჩვენმა ისტორიკოსებმა, არქეოლოგებმა დააჭეშმარიტონ, რომ ძველი ფასისის ადგილი, პირობითად, ფოთის ტერიტორიაა. ჩვენ უნდა აღვმართოთ იქ დიდი მონუმენტი, რომელიც ფოთში შემოსულ სტუმარს, ტურისტს ამცნობს, რომ ეს დგას უძველესი ქალაქის მიწაზე. წარმოიდგინეთ, რა ქალაქი იყო ფასისი ჩვენს წელთაღრიცხვამდე... 555 წელს ქრისტეს აქეთ, აქ შეებრძოლა ერთმანეთს სპარსეთისა და საბერძნეთის არმიები... აქ, ფოთში 20 000-მდე კაცი მოკვდა მარტო ამ ომში... არაფრის დავიწყება არ გვმართებს...**

- მერის არჩევნებზე რას იტყოდით? (ეღიმება)

**- პირველ ყოვლისა იმას, რომ სწორედ ხალხმა უნდა აირჩიოს თავისი მერი. ცხადია, დიდი კონკურენცია იქნება. აკი მოგახსენებდით, ბევრს უნდა ქალაქის მთავრობის თავკაცობა. ხალხი კი ბრძენია, ჩემო ბატონო! გაიმარჯვებს ის, ვინც ამის ღირსი იქნება.**

- თქვენ იცით, ვინ გაიმარჯვებს?

**- მე მგონია, რადგანაც ფოთს ჰყავს ღირსეული მოსახლეობა, შესანიშნავი ინტელიგენცია...**

ფოთში ბნელა და ცივა, მაგრამ მაინც ყოველი მოსახლის ოჯახში, სადაც ინებებ მისვლას, დაგხვდება სითბო, ლამფის სინათლე და ზღვასავით დიდი, სიყვარულით სავსე გული... ქართული გული!

# ინტერვიუ ფოთის მთავარეპისკოპოსთან გრიგოლთან

X საუკუნემდე არსებული ფაზისის სამიტროპოლიტო ეპარქიის აღდგენა მხოლოდ 1995 წლის მარტში გახდა შესაძლებელი, ხოლო 1996 წლის 25 მარტს მის მმართველ ეპისკოპოსად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, წმ. სინოდის წევრებთან ერთად, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, მეუფე გრიგოლი აკურთხა. [illegible]

[illegible]

რიტება თავის ზოგადსა და კონკრეტულ სახეში მუდამ ერთია, ჟამთა სვლის მიუხედავად, ხოლო მისკენ მიმავალი გზა წინასწარ არის გაკვალული.

**- თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ! რა არის ის მთავარი, რაც ფოთს სხვა ქალაქებისგან გამოარჩევს?**

- ფოთის ცენტრს თუ ზემოდან დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ყველა გზას, ქუჩას ტაძართან მივყავართ. [illegible]

**- რა შეიძლება ითქვას ეპარქიის საქმიანობაზე?**

- სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით [illegible] 1997 წელს [illegible] საზოგადოების გამოკითხვა. [illegible] როგორი იყო რელიგიური სიტუაცია, [illegible] რობდა ეპარქიაში და რა თანაფარდობით. როგორი იყო სოციალური ვითარება და სხვა. გაირკვა, რომ მოსახლეობის 87%



თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად თვლის. მთლიანობაში ფოთი ქრისტიანული ქალაქია. როგორია ჩვენი მისია არსებულ სინამდვილეში; ვფიქრობთ, რომ ეკლესია უნდა დაეხმაროს ადამიანს, იპოვოს თავისი თავი ამ სამყაროში და გაიაზროს თავისი ამქვეყნად ყოფნის დანიშნულება. დაბადებასა და გარდაცვალებას შორის თითოეული ადამიანის ისტორიაა და ეს პერიოდი აღსავსეა პრობლემებით, განსაცდელით, ტკივილით. სწორედ ეს პერიოდი განაპირობებს ადამიანის მომავალს გარდაცვალების შემდეგ.

ეს არის ჩვენი ზოგადი აზრი, ხოლო კონკრეტულად შემიძლია ვთქვა, რომ [illegible]

**- რა სიტუაციაა ქალაქში სხვა რელიგიის, აღმსარებლობის მქონე ადამიანების არსებობის კუთხით?**

- ქვეყანაში 3 მილიონ 800 ათასი ადამიანი თავს აიგივებს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ეს უკვე არა მარტო რელიგიური, არამედ სოციალური, პოლიტიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი რამ არის, განსხვავებული რელიგიური შეხედულებების ადამიანთა ჩვენს გვერდით ყოფნა, ვფიქრობ, ჩვეულებრივი ნორმაა. როგორც მე ვარ თავისუფალი არჩევანში და ვირჩიე მართლმადიდებლობა, ისევე სხვაც, რომელიც განსხვავებულს ირჩევს. [illegible]

**- რა მიგაჩნიათ ქალაქისთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად?**

- [illegible] ელექტროენერგია და სასმელი წყლის [illegible] სანიაღვრე არხების გაუმართაობაც პრობლემაა [illegible] ნელ თხუთმეტ-ოც წელიწადს მოიცავს, პრაქტიკულად მოიშალა ყველაფერი. დღეს დადგა გამოცოცხლების დრო. [illegible]

- გჯერათ თუ არა ქალაქის ხელისუფლების? [illegible]

**- ტაძარი და თეატრი. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, პროცესებიც ხმაურით წარიმართა. თქვენი მიდგომა, დამოკიდებულება საკითხისადმი?**

- ფოთში დაახლოებით 40 000 ადამიანი ცხოვრობს, [illegible] ტული ღონისძიებები დაისახა და თეატრის მშენებლობისთვის ბიუჯეტიდან თანხების გაღებაც გათვალისწინებულია.

# პოლიტიკური პარტიები

როგორც წესი, პოლიტიკური სპექტრი ქალაქში მრავალფეროვნებით მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში გამოირჩევა. სწორედ დროის ამ მონაკვეთში ვიგებთ ზოგიერთი, ფოთის სინამდვილეში მანამდე არგაგონილი პარტიის არსებობის შესახებაც. თუმცა, როცა არჩევნებისას მიღებული ხმები მხოლოდ ოჯახის წევრთა და სამეგობროს რაოდენობას უტოლდება, როცა ქალაქში მიმდინარე ყველაზე ხმაურიანი პროცესებისას ხალხის რჩეულთა მანდატის კანდიდატები არც ილანდებიან, მათი ვინაობაცა და ლობისტი პარტიაც მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენში დაფიქსირებულ ნომრად რჩება. დღეს ფოთში სამი პოლიტიკური პარტიაა, რომელიც ქალაქის მაჯისცემას თუ ვერ ცვლის, პოზიციას მაინც აფიქსირებს, სწორედ მათ ლიდერებს "24 საათმა" რამდენიმე შეკითხვით მიმართა:

1. კონკრეტულად რა გააკეთა პარტიამ ქალაქში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

2. რა მიაჩნია პარტიის ადგილობრივ ლიდერს ქალაქის №1 პრობლემად;

3. იგრძნობა თუ არა ქალაქში რევოლუცია;

4. როგორია პარტიის რეიტინგის სახვალიო გათვლა.

1. დავით შურღაია - ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე

(2002 წლის ნოემბერში ქალაქში საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატებთან ერთად მონაწილეობდა, მაგრამ საკრებულოში მათი წარმომადგენელი ვერ მოხვდა. შურღაია მიიჩნევს, რომ არჩევნები გააყალბეს).

1. უკვე ისმის მოსახლეობაში, რომ ნაციონალური მოძრაობა ქალაქში არაფერს აკეთებს. რა უნდა გავაკეთოთ, როცა ფოთის აღმასრულებელ ხელისუფლებას მოსმენის კულტურაც არა აქვს. ისინი ხელშეწყობის ნაცვლად გვიპირისპირდებიან. არც ერთი ჩვენი პარტიის წევრი ქალაქის მთავრობაში არ მოიაზრება. ფოთის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენი ხედვა, ინიციატივა ჩაახშოს.

2. გვინდა, ქალაქი ნორმალურად ცხოვრობდეს. მაგრამ არ არის ელექტროენერგია, სასმელი წყალი, ელემენტარული ყოფითი პრობლემები მოუგვარებელია. №1 პრობლემა არასწორი საკადრო პოლიტიკაა. ქალაქის მერად ვახტანგ ალანიას დანიშვნის დღიდან აქ ფაქტობრივად კოლაფსია. ფოთს რომან მელიას კლანი მართავს, თავად ალანია დაინიშნა ნინო ბურჯანაძის 40-დღიანი მმართველობის პერიოდში და როგორც დაინიშნა, მთელმა საქართველომ იცის. ალანიას ქალაქის მართვის ნიჭი არა აქვს.

3. რაც დედაქალაქში პროცესები მიმდინარეობს, ფოთში უკუპროცესებად მოიაზრება. პრეზიდენტი სააკაშვილი ხალხზე ზრუნავს, ფოთზე კი - არა. ან აქ არსებული ინფორმაცია არ მიდის პრეზიდენტამდე, ან რაღაც დონეზე იბლოკება. პარტიის ხელმძღვანელობამ, პარლამენტმა იცის, ალანია რა პოლიტიკას ატარებს, ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ არის რეაგირება.

4. ჩვენ ბევრი მხარდამჭერი გვყავს, მაგრამ თუ ქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლება არ შეიცვალა, პარტიის რეიტინგი კი არა, ცენტრისაც შეიძლება საეჭვო გახდეს.

2. ალეკო დოლბაია - პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება", ფოთის საქალაქო ორგანიზაციის კოორდინატორი

(შეიქმნა 2004 წლის იანვარში. ჰყავს 300-მდე წევრი. დოლბაია საინიციატივო ჯგუფთან სტუდენტობისა და თსუ-ში მუშაობის პერიოდში იყო დაახლოებული. 1988 წლიდან ეროვნულ მოძრაობაშია. საქალაქო ორგანიზაცია ეროვნული მოძრაობისა და ახალი სახეებით დაფუძნდა).

1. ჯერ აქტიურად ვერ ვსაქმიანობთ, მაგრამ გარკვეულწილად ვეწევით კულტურულ საქმიანობას. კონსტანტინე (კოკო) გამსახურდია უკვე ორჯერ ესტუმრა ფოთს და შეხვდა ქალაქის საზოგადოებას. იგი იანვარში ისევ ჩამოვა და წაიკითხავს რამდენიმე ლექციას.

2. რა თქმა უნდა, სოციალური და ყოფითი, იგივე სასიცოცხლო რესურსებით ქალაქის მომარაგებაში არსებული პრობლემები, დაპირისპირება მმართველ წრეებში. ჩვენ შეგნებულად თავს ვიკავებთ, რომ არ დავფიქსირდეთ ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერად. თუმცა, რევოლუციას თან ახლავს ადაპტაციის პერიოდი და მთავრობაც და მოსახლეობაც უნდა შეეგუოს ახალი ცხოვრების წესს. როგორც ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას მოხდა, ზოგი ულირსი ცდილობს ახალ ხელისუფლებასთან დაახლოებას, ზოგიც ღირსეული, - ოპოზიციაშია. ყველაფრის დარეგულირებას დრო სჭირდება. ვფიქრობ, ნებისმიერი სხვა რომ დაენიშნათ ქალაქის მერად, მოწინააღმდეგე მასაც გამოუჩნდებოდა.

3. რევოლუციის შემდეგ ქალაქში გამოკვეთილად არაფერი შეცვლილა, მაგრამ ამ ფაქტს მაინც ვხსნი იმით, რომ ფოთი ჯერაც მთლიანად დამოკიდებულია ცენტრზე.

4. არსებობს ყველა საფუძველი იმისა, რომ პარტიის რეიტინგი გაიზარდოს. საპარლამენტო არჩევნებში 4,6%-ით გავედით, ქალაქის სინამდვილეში 1682 ხმა, - ეს იყო მეორე შედეგი ნაციონალების შემდეგ. ეს იყო ჩვენი გამოცდა.

3. სევერიან შენგელია - ახალი მემარჯვენეების ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე

(დაფუძნდა 2001 წლის 17 სექტემბერს. 325 წევრია. საკრებულოში გავიდა 3 კანდიდატით. შენგელია თვლის, რომ არა მოქალაქეთა კავშირისა და აღორძინების მხრიდან ხმების გაყალბება, მეტის რეალური შანსი ჰქონდა)

1. ჩვენი ინიციატივით მოხდა მასწავლებელთა ჯანმრთელობის დაზღვევის განხორციელება. ხელფასებზე 9 ლარი დანამატი პედაგოგებს, უფასო სამედიცინო შემოწმების გავლის საშუალებას აძლევს. ინიციატივას მხარი დაუჭირა საკრებულომ და მთავრობამ. ჩვენივე წინადადებით შეიქმნა კომისია, რომელმაც შეისწავლა ქალაქში პრივატიზებული და გასხვისებული ობიექტები. სერიოზული მასალები გავამზადეთ. უნდა ითქვას, რომ გარკვეული ობიექტების მეპატრონეებმა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს მიწისა და ქონების გადასახადების გადახდა.

2. №1 საკადრო პრობლემაა. არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელსაც ჰქონდა იმდენი რესურსი, რომ თავისი ძალებით გასწვდენოდა ქალაქს, ქვეყანას. რა თქმა უნდა, უმწვავესია ელექტროენერგიითა და სასმელი წყლით მომარაგების საკითხიც.

3. რევოლუციამ მაინცდამაინც ჩვენი იმედები ვერ გაამართლა. ის დაპირებები ვერ სრულდება, რითიც მოვიდა დღევანდელი ხელისუფლება. ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური პარტია, ქალაქში პრაქტიკულად არ ჩანს. იქიდან გამომდინარე, რომ მათ თავიანთ ხელში ბერკეტები ვერ აიღეს, უსუსურად გამოიყურებიან.

ქალაქის მერის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიაში, იმპიჩმენტების პროცესებში ადგილზე ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერაც იყო, მაგრამ მიზანი მიღწეული არაა.

4. ოპოზიციას და კონკრეტულად "ახალ მემარჯვენეებს" მომავალი იმ კუთხით მაინც აქვთ, რომ შეუძლიათ დაანახონ მოსახლეობას ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯების დადებითი და უარყოფითი მხარეები. არჩევნების პერიოდისთვის ბევრ რამეს აეხდება ფარდა და ჩვენც გვექნება ქალაქის საკრებულოში ისევ მოხვედრის შანსი.

*ესაუბრა ქეთინო ჯაკობია*

ფოთის საქალაქო ორგანიზაციის ლიდერის პასუხი რამდენადმე მკვეთრად, ხისტად ნათქვამად მივიჩნიეთ და გამოქვეყნებამდე გადავამოწმეთ კიდეც. მერიაში ვუკავშირდებით მერის პირველ მოადგილეს ირაკლი მოწერელიას:

**- დავით შურღაია ბრძანებს, რომ მისი პარტიის არც ერთ წევრს ქალაქის მთავრობაში არავითარი თანამდებობა არ მისცეს.**

- ეს განცხადება საფუძველს მოკლებულია. ქალაქის მერის დანიშვნის პირველსავე დღეებში ვ. ალანიამ მერის მოადგილეობა შესთავაზა არჩილ კუპრეიშვილს, რომელმაც უარი განაცხადა. შემდეგ სწორედ ბ-ნ დ. შურღაიას მიმართავს ამ წინადადებით. იგი თანახმა იყო, საჭირო დოკუმენტებიც შეავსო. პლენარულ სხდომაზე კი მოულოდნელად უარი განაცხადა. ამის შემდეგ მერის მოადგილეობა სთხოვეს გ. ტუღუშს... მანაც ასეთივე უარი... ბოლოს დაითანხმეს საკრებულოს წევრი ბ-ნ თ. შანიძე. კენჭის ყრის დროს მისი წინააღმდეგი წავიდა არჩ. კუპრეიშვილი... მმართველი პარტიის წარმომადგენელი მუშაობს ქალაქის მერიაში, კულტურის მუნიციპალურ სამსახურებში - არც ერთ ამათგანს დ. შურღაიას რეკომენდაცია არ ჰქონია.

რაც შეეხება დ. შურღაიას მიერ გამოთქმულ აზრს ქალაქის მერის ვ. ალანიას შესახებ, რომ "ალანიას ქალაქის მართვის ნიჭი არა აქვს", ამაზე ჩვენს მოკრძალებულ აზრს მოგახსენებთ... ერთი წლის განმავლობაში, რაც ვ. ალანია მერია, გასტუმრებულია მემკვიდრეობით მიღებული საბიუჯეტო ვალი, მილიონ ნახევარი ლარი. ბიუჯეტი კი საგრძნობლად გაიზარდა და ა.შ.

*გაზეთი "24 საათი"*

# ინტერვიუ ფოთის პორტის უფროსთან თემურ მიმინოშვილთან

ქეთინო ჯაკობია

ფოთის პორტის უფროსად თემურ მიმინოშვილი მხოლოდ რამდენიმე თვეა დაინიშნა. კულუარებში უკვე საუბრობენ მის სხვა თანამდებობაზე მოსალოდნელ გადაყვანასთან დაკავშირებით. მოარულ ხმებს მიმინოშვილი "კეთილ-ბოროტ" ჭორებს უწოდებს და სჯერა, რომ დაწინაურებისა თუ დაქვეითების შესახებ პირველი თვითონ შეიტყობს. დღეს კი ასრულებს დავალებას, რაშიც, მისივე თქმით, ნავსადგურის სწრაფი ეფექტით განვითარება იგულისხმება. "24 საათის" შეკითხვებს იგი აღნიშნულში ღრმად დარწმუნებული პასუხობს.

- ბატონო თემურ! ნავსადგურის სტატუსის მოსალოდნელ ცვლილებას ოპონენტი ბევრი გამოუჩნდა. რა შეიძლება ითქვას პორტის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმის შესახებ?

- ნავსადგური იქნება შპს 100%-იანი სახელმწიფო წილით. მუშაობა თითქმის დასრულებულია, დარჩენილია ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მხოლოდ რამდენიმე პროცესუალური საკითხი გადასაწყვეტი. მიმაჩნია, რომ ესაა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება, იქიდან გამომდინარე, რომ არ შეიძლება ნავსადგური იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი და პარალელურად აწარმოოს წარმატებული სამეწარმეო საქმიანობა. თუ გვინდა, რომ პორტი იყოს ეფექტური და მომგებიანი, თავის საქმიანობაში უნდა მონაწილეობდეს, როგორც კერძო ბიზნესობიექტი.

- ეკონომიკური განვითარების სამინისტროში თქვენსა და მოიჯარე მხარეებს, - შპს "პრომეტკო ჯორჯიას", შპს "მეტალექსს" და შპს "ჯე-ეს-კო"-ს შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომლის მიხედვით მოიჯარის ამჟამინდელი საიჯარო ქირის ოდენობა მომავალი წლიდან 40-45%-ით გაიზრდება, ამასთან, მოიჯარეებს საიჯარო ხელშეკრულების ვადა 10-დან 25 წლამდე გაუგრძელდებათ. რამ განაპირობა ამ გადაწყვეტილების მიღება და დაინტერესდით თუ არა მოიჯარე შპსების წარმომავლობით?

- ხსენებულმა შპს-ბმა საერთაშორისო ტენდერის მექანიზმით გაიმარჯვეს და წლების განმავლობაში გადაჭარბებით შეასრულეს ის პირობა, რომელიც მოეთხოვებოდათ. მათი წარმომავლობის გასარკვევად ქვეყანაში სხვადასხვა სტრუქტურა არსებობს. ჩემთვის მთავარია, ესა თუ ის კომპანია ნავსადგურის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. რეალურად რომ ვიმსჯელოთ, 10 წელი არ არის ის დრო, როცა შესაძლებელია სერიოზული ინვესტიციების განხორციელება, მოგების და ქვეყნისთვის ეფექტის მოტანაც. სწორედ აქედან გამომდინარე მოხდა პირობების შეცვლა-გადახედვა. საიჯარო ვადის გარდა გაიზარდა საიჯარო ქირის მოცულობა, ესაა დაახლოებით 40-45%. ახალი პირობები ინვესტორებისთვის მისაღებია და მზად არიან, გადაიხადონ გაზრდილი საიჯარო გადასახადიც.

- ტარიფების ზრდის შესახებ რას იტყოდით?

- ნავსადგურს არ უნდა გააჩნდეს მომსახურება, რომლის თვითღირებულება არის დაწესებულ ტარიფზე მეტი. კომპლექსური შესწავლის შედეგად დგინდება, რომ არის ტვირთები, რომელთა გადამუშავების ტარიფი რეალურზე ნაკლებია. ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან, საქართველოს რკინიგზასთან, ბათუმის პორტთან ერთად განიხილება და დარეგულირდება ტარიფების ზრდის საკითხი.

- ხომ არ გამოიწვევს ტარიფების ზრდა საქმიანი პარტნიორების დაკარგვას?

- არავითარ შემთხვევაში, რადგან ყველა გადაწყვეტილება მიღებამდე განხილული იქნება იმ ხალხთან, ვინც უნდა გადაიხადოს ესა თუ ის ტარიფი.

- შეიძლება თუ არა უკვე ჰოლანდიური ურთიერთობების პირველ ეფექტზე მსჯელობა?

- ჰოლანდიის მთავრობამ გრანტის სახით ქვეყანას დაახლოებით 5 მილიონ 355 ათასი ევრო გამოუყო, ამასთან ერთად 9 მილიონი ევრო შეღავათიანი კრედიტი. მოკლე ხანში ჰოლანდიელები დაიწყებენ წყალგამყოფი მილის აღდგენით სამუშაოებს. ეს აუცილებელია ნავსადგურის შემდგომი ფუნქციონირებისთვის. გარდა ამ ეფექტისა, 18 თვის განმავლობაში ახალი სამუშაო ადგილები გაჩნდება. ხსენებული კრედიტი სწორედ წყალგამყოფი მილის აღდგენას მოხმარდება. თანხას ნავსადგური თანდათანობით დაფარავს.

- როგორია ნავსადგურის ძველი თანამშრომლებისადმი თქვენი მიდგომა და რა პრინციპით არჩევთ ახალ კადრებს?

- თითოეული ნავსადგურელი ჩემთვის ფიგურაა. პრეტენზია მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება, როცა ესა თუ ის თანამდებობის პირი ვერ ან არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მხოლოდ ამ შემთხვევაში დგება მისი ალტერნატივის, შემცვლელის პოვნის საკითხი. ყველა ახალ ვაკანსიაზე კადრი შეირჩევა გამჭვირვალედ, საჯაროობის პრინციპით. სპეციფიკური პროფესიის, სპეციფიკური განათლების საჭიროებისას გათვალისწინებული იქნება სპეციფიკური მოთხოვნები. თანაბარ პირობებში უპირატესობა, რა თქმა უნდა, ნავსადგურელს მიენიჭება.

- სამედიცინო ფირმა "მედექსის" დასკვნამ პორტის 240 თანამშრომელი სამუშაოს დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დააყენა. მოსალოდნელი უმუშევრობით შეწუხებული ნავსადგურელები გამოსავალს ეძებენ. როგორია თემურ მიმინოშვილის კომენტარი?

- ყველა ის ადამიანი, რომელიც სათანადო პროცედურების დაცვით, წარმოადგენს ჯანმრთელობის დამადასტურებელ ალტერნატიულ ცნობას, დაკმაყოფილდება ჩვეულებრივად, ანუ, დარჩება თავის სამუშაო ადგილზე, მით უფრო, რომ ისინი ჯერ არც არავის გაუთავისუფლებია. თუ მათი დასკვნა იქნება სასამართლოს ან ნებისმიერი სხვა კანონიერი გზით მოპოვებული, საკითხი ამოწურულად ჩაითვლება.

- და მაშინ ექნება თუ არა ნავსადგურის ხელმძღვანელობას პრეტენზია "მედექსის" მიმართ?

- "მედექსმა" ტენდერში გაიმარჯვა. ნავსადგურს პრეტენზია მის მიმართ მას შემდეგ ექნება, როცა აღმოჩნდება, რომ ის საქმე, რაშიც ხელშეკრულების თანახმად თანხა გადაუხადა, "მედექსმა" მაღალკვალიფიციურად არ შეასრულა. ანუ, როცა გაირკვევა, რომ 240 სამედიცინო დასკვნიდან რომელიმესი არაზუსტია, ამ ადამიანებს ჩვენი მხრიდან ბოდიშს მოვუხდით, ყველა პირობას შევუქმნით მუშაობის ჩვეული რიტმით გასაგრძელებლად, ხოლო "მედექსს" ნავსადგურის ადმინისტრაციის შეცდომაში შეყვანისთვის გარკვეულ მოთხოვნებს წავუყენებთ.

- თქვენი წინამორბედის, ჯემალ ინაიშვილის განკარგულებით საკმაოდ სოლიდური თანხით ფინანსდებოდა სხვადასხვა სოციალური, საქველმოქმედო თუ სხვა, მსგავსი ტიპის პროექტები. თქვენი მიდგომა საკითხისადმი განსხვავებულია. მიზეზი?

- ჩემი წინამორბედი ამას თავისი სურვილით არ აკეთებდა. ეს იყო დავალება, შევარდნაძის ხელისუფლების სტილი; რომ არ ყოფილიყო სოციალური აფეთქება, ხმამაღლა გამოხატული უკმაყოფილება ხალხის მხრიდან, კანონდარღვევით თუ კანონის გათვალისწინებით ფინანსდებოდა სხვადასხვა პროგრამა. დღეს საკითხისადმი ასეთი მიდგომაა: ყველა სოციალური თუ ყოფითი პრობლემის მოგვარება ევალება ქვეყნის ხელისუფლების კონკრეტულ რგოლებს, მათ შორის ქალაქის ხელმძღვანელობას, ხოლო ნავსადგურის ფუნქციაა, მაქსიმალურად შეძლოს თანხების მობილიზება ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტში. ეკონომიკური განვითარების მინისტრის კახა ბენდუქიძის ბრძანებით, ყველა სახელმწიფო კომპანიას ეკრძალება არაპროფილური და არამიზნობრივი ხარჯების დაფინანსება და ეს აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილებაა.

ასე ფიქრობს ფოთის ნავსადგურის ახალგაზრდა ხელმძღვანელი. "ჩემი პორტის უფროსად დანიშვნის დღიდან შეიცვალა მიდგომა საკითხებისადმი, მართვის სისტემები და ეს მხოლოდ დასაწყისია", - მიიჩნევს თემურ მიმინოშვილი. მისი გათვლით, ნავსადგური ქალაქისთვის, ქვეყნისთვის სწრაფი ეფექტის მომტან საწარმოდ მოიაზრება.

# ფოთში არსებული მელიორაციული ვითარება

ვაკე რელიეფით, უმნიშვნელო ქანობით, დაბალი ჰიდრომეტრიით (ზღვის დონიდან 04-08 მეტრი), არამდგრადი ნიადაგ-გრუნტებით, უხვი ნალექიანობით, ქვიშა და ქვიშნარი ნიადაგებით ფოთი ქვეყნის ერთ-ერთი რთული და მძიმე რეგიონია.

ღია და დახურულ არხთა სანიაღვრე კანალიზაციის სისტემის საერთო სიგრძე 160 კმ-ს შეადგენს, რაც ხშირი ნალექების დროს ვერ უზრუნველყოფს ქუჩების, საცხოვრებელი სახლების, სარდაფების დატბორვის გამორიცხვას.

დასავლეთის ქარების დროს ზღვის შტორმის ზემოქმედება წყალმიმღებ არხებში წყლის დონის აწევას იწვევს, რაც დატბორვის პერიოდს ახანგრძლივებს. წესით, სანიაღვრე კანალიზაციის სისტემამ უნდა შეძლოს დატბორვის გამოწვევის გარეშე წვიმის წყლის ჩაშვება წყალმიმღებში, - ზღვაში, მდინარე რიონსა და კაპარჭინაში. სანიაღვრე კანალიზაციის პროექტირებისა და მშენებლობის დროს თავის დროზე დაშვებულ იქნა შეცდომა: არ გაითვალისწინეს ფოთისთვის დამახასიათებელი მაღალი ინტენსივობის ნალექები ანუ ექსტრემალური პირობები, რის გამოც იდეალური მდგომარეობის დროსაც სანიაღვრე ქსელის გაბარიტული მახასიათებლები ვერ შეძლებენ ნალექის დროულ გაყვანას ქალაქის ტერიტორიიდან. სატუმბი სადგურების წარმადობა გაცილებით მეტია არსებულ სამელიორაციო არხთა სისტემაში წყლის მოდენის სიჩქარეზე, რაც ხშირად სატუმბი სადგურების უქმ მუშაობას იწვევს.

ღია ან სადრენაჟო არხები ხშირად ამოვსებულია ნატანითა და მყარი ნარჩენებით. ბეტონის ფილები და ელემენტები დამსხვრეულია ან ჩაფლულია გრუნტში. მეტიც, სისტემა ზოგან გარღვეულია წყალსადენი მილებითა და გადასასვლელებით.

დამატებით პრობლემებს ქმნის ის საცხოვრებელი უბნები, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან წყალმომარაგებით, მაგრამ არ არიან მიერთებული ფეკალური კანალიზაციის სისტემასთან. აქ საყოფაცხოვრებო წყლები პირდაპირ ჩაედინება მდინარეში ან ზღვაში ყოველგვარი გადამუშავებისა და გაწმენდის გარეშე.

ზოგიერთ ქუჩაზე მყარი საფარის გამო არ არსებობს არხების სისტემა. წვიმის წყალი გროვდება ტროტუარებსა და ქუჩის კუთხეებთან, სადაც წყალი დგება მანამ, სანამ არ აორთქლდება ან არ შეიწოვება გრუნტის მიერ.

წყალგამყვან არხთა ქსელის წესრიგში მოსაყვანად და მისი გამართული მუშაობისთვის საჭირო თანხა დაახლოებით 37 ათას ლარს შეადგენს. ეს ის თანხაა, რომელიც საჭიროა ქალაქის ერთ-ერთ უბანში სანიაღვრე სისტემის წესრიგში მოსაყვანად 2-3 წელიწადში ერთხელ.

არსებული სისტემის გასაუმჯობესებლად და შესანახად საჭირო ტექნიკური სამუშაოები:

- სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია;

- სანიაღვრე კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია ან ბეტონის არხების დაზიანებული ელემენტების შეცვლა;

- არაფეკალური მომხმარებლების გამოყოფა საისტემიდან მას შემდეგ, რაც სანიაღვრე კანალიზაციის სისტემა განახლდება და შეიცვლება ახლით;

- გზების დაფარვა მყარი საფარით, რაც აუცილებელია ნატანის დიდი რაოდენობით არხებში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად.

მდინარე კაპარჭინამ, რომელიც სათავეს იღებდა პალიასტომიდან, წყლის დეფიციტის გამო დაკარგა ფუნქცია, ე.ი. გადინების უნარი, სათავე დაჭაობდა და იგივე პროცესი მიმდინარეობს მდინარის კალაპოტშიც. იგი სათავიდან 6-7 კმ-ის მანძილზე დასილულია, ძლიერ დანაგვიანებულია და ანტისანიტარიის კერას წარმოადგენს.

გადასაწყვეტია კაპარჭინის კალაპოტის საკითხი ზღვასთან შეერთების უბანზე, სადაც იგი ინტენსიურად რეცხავს მალთაყვის ფიჭვნარს, საკურორტო ზოლში და წარეცხვით ემუქრება ფოთი-ბათუმის საავტომობილო გზას. საჭირო გახდა ამ კალაპოტის გადაკეტვა ქვაყრილის ზღუდით და ზღვასთან შემაერთებელი ძველი კალაპოტის სრულად აღდგენა. 1998 წელს შემუშავებული პროექტის თანახმად, ჩასატარებელი სამუშაოებისა და მშენებლობის ღირებულებამ შეადგინა 131 ათასი ლარი. პროექტის განხორციელება დაიწყო, მაგრამ ფინანსების უკმარისობის გამო ვერ დასრულდა.

სანიაღვრე კანალიზაციის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ელექტროენერგიის დეფიციტია. გარანტირებულ ენერგომომარაგებამდე სისტემის გასაუმჯობესებლად მიმართული ნებისმიერი ღონისძიება საბოლოო შედეგს ვერ გამოიღებს.

დასასრულ, ღონისძიებათაგან ყველაზე საყურადღებო:

- ღია და დახურული არხებისა და სანიაღვრე სისტემის სხვა ელემენტების ექსპლოატაციის წესების დამუშავება, გაწმენდისა და ინსპექტირების პერიოდების დადგენა და მათი ზუსტი დაცვა;

- რიონის მარცხენა დასილული ტოტის გახსნა-გაწმენდა ზღვასთან შესართავში და მშვიდობის ქუჩაზე მდებარე სატუმბი სადგურის რეგულარული წყალმიმღებით უზრუნველყოფა.

გარდა იმისა, რომ ამ ღონისძიებებით მოისპობა დაჭაობებისა და ეროზიის კერები ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ უბნებში, ელექტროენერგიის გამორთვის ან რაიონში წყლის დაბალი დონეების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება ნიაღვრული წყლების გაყვანა მიმდებარე ტერიტორიიდან და მათი თავისუფალი ჩაშვება ზღვაში.

მიმდინარე წლის აგვისტოში დაიწყო ფოთის შემოსასვლელში მდებარე წყალგამანაწილებელი კვანძის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც მსოფლიო ბანკის გრძელვადიანი სესხითა და კაშხალების უსაფრთხოების პროგრამის ეგიდით ხორციელდება. კვანძს არა მარტო წყალდიდობის ხარჯების რეგულირებისა და ზღვის სანაპირო ზოლის ეროზიის შემცირებისთვის საჭირო ნატანის გადაადგილების ფუნქცია აქვს, არამედ ის არის თბილისი-ფოთის სატრანსპორტო მაგისტრალის უმოკლესი მონაკვეთი.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან ჯამბულ ბაკურაძესთან გამართულ თათბირზე (4.10.04) ფოთის მთავრობას დაევალა ქალაქის არხზე არსებული გალერეების წმენდითი და მოწესრიგების სამუშაოების კონტროლზე აყვანა, რათა არხში 350-400 კუბ.მ/წთ წყლის ხარჯის გატარების დროს თავიდან იქნას აცილებული ქალაქში არხის მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა (მიმდინარეობს სამუშაოები).

რაც შეეხება მდინარე რიონზე არსებულ ხიდურ გადასასვლელზე საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვას, 2004 წლის 7 მარტის განკარგულებაში, რომელსაც პრეზიდენტი სააკაშვილი აწერს ხელს, აღნიშნულია, რომ მდინარე რიონზე არსებული წყალგამყოფი ჰიდროკვანძის ავარიული მდგომარეობის გამო, მდინარე რიონის ადიდებასთან დაკავშირებით, ჰიდროკვანძის კომპლექსზე გამავალ ხიდურ გადასასვლელზე 3 ტონაზე მეტი წონის ავტოტრანსპორტის მოძრაობა სრულად შეიზღუდოს და ხიდზე მსუბუქი ავტომანქანა ერთდროულად ერთზე მეტი არ უნდა იმყოფებოდეს (აღნიშნულ განკარგულებას პრეზიდენტი აწერს ხელს და ეს არ არის, როგორც პრესაში გაიჟღერა, ქალაქის მთავრობის კაპრიზი).

# ნავსადგურის ქონება შეფასებულია არაობიექტურად

## ინტერვიუ ფოთის მერის პირველ მოადგილესთან ირაკლი მოწერელიასთან



**- ბატონო ირაკლი, თუ მერს, ვახტანგ ალანიას ვთხოვდით ციფრებისა და პროცენტების გარეშე საუბარს, თქვენ პირიქით, გთხოვთ ყოველგვარი ციფრობრივი მონაცემის მოტანას... დავიწყოთ: რა ვითარება იყო ფოთში 1995 წლამდე?**

- 1995 წლამდე ჩვენი ძალისხმევა მიმართული იყო იქითკენ, რომ შეგვენელებინა ეროვნული მეურნეობის ნგრევის, ფასეულობათა განიავებისა და დატაცების პროცესები, რამაც საშუალება მოგვცა შეგვენარჩუნებინა სამრეწველო საწარმოთა ძირითადი ტექნოლოგიური ხაზები.

ამან, თავის მხრივ, განაპირობა ის გარემოება, რომ 1995-1996 წლებში აღინიშნებოდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობის ზრდა როგორც მძიმე, მსუბუქი, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების ხაზით 10-12 პროცენტის ფარგლებში.

ამავე პერიოდში სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად დაიწყო პრივატიზაციის პროცესი, რომელიც არსებულ კანონიერ საფუძველზე წარიმართა, გამწვავებების გარეშე.

**- ასე უმტკივნეულოდ ჩაიარა?**

- გამონაკლისს წარმოადგენს გემთსაშენი, რომლის მიმართ არ იქნა გაზიარებული მერიის წინადადება, მისი სამხედრო უწყებისადმი დაქვემდებარების შესახებ, მოხდა მისი პრივატიზება, რომლის მართლზომიერება შემდგომში ეჭვის ქვეშ დადგა და საბოლოო შეფასება დღესაც დაკონკრეტებას მოითხოვს. ქართული ფლოტი კი, ფაქტობრივად, სარემონტო ბაზის გარეშე დარჩა.

**- ევრაზიის დერეფნის ფორმირების პროცესი დადებითად უნდა ასახულიყო ფოთის ცხოვრებაში...**

- დიახ, ევრაზიის დერეფნის ფორმირების პროცესებმა, ნავსადგურის ტვირთბრუნვაში სტრუქტურულმა ცვლილებებმა ახალი რეალიების წინაშე დაგვაყენა, რომლებმაც მოითხოვა სამრეწველო წარმოების სფეროების გარდაქმნა და მომსახურების თვისობრივად ახალი დარგის შექმნა და განვითარება. საკონტეინერო გადაზიდვებმა ბიძგი მისცა სრულიად ახალი ტიპის სამეურნეო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. სულ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, ტვირთმფლობელთა მომსახურების მიზნით, 47 სააგენტო და საექსპედიტორო ორგანიზაცია შეიქმნა, რომლებშიც 450-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

**- დღეს "მოდუნებული" საწარმოებიდან რომელს აქვს შენარჩუნებული სიცოცხლის უნარი?**

- აწ აქციონირებული საწარმოებიდან პროფილის შეუცვლელად, გამართულად მუშაობა შეუძლია ჰიდრომანქანას, წისქვილქარხანას და ფოთიტორფს, რომლებსაც ხელეწიფება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ეს ძირითადად იმიტომ, რომ მათი ტექნოლოგიური ხაზები და საწარმოო ბაზა ამის საშუალებას გვაძლევს. გამართულად მუშაობს პურის ქარხანა.

**- სხვა, ახალი დროის ახალი წესით გაჩენილ საწარმოებზე რას იტყოდით?**

- დღეისათვის ფოთში ფუნქციონირებს 19 პურსაცხობი, 6 ხილეული წყლების საამქრო, 7 ლითონის დამამუშავებელი მცირე საწარმო, ხე-ტყის დამუშავებისა და ბეტონის საწარმოები, "საზღვაო ტექსერვისის ფოთის ფილიალის გემთშემკეთებელი ბაზა", "წყალკანალი", რომლებშიც დასაქმებულია 700-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე.

**- და ისევ ნავსადგურს მივადექით.**

- დღეს არ გვიხდება მტკიცება იმისა, რომ ეს საწარმო დეპრესიას ვერ გადაურჩა. საკმარისია ითქვას, რომ 1993-1994 წლებში ტვირთბრუნვის მოცულობა 1 მილიონ 400 ათასამდე შემცირდა. ნავსადგური "ტრასეკას" პროექტის განხორციელებამ შეგვინარჩუნა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმეთა და კომერციული საქმიანობით დაკავებული ადამიანებისთვის ნავსადგურთან მიმართებაში ოპტიმალური გარემოს შექმნა სჭირდება.

ჯერ კიდევ 1997 წელს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №502 "საქართველოს საზღვაო ნავსადგურში გემის ეკიპაჟის მგზავრთა, მათი ბარგისა და ხელბარგის, ტრანსპორტის, ტვირთის რეგისტრაციის, სასაზღვრო მიგრაციული და საბაჟო კონტროლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". მისი რეალიზაციის შედეგად საზღვარზე 19 მაკონტროლებელი ორგანიზაციიდან დარჩა 8, შემდგომმა პერიოდმა დაგვანახა, რომ ცალკეულმა რესპუბლიკურმა უწყებებმა მოახერხეს საბაჟო ზონაში თავიანთი სტრუქტურების ჩანერგვა, რაც განაპირობებს მომსახურების ხარჯების საგრძნობლად ზრდას და ახანგრძლივებს საბაჟო ფორმალობებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ნებადართული თუ სხვა მოსაკრებლები წარიმართება შესაბამის უწყებათა და სამინისტროების სპეცანგარიშებში ბიუჯეტის გვერდის ავლით. ეს სოლიდური თანხებია.

**- პირველ პრობლემად რა მიგაჩნიათ ნავსადგურისათვის?**

- ნავსადგურის მწვავე პრობლემას წარმოადგენს დასავლეთი მოლისა და დამცავი ჯებირის მდგომარეობა, რომლებსაც 1992 წლის შემდეგ გამაგრებითი სამუშაოები არ ჩატარებია. ზღვა ამ უბანს ინტენსიურად რეცხავს და თუ არ იქნა მიღებული საგანგებო ზომები, სპეციალისტების აზრით, შეიძლება გამოუსწორებელი შედეგი მივიღოთ.

რამდენიმე წლის წინ ტრასის პროგრამით შემუშავდა პროექტი ფოთისა და ბათუმის პორტების ოპტიმიზაციის შესახებ...

**- რამდენადაც ვიცი, ამას დიდი სიკეთე არ მოუტანია...**

- დიახ, სამწუხაროდ, ამ პროექტის რეკომენდაციები არ განახორციელეს. საკონტეინერო ტერმინალი არ განავითარეს, მომიჯნავე ტერიტორიაზე ნავთობსაცავები ააშენეს და ამით საკონტეინერო ტერმინალს განვითარებისთვის აუცილებელი ფართობი წაართვეს.

უფრო ადრე №1 გემმისადგომზე ნავთობტერმინალი მოაწყვეს, №2 გემმისადგომი საბორნე გადასასვლელს დაუთმეს, რითაც №3 გემმისადგომი შეიზღუდა და ძლიერ შეიკვეცა ნაყარი ტვირთების მიღება-დამუშავების შესაძლებლობა.

**- სხვა გემმისადგომებზე რას გვეტყოდით?**

- 2002 წელს ჩატარდა ტენდერი, რის შედეგად №3, №4, №5 და №8 გემმისადგომები იჯარით გაიცა. ტენდერის ორგანიზაციული მხარის მართლზომიერება ეჭვის ქვეშ დადგა. აღსანიშნავია, რომ პროცედურის თანახმად, ტენდერის პირობები განხილული უნდა ყოფილიყო ფოთის მთავრობისა და საკრებულოს სხდომებზე, რაც არ მომხდარა, რის გამოც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სარჩელი შევიდა სასამართლოში, სადაც იგი განხილვის სტადიაშია.

ერთიანი სატარიფო პოლიტიკის არარსებობის გამო ნავსადგურში ირღვევა ტარიფები და ამით ზარალობს ეკონომიკა, რადგანაც უცხოელი ტვირთმფლობელები ერიდებიან ფოთის პორტით სარგებლობას სიძვირის და მომსახურების დაბალი დონის გამო.

**- სხვა პრობლემები?**

- ნავსადგურში ირღვევა ტვირთების დამუშავების ტექნოლოგია. ნავსადგურის ადმინისტრაცია, ცალკეული სტრუქტურები არცთუ იშვიათად მოქმედებენ საზღვაო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით.

**- ნავსადგურის ქონება როგორ შეფასდა, გვახსოვს, თავის დროზე ამ თემაზე ბევრს წერდნენ ჩვენი გაზეთები.**

- ჩვენი აზრით, ნავსადგურის ქონება შეფასებულია არაობიექტურად, დაბალ ფასებში და გადასინჯვას საჭიროებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ნავსადგურის განვითარებისათვის გადაცემული მიწა, 380 ჰექტარი, არ არის ათვისებული, ნავსადგური ამ მიწას არ იყენებს და არც ქალაქს უბრუნებს.

ფოთის ნავსადგური ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი შემავსებელია და იგი ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე პირნათლად ასრულებს, დაწესებული ნორმატივების ფარგლებში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანხები ქალაქის საჭიროებისათვის საკმარისი არ არის.

**- ისიც გვახსოვს, ნიკოლაძისეული "ნახევარი კაპიკის" ანალოგიის შემოღებას ცდილობდით.**

- ეს იყო 1993-1995 წლებში. "ტრასეკა"-ს პროექტის ფორმირების საწყის ეტაპზე შემუშავდა ყოველ ტონა გადამუშავებულ ტვირთზე მოსაკრებლის შემოღების წესი (ნიკოლაძისეული საფუთე გადასახადის) ანალოგიით. სამწუხაროდ, ეს მოსაკრებელი ვერ ამოქმედდა, ნავსადგურის იმდროინდელი ხელმძღვანელობის წინააღმდეგობის, ხოლო მოგვიანებით საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გამო.

**- მას შემდეგ ეს თემა პერიოდულად მწვავდება, სხვადასხვა რანგის პოლიტიკოსთა და ჩინოსანთა "რეპერტუარშიც" პოულობს ასახვას.**

- დიახ, მეტწილად მერკანტილური მიზნებით. ყოველ შემთხვევაში, ქალაქში მოძალებული პრობლემები ადგილობრივ ბიუჯეტთან ნავსადგურის ვალდებულების პარამეტრების გადასინჯვას დღის წესრიგში აყენებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ნავსადგურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი, რაც უზრუნველყოფს ამ საწარმოს კლანური გავლენის სფეროდან გამოყვანას და რაც არანაკლებ მნიშვნელოვნად გვესახება, უნდა გადაწყდეს ნავსადგურის მენეჯმენტის საკითხი იმდაგვარად, რომ საკუთრივ ქალაქ ფოთისა და ნავსადგურის ინტერესები ჰარმონიულად იყოს შეთავსებული. სწორედ ამ გლობალურ საკითხს იხილავდა გასულ შაბათს ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის მიერ ჩამოყვანილი პარლამენტართა ერთი ჯგუფი.

**- გვახსოვს, რეგულარულად დაფრინავდა თვითმფრინავი ფოთი-თბილისი.**

- მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ფოთის აეროპორტი, რომელიც, ფაქტობრივად, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მინიმალური უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილი და მხოლოდ რამდენიმე ენთუზიასტის ძალისხმევა იცავს სრული განადგურებისაგან. ფრენა კი აუცილებლად აღდგება, როცა წელში გავიმართებით.

**- თევზჭერაზე რას გვეტყოდით.**

- საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი სანაპირო ზოლი, თევზის რესურსების დიდი მარაგით, თევზჭერისა და გადამუშავების ტრადიციები, თევზსაჭერი ფლოტი, პროფესიონალი მეზღვაურები.

შავი ზღვის სანაპირო თევზჭერის მთავარი ობიექტია ქაფშია, რომლის რაოდენობა საქართველოს ნაპირებთან სეზონის (ნოემბერი-აპრილი) განმავლობაში 150 ათას ტონას შეადგენს. დასაშვები მოპოვება ამ თევზის პოპულაციის აღდგენისათვის ზიანის მიუყენებლად 90-100 ათასი ტონით განისაზღვრება.

საბჭოთა ეკონომიკური სივრცის რღვევას შედეგად მოჰყვა საქართველოს თევზსაჭერი ფლოტის, მთლიანად თევზის მრეწველობის დარგის სტაგნაცია და მოშლა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თევზის მეურნეობის, როგორც დარგის დემონტაჟი, უფრო ადრე, 1988-1989 წლებში დაიწყო, როდესაც ქალაქ ფოთის იმდროინდელი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით ზღვისპირა ბულვარის კეთილმოწყობის მოტივით დანგრეულ იქნა უნიკალური 12-კამერიანი მაცივარი, დაიხურა თევზის მრეწველობის სასწავლო ინსტიტუტის ფილიალი ქალაქ ფოთში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საოკეანო თევზსაჭერი ფლოტის სხვა რესპუბლიკაზე გადაცემისა და თევზის მრეწველობის მმართველობითი სტრუქტურის "საქთევზმრეწვის" სრული რეორგანიზაციის შესახებ.

პროცესი გასულ ათწლეულში დასრულდა. მთლიანად ჩამოიწერა და ჯართად გაიყიდა საოკეანო ფლოტი და მისი დამხმარე მცურავი საშუალებები, მოიშალა სანაპირო მომსახურების ობიექტები, პრივატიზებულ და გასხვისებულ იქნა სანაპირო გადამამუშავებელი და სამეურნეო უზრუნველყოფის ობიექტები, მოიშალა სარემონტო ბაზა, დაიფანტა მაღალპროფესიონალი სპეციალისტები.

**- რა სევდის მომგვრელი ისტორიაა. დღეისათვის აღარაფერი დაგვრჩა?**

- როგორ არა, საქართველოს გააჩნია ორი ათეული თევზსაჭერი სეინერი, რომლებიც ბაზირებულია ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში, რამდენიმე კი გემთმფლობელის საკუთრებას წარმოადგენს.

ფლოტი მორალურად და ტექნიკურად მეტად მოძველებულია, თევზის ძებნისა და მოპოვების თანამედროვე აღჭურვილობის გარეშე, ხშირად გამოიყენებიან სახელმწიფო რეგისტრის დოკუმენტაციის გარეშე, რაც საფრთხეს უქმნის როგორც მცურავ საშუალებებს, ასევე მის ეკიპაჟებს.

მძიმე ვითარებაა თევზის მიმღებ-გადასამუშავებელ სანაპირო ობიექტებზე. ზემოხსენებული უნიკალური მაცივრის დანგრევისა და ბათუმის თევზჭერის სამმართველოს საამქროების განადგურების შემდეგ, დარგი ღრმა გაყინვის (-40 გრადუსი) შესაძლებლობის გარეშე დარჩა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია თევზის მოპოვების ეფექტურად და უდანაკარგოდ წარმართვა, ისევე როგორც თევზის გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება საერთოდ.

**- რა არის საჭირო, ეს მნიშვნელოვანი დარგი კვლავ რომ ქვეყანას ემსახუროს?**

- თევზის მრეწველობის განვითარების მიზნით საჭიროა: ფლოტის განახლება, გამყინავი სიმძლავრეები, 150 ტონამდე ტევადობით დღე-ღამეში, სამაცივრო ტევადობის გაზრდა 2 ათასი ტონით, ქაფშიისაგან წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურის კონსერვების, პრესერვის, შებოლილის, თევზის ცხიმის, ფქვილის განსაზღვრა და ეტაპობრივად გამოშვება. აუცილებელია საქართველოს ნაპირებთან თევზის მარაგის პროგნოზირებისა და თევზის საძებნი სამუშაოების ჩატარების ორგანიზება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ უახლოეს მომავალში საქართველო ვერ შეძლებს სეზონური რესურსების მთლიანად ათვისებას, ამდენად ჭარბი რაოდენობის თევზის მოპოვებაზე ნებართვა შეიძლება უცხო ქვეყნების სუბიექტებზეც გაიცეს.

**- გემთშემკეთებელი ქარხანა?..**

- გემთშემკეთებელი ბაზა და მისი ინფრასტრუქტურა უნდა უკავშირდებოდეს მცურავ დოკს და მის მეურნეობას. ამჟამად საქართველოში მხოლოდ ერთი მცურავი დოკია, მისი ტვირთამწეობა 500 ტონაა, განთავსებულია ფოთის პორტის აკვატორიაში და მისსავე საკუთრებას წარმოადგენს.

გემთშეკეთების ორგანიზაციის ოპტიმალური ვარიანტია მისი მოწყობა გემთსაშენის ბაზაზე, რისთვისაც საჭირო იქნება მცურავი დოკის ბაზირება გემთსაშენში.

ფოთის გემთსაშენის №1 საამქროსა და საამქრო "ერას" ბაზაზე უნდა შეიქმნას სამეურნეო ერთეული გემის კორპუსის კონსტრუქციების, მსხვილგაბარიტიანი დეტალებისა და კვანძების, ელექტროაღჭურვილობის სარემონტოდ.

გასათვალისწინებელია, რომ გემთსაშენი კერძო საკუთრებას წარმოადგენს, ამდენად, ზემოხსენებულ წინადადებათა რეალიზაცია ინტერესთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უნდა მოხდეს.

გემთშეკეთების ორგანიზება ზემოხსენებული სქემით მნიშვნელოვანია არა მარტო თევზსაჭერი ფლოტის მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად, არამედ სხვა დანიშნულების გემების და რაც მთავარია, სამხედრო ხომალდების შესაკეთებლად, რისი ნახევარსაუკუნოვანი ტრადიცია და გამოცდილება გააჩნია ფოთის გემთსაშენს, რასაც დღეს შენარჩუნება სჭირდება.

გემთმშენებლობის ოპტიმალური ვარიანტია მისი ორგანიზება ფოთის გემთსაშენში მე-16 საამქროს ბაზაზე, რომელსაც მოპოვებული აქვს საერთაშორისო სერთიფიკატი. საერთოდ, გემთშეკეთებისა და გემთმშენებლობის რეანიმაცია დიდ სოციალურ და ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს ქვეყანას. იგი გამოიწვევს 2000-მდე ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, აგვაცილებს ამ დანიშნულებით დიდძალი ვალუტის არათუ გადინებას, არამედ თავად იქცევა ვალუტის შემოსვლის წყაროდ.- ჯერ კიდევ 120 წლის წინ ნიკო ნიკოლაძე ოცნებობდა ფოთის ტურიზმზე, მის კურორტად ქცევაზე... დავუმატოთ სპორტიც.

მოგეხსენებათ, რომ ტურიზმის განვითარების დიდ შესაძლებლობას გვაძლევს კოლხეთის ეროვნული პარკი, რომელიც ბიომრავალფეროვნების უნიკალურ სისტემას წარმოადგენს, კურორტი მალთაყვა და იქვე არსებული წყალსათხილამურო ბაზა, გარკვეული ფინანსური დანახარჯების შემდეგ, შეიძლება საერთაშორისო მნიშვნელობის დასვენებისა და გართობის ცენტრად იქცეს.

**- ბატონო ირაკლი, თქვენი ნათქვამიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ფოთი დღეისათვის არ ვითარდება!**

- უნდა დაგეთანხმოთ... სამწუხაროდ! მაგრამ ცხადია, ეს დროებითი მოვლენაა, მრავალი ფაქტორით გამოწვეული.

მეტად სავალალო მდგომარეობაშია საქალაქო ინფრასტრუქტურა. განსაკუთრებით კი ქუჩები და ტროტუარები, რამდენიმე ცენტრალური ქუჩის გამოკლებით, არც ერთი ქუჩის საფარი დამაკმაყოფილებლად არ მიიჩნევა.

მეტად სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სანიაღვრე წყლები. ქალაქის სანიაღვრე კანალიზაციის სისტემა, რომლის საერთო სიგრძე 180 კმ-ს აღწევს, ხელმიშვებულ მდგომარეობაშია, კოკისპირული წვიმების დროს ქალაქი მთლიანად იტბორება, ზიანდება საკარმიდამო ნაკვეთები, პირველი სართულები, მიწისქვეშა ელექტრო და კავშირგაბმულობის კომუნიკაციები.

**- ბატონო ირაკლი, რადგანაც ჩვენს გაზეთში ვბეჭდავთ წერილებს, სადაც საუბარია ეკოლოგიაზე, ელექტრომომარაგებაზე, წყალმომარაგებაზე, გაზზე და ა.შ. თქვენ აღარ შეგაწუხებთ. გვითხარით, თქვენი საბიუჯეტო თანხები როგორ აკმაყოფილებს დიდ მოთხოვნებს...**

- სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ის მცირე საბიუჯეტო სახსრებიც კი, რომელიც უნდა წარიმართოს ქალაქის ინფრასტრუქტურის უმწვავესი პრობლემის დასაძლევად, არცთუ იშვიათად იქსაქსება ისეთი პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა განხორციელება არ წარმოადგენს ობიექტურ აუცილებლობას. ასე მაგალითად, 1996 წელს დაიწყო სასტუმროს მშენებლობა, რომელიც 1998 წელს შეწყდა (ამოყვანილია 4 სართული). 1997 წელს დამონტაჟდა 5 კმ სიგრძის ტროლეიბუსის ხაზი, რომელსაც დემონტაჟი გაუკეთდა 1999 წელს. 2001-2002 წლებში 300.0 ათასი ლარი გადაირიცხა 108 მეგავატი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის დაპროექტებისათვის, 118.0 ათასი ლარი საბიუჯეტო ორგანიზაციების აუდიტისათვის, 76.0 ათასი ლარი ასფალტის შემცველი ნივთიერების შესაძენად. ყველა ეს ხარჯი ფუჭად გაღებული დარჩა. და ეს მხოლოდ ნაწილია საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად და არამიზნობრივად განკარგვისა მრავალ ფაქტს შორის.

**- დადებითის თქმა თუ შეგიძლიათ? რამე გვითხარით...**

- 2004 წლის მონაცემებით გარკვეული გადაჭარბებით შესრულდა ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტი. ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულებამ საშუალება მოგვცა, დაგვეფარა ბანკში გახსნილი საკრედიტო ხაზი. პარალელურად ხდებოდა სხვა კრედიტორი ორგანიზაციების დავალიანების დაფარვა, მათ შორის მუნიციპალური განვითარების ფონდის კრედიტის დაფარვა. სასამართლო გადაწყვეტილებებით, გასაწევი ხარჯები. დღეისათვის მობილიზებულია პედაგოგთა ხელფასებისათვის და საშვებულებო თანხები. ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა ორგანიზაცია სრულად არის დაფინანსებული.

კიდევ დავუმატებ... მიმდინარეობს მოლაპარაკება მუნიციპალური განვითარების ფონდთან 15.000 ათასი ლარის ოდენობით ინვესტიციების მისაღებად, რაც მთლიანად მოხმარდება ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას. პროგრამის დაფინანსებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 300 ათასი ლარი.

მზადაა ქალაქის 4 უბნის განვითარების კონცეფცია.

დამთავრდა ცენტრის უბნის ფეკალური კანალიზაციის აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები.

დასრულდა ქუჩების ორმული შეკეთებები, კაპიტალურად შეკეთდა ორი სატუმბი სადგური, პირველად ათი წლის მანძილზე მიმდინარეობს სანიაღვრე კანალიზაციის აღდგენის სამუშაოები მთელ ქალაქში. გრძელდება მოსამზადებელი სამუშაოები ქალაქის ქუჩების მოასფალტებისათვის, რაზეც ერთი მილიონი ლარი დაიხარჯება.

აღდგენილია ტროლეიბუსის მიმოსვლა, დასრულდა ცენტრალური საავადმყოფოს პირველი რიგის სარემონტო სამუშაოები. წლის ბოლოს მზად იქნება ახალი თეატრის პროექტი.

საქართველოს მთავრობის დავალების შესაბამისად, უახლოეს დღეებში დაიწყება მიწისმწოვი მანქანის აღდგენა, რომელიც გამოყენებული იქნება ქალაქში გამავალი არხის საპროექტო ნიშნულებში მოყვანისა და წყალმარეგულირებელი ნაგებობების სარემონტო სამუშაოებში.

უახლოეს პერიოდში განახლდება მდ. კაპარჭინის ძველ კალაპოტზე დამბის მშენებლობა და ტყეპარკის მიმდებარე ნაპირის გამაგრებითი ღონისძიებები, რაც საშუალებას მოგვცემს დავაშოროთ ნამდინარევი და აღვადგინოთ ბუნებრივი პლაჟი მალთაყვის ხიდიდან გრიგოლეთამდე, რომლის ფართობი 20 ჰექტარს შეადგენს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალურ საკითხებს. მიმდინარე წელს შემუშავდა დასაქმების მუნიციპალური, მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი) ოჯახების მატერიალური მხარდაჭერის პროგრამები, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია 80 ათასი ლარი.

განაგრძობს ფუნქციონირებას უზედამხედველო მოზარდთა რეაბილიტაციის ცენტრი, რომელმაც ქუჩის ცხოვრებას ჩამოაშორა, ნორმალური ცხოვრება და სწავლის პირობები შეუქმნა 14 არასრულწლოვანს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ერუდირებული მოსწავლე-ახალგაზრდობის ნიჭის გამოვლენას, მათი სტიპენდიებითა და გრანტებით დაჯილდოებას.

შემუშავებულია სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგთა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა, რაც უკვე განხორციელების სტადიაშია. აგრეთვე, ადგილობრივი ბიუჯეტით ხდება პედაგოგთა ხელფასზე დანამატების გაცემა კატეგორიების მიხედვით.

**- კულტურის სფეროსაც შევეხოთ.**

- მიმდინარე წელს ჩატარდა კულტურული ღონისძიებები, რომლებიც მიეძღვნა 9 აპრილს დაღუპულთა, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას ხსოვნას, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

ქალაქ ფოთში წარმოდგენები გამართეს გრიბოედოვის სახელობის და ბათუმის თოჯინების თეატრებმა. 25-26 ივნისს ქალაქის შემოქმედებითმა ინტელიგენციამ უმასპინძლა უკრაინისა და რუსეთის მწერალთა დიდ ჯგუფს, ქალაქს სტუმრობდა ამერიკის ფოლკლორული ანსამბლი "ვილიტ ჰარმონი", რომელმაც ფოლკლორის ცენტრთან არსებულ ანსამბლ "ფოთთან" ერთად ქართულ ენაზე შეასრულა ხალხური სიმღერები და ცეკვები.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა და უახლოესი მომავლისათვის გათვალისწინებული პროგრამებისა, გვესახება, რომ ფოთის ბუნებრივ-ისტორიული პირობებით განპირობებულმა და მეტწილად ამ პირობების გაუთვალისწინებლად წარსულში წარმოებულმა საქმიანობამ მეტად მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა ქალაქის მთელი ინფრასტრუქტურა, ფოთმა დღემდე ვერ შეიძინა ტიპური ქალაქის იერსახე, რომელიც ქვეყნის ცხოვრებაში ფოთის მნიშვნელობის ადეკვატური არ არის.

ფაქტია ისიც, რომ უკანასკნელ ათწლეულში ქალაქის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო ფოთის განვითარების პრიორიტეტების გამოყოფა და პრობლემების დაძლევის პერსპექტიული პროგრამის შემუშავება, რის გამოც ამ პრობლემების გადაწყვეტა სხვადასხვა დონისა და რანგის ჩინოსანთა პიროვნული ან ჯგუფური შეხედულებებისა და ნება-სურვილის დონეზე დარჩა. ამ გარემოებების გათვალისწინებით გვესახება, რომ უნდა შეიქმნას ქალაქ ფოთის პრობლემების გადაწყვეტის მრავალწლიანი პროგრამა და შემუშავდეს მისი რეალიზაციის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროგრამის აუცილებელ განხორციელებას.

**- გისმინოთ ღმერთმა. გმადლობთ საუბრისათვის.**

# ქალაქ ფოთის წყალმომარაგება

ქალაქის წყალსადენის სათავე ნაგებობა მდებარეობს სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში. მისი სიგრძე 50 კილომეტრამდეა. ამავე წყალსადენით სარგებლობს სენაკისა და ხობის რაიონების სოფლები. ბევრი მათგანი ჩართულია თვითნებურად, ყოველგვარი ტექნიკური პირობებისა და ნორმების დაცვის გარეშე. ეს გარემოება ხელს უწყობს წყლის ხარჯვის მნიშვნელოვან ზრდას, ართულებს წყალსადენის ექსპლოატაციას. ყოველწლიურად ფოთის ბიუჯეტი ენერგობაზარს უხდის ერთ მილიონ ლარზე მეტს წყალსადენზე დახარჯული ელექტროენერგიის საფასურად. პრობლემები ელექტრომომარაგებაში გამორიცხავს ქალაქის სასმელი წყლით გარანტირებულად უზრუნველყოფას, ამიტომ ქალაქის უბნებს წყალი მიეწოდებათ გრაფიკით, ხშირად ხანგრძლივი წყვეტილობითაც. მოსახლეობა იძულებულია მოიწყოს სასმელი წყლის მარაგები, ეძებოს წყალმომარაგების სხვა გზებიც (მაგალითად, საკარმიდამო ეზოებში საკუთარი არტეზიული ჭაბურღილების მოწყობითაც). ეს წყალი სასმელად უვარგისია, მისი მოხმარება კონტროლს მოკლებულია და ჯანმრთელობისთვის საშიშ დაავადებათა გაჩენის რისკს წარმოშობს.

საპროექტო ორგანიზაცია "კომუნპროექტის" მიერ შემუშავებულია ქ. ფოთის წყალმომარაგების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რომელიც გულისხმობს მარტვილის რაიონიდან თვითდინებით წყლის მოყვანას ფოთამდე და ამ მიზნით არსებული სისტემის გამოყენებას, ანუ ახალი წყალსადენის სათავე ნაგებობა ეწყობა მთიან კარსტულ წყაროზე და მდინარე აბაშის გაყოლებით ჩაერთვება ნოსირი-ფოთის მილსადენს სენაკის რაიონის სოფელ ძველ სენაკთან. ეს არის პროექტის მთავარი, პირველი ეტაპი და მისი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები საორიენტაციოდ განისაზღვრება 11 მილიონი ლარით. ამ პროექტის განხორციელებით მთლიანად გამოირიცხება ელექტროენერგიის გამოყენება, რაც საშუალებას მოგვცემს გამოთავისუფლდეს ერთ მილიონ ლარზე მეტი, რომელიც ყოველწლიურად იხარჯება ამ დანიშნულებით. ნაილი მოპოვებული წყლისა მოხმარდება მარტვილის რაიონის რიგ სოფლებს, გამოთავისუფლებული ელექტროენერგიის ხარჯზე არის საუბარი წყლის ტარიფის შემცირებაზეც.

პროექტის მეორე ეტაპით გათვალისწინებულია ქალაქ ფოთში ხუთი სამარაგო კოშკის აგება, რითაც მთლიანად მოიხსნება მრავალსართულიანი სახლების წყალმომარაგების პრობლემა. ამავდროულად, მაგისტრალური წყალსადენის მუდმივად შევსებულ მდგომარეობაში არსებობა გაახანგრძლივებს მისი მოქმედების საიმედობას და გააიაფებს სასმელი წყლის ტარიფს.

იგეგმება თანამშრომლობა სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან, რომელთაგან ერთ-ერთმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა მზადყოფნა გამოთქვა, შეღავათიანი პირობებით დააფინანსოს აღნიშნული პროექტის მშენებლობა.

ევრობანკი სესხის სახით გამოყოფს თანხას, რომელიც 15 წელიწადში უნდა დაიფაროს.

მუნიციპალური განვითარების ფონდიც მზადაა, გაიღოს სახსრები პროექტის დასაფინანსებლად, საიდანაც 20% იქნება ქალაქის თანადაფინანსების თანხა, 40 % - გრანტი, ხოლო 40 % - 10-წლიანი სესხი 15 % წლიური განაკვეთით.



მოკლედ

## მარადონას ვალი აქვს

არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი დიეგო მარადონა იმედოვნებს, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაექცევა იტალიის მთავრობის ვალს 33 მილიონ დოლარს, რომელსაც ლეგენდარულ ფეხბურთელს იტალიის საგადასახადო სამსახურები სთხოვენ. მარადონამ იტალიის მთავრობისთვის გადასახდელი ვალი "ნაპოლის" შემადგენლობაში გამოსვლისას დააგროვა. შეგახსენებთ, რომ მარადონასთან ერთად "ნაპოლიმ" ორჯერ მოიგო იტალიის ჩემპიონატი (1987 და 1990 წლებში).

მას შემდეგ, რაც მარადონას ადვოკატებმა იტალიის მართლმსაჯულება ვერ დაარწმუნეს, რომ გადასახადი ფეხბურთელის ყოფილმა კლუბმა "ნაპოლიმ" უნდა გადაიხადოს, ადვოკატები აპირებენ, სასამართლოში სარჩელი შეიტანონ მოთხოვნით, რომ იტალიის საგადასახადო სამსახურებმა ფეხბურთელი დროულად არ ჩააყენეს საქმის კურსში იმის თაობაზე, რომ მას მთავრობის ვალი ჰქონდა დასაფარი. თავის მხრივ, ლეგენდარული ფეხბურთელის ადვოკატი ვინჩენცო სინისკალკი ამბობს: საგადასახადო სამსახურები ჩივიან, მათ მარადონა, უბრალოდ, ვერ ნახეს, რომ დავალიანების ფურცელი გადაეცათ.

მარადონას პრობლემები საგადასახადო პოლიციასთან 2001 წელს გამომზეურდა, მას შემდეგ, რაც ფეხბურთელი ინსპექტორებმა რომის აეროპორტში ნახეს და მას დავალიანების შესახებ აცნობეს.

ამჟამად მარადონა აპირებს, საშობაო დღესასწაული არგენტინაში, ოჯახურ წრეში გაატაროს. ასე რომ, ის არ დაესწრება რომში სასამართლო სხდომას. კითხვაზე, რა მოხდება სასამართლოში მარადონას დამარცხების შემთხვევაში, სინისკალკიმ განაცხადა: "არაფერი, სახელმწიფო კრედიტორის როლში მოგვევლინება... თუ მან იტალიაში რამე შეიძინა, პოლიციას შეუძლია, ამ შენაძენს კონფისკაცია გაუკეთოს. მას არაფერი არა აქვს".

## ევროპა რევოლუციის ზღვარზე

უეფა თავისი შინაარსით რევოლუციურ ნოვაციას ამზადებს. ამ სიახლის არსით ძველი კონტინენტის კლუბებს უნდა მიეცეს სტიმული იმისთვის, რომ გარედან კი არ შეიძინონ ფეხბურთელები, არამედ თავიანთ საფეხბურთო სკოლებში აღზარდონ ისინი.

ევროპული ფეხბურთის ხელმძღვანელთა აზრით, ყოველ მატჩში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილობრივი კადრების გარკვეული რაოდენობა (დაახლოებით შვიდი ან რვა). ამასთან, დაწესდება ლიმიტი გუნდში ფეხბურთელების რაოდენობაზე (დაახლოებით 25 ფეხბურთელზე).

უეფას ოფიციალურ საიტზე განმარტებულია, რომ საკუთარ საფეხბურთო კადრებში იგულისხმება ფეხბურთელი, რომელიც გარკვეული დროის მონაკვეთში მისთვის სასურველი კლუბის სპორტულ აკადემიაში ვარჯიშობდა.

ეს სიახლე ამ დღეებში განიხილება შვეიცარიის ქალაქ ნიონში მიმდინარე უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, რომელიც წლეულს უკანასკნელად იმართება. ამ საკითხის გარდა, განიხილება შესაძლებლობა, უეფას ეგიდით გამართულ ტურნირებზე დაშვებულ იქნეს ხელოვნურ საფარზე თამაში და აგრეთვე საკითხი ანტისადოპინგო პროგრამის შესახებ.

## ხარისტეასი არ იყიდება

ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის ნაკრების შემადგენლობაში ანგელოს ხარისტეასი არ იყიდება და ბრემენის "ვერდერში" განაგრძობს თამაშს. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც "ვერდერის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ფორვარდი არ იყიდება.

ბრემენული კლუბის სპორტულმა დირექტორმა კლაუს ალოფსმა შენიშნა, რომ ხარისტეასზე რომელიმე კლუბთან მოლაპარაკებებიც კი არ მიმდინარეობს. "ოფიციალური წინადადება ხარისტეასის შეძენის თაობაზე არც ამსტერდამის "აიაქსის" და არც რომელიმე სხვა კლუბის მხრიდან არ მიგვიღია", - განაცხადა ალოფსმა. შეგახსენებთ, რომ ბერძენი ფორვარდით რუსეთის ჩემპიონი, მალხაზ ასათიანისა და მიხეილ აშვეთიას მოსკოვის "ლოკომოტივი" იყო დაინტერესებული. რუსული კლუბის პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმა პრესას რამდენჯერმე განუცხადა, რომ "ლოკო" ხარისტეასით არის დაინტერესებული.

თუმცა, ბოლო დროს ხარისტეასის მიწვევა არა მარტო "ლოკომოტივისთვის", არამედ ყველა სხვა კლუბისთვისაც პრობლემური გახდა, რადგან ტრავმა მიიღო "ვერდერის" ხორვატმა ფორვარდმა ივან კლასნიჩმა და ამის გამო გერმანული კლუბისთვის ხარისტეასი, უბრალოდ, აუცილებელი გახდა.

შეგახსენებთ, რომ ანგელოს ხარისტეასმა პორტუგალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სამი გოლი გაიტანა. მათ შორის გამარჯვების გოლი, რომელიც ფინალში პორტუგალიის ნაკრების კარში გავიდა. გერმანიის ჩემპიონატში ხარისტეასის ანგარიშზე უკვე 11 გოლია.

## როგორც იქნა, კურნიკოვა გათხოვდა

პოპულარული რუსი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა ცნობილ ესპანელ მომღერალ ენრიკე იგლესიასზე გათხოვდა. ამის შესახებ განაცხადა ამერიკულმა ჟურნალმა US Weekly, რომელიც შოუბიზნესში მოღვაწე ვარსკვლავთა ცხოვრებაზე მოუთხრობს მკითხველს.

გამოცემის ინფორმაციით, წყვილის ქორწილი მექსიკის წყნარი ოკეანის პლაჟ პუერტო-ვაიარტაზე შედგა. საზეიმო ცერემონიას 23 წლის კურნიკოვასა და 29 წლის იგლესიასის უახლოესი მეგობრები და ნათესავები დაესწრნენ. ამის შესახებ ჟურნალს ზეიმის თვითმხილველმა უამბო.

თავად წყვილის წარმომადგენლები ამ ფაქტს არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. მაგალითად, კურნიკოვას პრესმდივანმა განაცხადა, რომ ანას პირად ცხოვრებას არასდროს კომენტარს არ უკეთებს. ამის მიუხედავად, ფლორიდის შტატში გამართულ საქველმოქმედო საჩოგბურთო ტურნირზე, კურნიკოვას თითზე საქორწინო ბეჭედი შეამჩნიეს.

ცნობისმოყვარეთა შეკითხვაზე, თუ რა ურთიერთობა აქვს ჩოგბურთელს მასთან, კურნიკოვამ უპასუხა: "ენრიკე მაგარია. ყველაფერი კარგადაა და ჩვენ შევუღლდით".

"ქორწინება პატარა საიდუმლო იყო. ცერემონიას მხოლოდ ახლობლები ესწრებოდნენ", - განუცხადა ჟურნალს ანონიმურმა წყარომ. წყვილის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ქორწინების კომენტირებაზე უარი განაცხადეს.

ენრიკე და ანა 2002 წლიდან ხვდებოდნენ ერთმანეთს, როცა მომღერალმა ჩოგბურთელი სიმღერისთვის "გაქცევა" კლიპში გადასაღებად მიიწვია. მას შემდეგ წყვილმა რეპორტიორებს რამდენჯერმე აცნობა შეუღლების შესახებ, მაგრამ, ჟურნალის ინფორმაციით, ამჯერად მათ ქორწინების აქტი ოფიციალურად გააფორმეს.

ჭიდაობა

# გოგიტიძეს ფალავნობა ჩააბარეს


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გოგიტიძემ აბსოლუტური ფალავნის ჩოხა მოირგო.

გიგა გურასაშვილი

*საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. წინამორბედმა გოჩა ძასოხოვმა, რომელიც ფედერაციას 2000 წლის 26 დეკემბერს ჩაუდგა სათავეში, ორი თვის წინათ დატოვა თანამდებობა. დღეიდან ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს - ბაკურ გოგიტიძე.*

საქართველოს საჭიდაო სამყაროში ახალი ფალავანი გამოჩნდა - ბაკურ გოგიტიძის სახით. გუშინ ჩატარდა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფერდაციის V ყრილობა, რომელსაც ძასოხოვის მემკვიდრე უნდა აერჩია.

ვიდრე ყრილობის დელეგატები მოვალეობას შეასრულებდნენ, ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა ძასოხოვის ხანაში მიღწეული შედეგები გაგვაცნო.

ყველამ წინასწარ იცოდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები ყოველგვარი ხმაურისა და აურზაურის გარეშე ჩაივლიდა, რადგან კანდიდატი ერთადერთი იყო - 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი ბაკურ გოგიტიძე. მაგრამ თურმე ვცდებოდით. სიტყვა ითხოვა პარლამენტარმა დავით კირკიტაძემ. როდესაც მან სიტყვა დაასრულა, დელეგატები წამიერმა დუმილმა მოიცვა. ხოლო მას შემდეგ, რაც დარბაზმა გააცნობიერა, თუ რა ითქვა, აყალმაყალიც ატყდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო. დავით კირკიტაძემ სცენაზე ასვლისთანავე თქვა: მინდა, ქვეყნის ხელისუფლების თხოვნა და რეკომენდაცია გაგაცნოთო. რეკომენდაცია კი ასე ჟღერდა: "რა თქმა უნდა, ჭიდაობის ფედერაცია უმნიშვნელოვანესია. მაგრამ ჩვენი თხოვნაა, არჩევნები ცოტა ხნით გადადოთ, მანამ, სანამ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში არჩევნები არ ჩატარდება. დეპარტამენტში მნიშვნელოვანი რეფორმებია მოსალოდნელი. ასე რომ, ვიდრე დეპარტამენტში ცვლილებები არ განხორციელდება, გთხოვთ, საპრეზიდენტო არჩევნები გადადოთ".

როგორც კი სიტყვა დაასრულა, ვეტერანმა ფალავანმა გურამ საღარაძემ კირკიტაძეს განმარტება მოსთხოვა: რას გულისხმობთ არჩევნების გადადებაში და, საერთოდ, რა არის ამ მოთხოვნის მიზეზიო? პარლამენტარმა უკან დაიხია: არავის არაფერს არ აძალებენ. ყველაფერი თქვენი ნებაა. კენჭი ყარეთ და თქვენთვის სასურველი პრეზიდენტი გამოავლინეთო. საქმეში ისევ საღარაძე ჩაერთო: კი მაგრამ, თქვე ოჯახაშენებულებო, აქამდე სად იყავით? ამდენი ხალხი შეგვიწუხებია, ჩამოგვიყვანია და ახლა ამბობთო?

პოლემიკაში სხვა დელეგატებიც ჩაერთნენ. არგუმენტი ასეთი იყო: უხერხულია დღის წესრიგში ცვლილების შეტანა. ეს იგივეა, პარლამენტში შეხვიდე და დღის წესრიგის შეცვლა ითხოვოო.

შემდეგ სიტყვა ითხოვა მსოფლიო ჩემპიონების აღმზრდელმა ჯონი რეხვიაშვილმა: ზოგიერთებისგან განსხვავებით, კირკიტაძე მოვიდა და კაცურად თქვა თავისი სათქმელი. ახლა ჩვენი გადასაწყვეტია, მის რჩევას გავითვალისწინებთ თუ არაო.

ვიდრე დელეგატები დაშოშმინდებოდნენ, საკითხი კენჭისყრაზე გაიტანეს. ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ხელისუფალთა რეკომენდაციას არ ვითვალისწინებთ!

შემდეგ სარევიზიო კომისიის ჯგურიც დადგა, მაგრამ დავით კირკიტაძის გამოსვლით გამოწვეული ვნებათაღელვა ჯერ კიდევ არ ჩამცხრალიყო. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ფედერაციის გასავალ-შემოსავალი აღარავის აინტერესებდა.

მოგვიანებით სცენაზე უხმეს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელს გუგა სულხანიშვილის - იქნებ თქვენ მაინც გაგვაგებინოთ, რა ხდება ჩვენს თავსო. სულხანიშვილმა, რა თქმა უნდა, ცეცხლზე ნავთი არ დაასხა: თქვენი გადასაწყვეტია, მიიღებთ თუ არა ხელისუფლების რეკომენდაციასო.

ისე, მართლაც, საკვირველია. თუ ხელისუფლებას ასეთი რამ ჰქონდა გადაწყვეტილი, რაღა სწორედ არჩევნების დღეს მოუნდა მისი გახმოვანება? რაღა მაინცდამაინც იმ სახეობაში მოუნდა ექსპერიმენტის ჩატარება, რომელიც, ყველას კარგად მოეხსენება, ქართული სპორტის გამწევი ძალაა?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჭიდაობა ბოლოა იმ ფედერაციებს შორის, რომელმაც წლის მიწურულს ჩაატარა არჩევნები. ერთი სიტყვით, თუ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან სურდათ კოორდინირება, რა, სპორტის სხვა სახეობებს არ ჰქონდათ არჩევნები?

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, არჩევნები მაინც ჩატარდა. რადგან ბაკურ გოგიტიძე პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იყო, ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. ასევე ერთხმად დაუჭირეს მხარი გენერალური მდივნობის ასევე ერთადერთ, მაგრამ მოქმედ კანდიდატს ომზარ შოშიტაშვილს. ფარული კენჭისყრა გაიმართა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატთა არჩევნებისას. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სამყარო თამაზ გეგეშიძეს ჩააბარეს, ხოლო ბერძნულ-რომაული - თეიმურაზ ყაზარაშვილს.

ფეხბურთი

# პეტერ ჩეხს დისკვალიფიკაცია ელოდება



პეტერ ჩეხმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წინაშე თავი უნდა იმართლოს.

ნინო ტიკარაძე

*ლონდონის "ჩელსის" მეკარეს პეტერ ჩეხს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის (FA) დისციპლინარული კომიტეტის წინაშე თავის მართლება მოუწევს იმის გამო, რომ მან "ჩელსისა" და "არსენალის" მატჩის არბიტრი გრემ პოლი საჯაროდ დაადანაშაულა ტენდენციურობაში და იგი "მეთოფეთა" გულშემატკივრადაც კი მონათლა. ბუნებრივია, ასეთ მწვავე განცხადებას შესაბამისი რეაგირება მოჰყვა.*

პეტერ ჩეხი, როგორც მისი ყველა თანაგუნდელი და გუნდის მწვრთნელი ჟოზე მოურინიო, ჯერაც ვერ ურიგდება იმ ფაქტს, რომ მატჩის პირველ ნახევარში პოლმა ტიერი ანრის გოლი სამართლიანად მიიჩნია და მეტოქის ანგარიშზე ჩაწერა. საქმე ის გახლავთ, რომ როცა მეკარე ცოცხალ კედელს მითითებებს აძლევდა, ანრი არ დაელოდა მსაჯის სასტვენს, თუმცა, მსაჯმა ანიშნა, რომ მისი მითითების გარეშე არ ემოქმედა, ყველასთვის მოულოდნელად საჯარიმო დარტყმა შეასრულა და "ჩელსის" კარი აიღო.

"ჩვენ ვიცოდით, რომ ტიერი ანრი საჯარიმო დარტყმას სწრაფად შეასრულებდა, როგორც ეს "პანათინაიკოსთან" გააკეთა. ამისთვის მზად ვიყავით და მაინც არბიტრს ვკითხეთ, აპირებდა თუ არა იგი სასტვენის ჩაბერვას, რაზეც დადებითი პასუხი მივიღეთ, თუმცა, ყველამ ვიცით, რომ მან ეს არ გააკეთა. დარწმუნებული ვარ, ეს რომ არა, ჩვენ აუცილებლად მოვიგებდით," - განაცხადეს ლონდონის "ჩელსის" ფეხბურთელებმა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

სხვათა შორის, პრემიერლიგის ხელმძღვანელობამ მსაჯის კრიტიკა უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ, წესების თანახმად, ფეხბურთელს მსაჯის სასტვენის გარეშე შეუძლია საჯარიმო დარტყმის შესრულება.

პეტერ ჩეხმა ერთ-ერთ ჩეხურ გაზეთთან ინტერვიუში, ერთი შეხედვით ხუმრობით, ასეთი კომენტარი გაუკეთა: "შეიძლება ის "არსენალის" გულშემატკივარია." იმავე დღეს ჩეხურ ვებგვერდზე გამოჩნდა მეკარის ასევე კატეგორიული განცხადება, რომელშიც იგი სასტიკად გმობდა მსაჯის გადაწყვეტილებას: "მან "არსენალს" ერთი ქულა აჩუქა. ეს აღმაშფოთებელია".

ბუნებრივია, მსაჯის პროფესიონალიზმის ეჭქვეშ დაყენებამ დიდი აურზაური გამოიწვია. ასეთი რეზონანსის შემდეგ, შეიძლება ითქვას, ჩეხმა უკან წაიღო თავისი სიტყვები, ბრალდება კატეგორიულად უარყო და ტონიც შეარბილა: "გაუგებრობა იმან გამოიწვია, რომ ჩემი ნათქვამი არასწორად თარგმნეს. მე, უბრალოდ, ვიხუმრე." მის ნათქვამს თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი და განაცხადეს, მეკარის კომენტარი ჟურნალისტების გაზვიადებულიაო.

თუმცა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მის კომენტარში ვერც ხუმრობის ნატამალი აღმოაჩინა, არც ჟურნალისტების მიერ გაზვიადებულად ჩათვალა და საქმის მოკვლევაც დაიწყო.

TV-სპორტი

## ხუთშაბათი. 16 დეკემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
06:30 NBA TV. სეზონი 1998-1999. "SACRAMENTO KINGS" - "SEATTLE SUPERSONICS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - საფრანგეთის ჩემპიონატი. "სოშო" - პსჟ
14:00 ჩემპიონთა ლიგა. "ფენერბახჩე" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "ფიორენტინა"
18:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
18:30 "FUTBOL MUNDIAL"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 საუიკენდო მატჩების ანონსი
19:25 ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ჩელსი"
21:10 ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერი" - "დინამო" (უკრაინა)
23:05 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
00:30 თავისუფალი დარტყმა
00:45 "FUTBOL MUNDIAL"
01:15 01:15-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
03:30 NBA TV - დღიური
04:00 NBA TV. "DETROIT PISTONS"- "CLEVELAND CAVALIERS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 18:10 პრესცენტრი
10:20, 18:25 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ხელბურთი. ევროპის ჩემპიონატი უნგრეთში. ქალები. ძირითადი წრე. უკრაინა - რუსეთი
12:00 "ვატერპოლო"
12:30 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
13:35 "სპორტისიმო"
14:20 "აკადემიკი". ფილმი იგორ ლარიონოვზე
14:50 ჰოკეი. ევროტური. "როსნოს თასი". ჩეხეთი - შვედეთი. პირდაპირი ტრანსლაცია. მეორე შესვენებისას (16:20) - პრესცენტრი
17:20 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა მექსიკიდან
18:30 სახვალიო ტელეპროგრამა
18:35 ჰოკეი. ევროტური. "როსნოს თასი". რუსეთი - ფინეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:20 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი
21:50 "მოტოვებული კვირა"
22:35 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
23:05 ახალი ამბები
23:50 ჰოკეი. ევროტური. "როსნოს თასი". ჩეხეთი - შვედეთი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები

**EUROSPORT**
10:30 ციგები. მსოფლიო თასის ეტაპი კანადაში
11:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში
11:30 ფარიკაობა. მსოფლიო თასის ეტაპი საფრანგეთში
12:00 მულტისპორტი
12:15 ფეხბურთი. - უეფას თასი
13:15 ფეხბურთი. - უეფას თასი
15:00 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. სპრინტი. ვაჟები
16:00 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. სპრინტი. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 მულტისპორტი
18:00 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ჰოლანდიისა და იტალიის კლუბების საუკეთესო მატჩები
19:00 ფეხბურთის კლასიკა. უეფას ჩემპიონთა ლიგა. გერმანიისა და ესპანეთის კლუბების საუკეთესო მატჩები
20:00 ფეხბურთი - უეფას თასი
21:00 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. სპრინტი. ქალები
22:15 მულტისპორტი
22:45 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
00:00 ცხენოსნობა. შეჯიბრება კონკურში. დიდი ბრიტანეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები
01:45 ფეხბურთი. უეფას თასი. მიმოხილვა

TV პროგრამა

16 დეკემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ეის ვენტურა" (12) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "ადამიანი ობობა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** "ვის უნდა 50 ათასი" **23.00** დოკ. ფილმი "ყველაზე მდიდრული სახლები" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ჰენრიხ მე-5" (18). მთ. რ-ში: კენეტ ბრანა. **02.50** პატრული

### პირველი არხი

**08.00, 09.00** მოამბე **08.10** დოკ. ფილმი "სტამბული" **09.20** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **10.05** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15, 20.50** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **13.00** მიამბეთ თქვენზე **14.00** კალათბურთი. თსუ-დინამო. **15.20** მუს. ოქტაგონი -ჯ. სეფიაშვილი **16.05** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **16.30** "მრავალჟამიერ" **17.00** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.30** დოკ. ფილმი "ამერიკის ბიოგრაფია" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. ფილმი "ჟან ლუკ პონტი" **19.40** ტელე-ზღაპარი **21.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "მყუდრო სავანე" (გ)

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "რობოტი პოლიციელი" (გ) მე-6ს. **14.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "ქარის საპირისპიროდ" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **19.50** "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "რომის ოქრო" (15) (ფერერო)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **19.25** "მრავალჟამიერ" **19.45** დოკ. ფილმი "შრი-ლანკას სპილოები" **20.35** "იმღერე რამე" **21.00** ბასტი-ბუბუ **21.15** დოკ. ფილმი "ვაცლავ ნიჟინსკი" **22.10** მიამბეთ თქვენზე **22.50** მხ. ფილმი "ხაფანგი" (გ) 1-ლი ს.

**18.00** მხ. ფილმი "უსახლკარო" (გ) მე-2ს. **19.30** დოკ. ფილმი **20.40** კონცერტი **22.00** მხ. ფილმი "ფობია" (15)

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "მგლების ხორუმი" **12.20, 14.50, 17.10, 03.45** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.15** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "კასანდრას გადასასვლელი" (გ) (ს. ლორენი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.45, 22.00, 03.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.25** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "მგლების ხორუმი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.10** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **23.40** "პირველი ნახევარი" **00.10** მხ. ფილმი "მოსახვევი" (18) (შონ პენი) **02.10** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია "გადაჭრით საუბარი" **10.50** დოკ. ფილმი **11.30, 14.30, 17.30, 18.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** "ზღვარი" **12.15** სათავგადასავლო ფილმი "ფავორიტი" **14.45** თრილერი "გზა არლინგტონისაკენ" **16.40** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.50** ბოევიკი "მოუხელთებელი" **20.00** "გადარჩენილი სიტყვა" **21.00** მელოდრამა "ყველა ნამდვილი გოგონა" **22.50** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.45** "ექსკლუზივი" **00.30** დეტექტივი "სიკვდილის მიზეზი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сериал **"ДЕТИ АРБАТА". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.30** "Звезды эфиры". Александр Бовин. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Худ. фильм **"БУЛЬВАРНЫЙ РОМАН". 2**-я серия. **17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** "Пан или пропал". **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30** Время. **21.30** Сериал **"ДЕТИ АРБАТА"**. Закл. серия. **22.40** "Человек и закон" **23.50** "Фабрика звезд". **00.10** Искатели. "Гибель линкора "Императрица Мария". **00.40** Максим Никулин в программе "Форганг". **01.10** Сериал **"ИСЧЕЗНОВЕНИЕ"**. Заключительная серия. **02.50** Европейский хоккейный тур. Кубок РОСНО. **Сборная России - сборная Финляндии. 04.10** Том Круз в фильме **"ВЕРНЫЕ ХОДЫ"**.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** Сегодня. **10.15** Чистосердечное признание. **10.50** Кулинарный поединок. **11.50** Сериал **"ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ". 13.30** Детективный сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 14.25** Сериал **"РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Криминальная Россия. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ". 20.50** Сериал **"РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 22.00** "Страна и мир". **22.40** "К барьеру!" Ток-шоу **00.15** Конни Нильсен в остросюжетном фильме **"ДЕМОН-ЛЮБОВНИК"**. **02.45** Бильярд. **03.10** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: киты во льдах". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 05.00** Детективный сериал **"10-8". 05.40** Чрезвычайное происшествие.



# აფიშა

## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
წლის სიმღერა
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლაშა ნოზაძე
"არ გადამრიო"
რეჟისორი: ლაშა ნოზაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ანაკონდა 2"
დას: 13:00; 18:00; 20:00 სთ.

**ამირანი**
"ალექსანდრე"
დას: 12:00; 15:00 სთ.
ფასი: 6-დან 14 ლარამდე

"მობილური ტელეფონი"
დას: 18:00; 20:00; 22:00 სთ.

მცირე დარბაზი
"ბანდიტები"
დას: 22:00 სთ.

## გამოფენები

**სურათების ეროვნული გალერეა**
გამოფენა-ფოტოკონკურსი "ქოლგა 2004"

**ვერნისაჟი**
თენგიზ მირზაშვილის ნამუშევრების გამოფენა

**გოეთეს ინსტიტუტი**
ბეატ პრესნერის ფოტონამუშევრების გამოფენა

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**TMS**
ნინო ფერაძის გრაფიკულ ნამუშევართა საშობაო გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
"გიორგობისთვე"

**გოეთეს ინსტიტუტი**
ვერნერ ჰერცოგის ფილმების ჩვენება
ფიცგარალდო (1981 წ.)
დას: 18:00 სთ.

## ლიტერატურული საღამო

**წიგნის სახლი**
მწერალ ზაალ სამადაშვილის ლიტერატურული ციკლის - "ჩემი სამაგიდო წიგნი"
სტუმარია აკა მორჩილაძე
დას: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ORACLE პროგრამისტს კოსმოსში გააგზავნის




გიგანტი კომპანია Oracle გაჰყვა რალფ კრამდენას (1950-იან წლებში პოპულარული ტელესერიალი Honeymooners-ის პერსონაჟი) კვალს და შეგვპირდა გააგზავნოს კოსმოსში ერთი-ერთი საუკეთესო პროგრამისტი.

ამ კვირაში კომპანიამ დაიწყო Oracle-ის ინსტრუმენტებით მომუშავე საუკეთესო პროგრამისტის შერჩევა. მთავარი პრიზი იქნება ორბიტალური ფრენა დედამიწიდან 100 კილომეტრ სიმაღლეზე, კოსმოსური ტურიზმის პიონერი კომპანიის Space Adventures-ის დახმარებით.

მონაწილეებს სთავაზობენ რეგისტრაცია გაიარონ Oracle Space Sweepstakes საიტზე, რის შემდეგაც, მათ უნდა შეასრულონ რიგი დავალებებისა, მათი ცოდნის შესამოწმებლად Java პროგრამირების სფეროში. ყოველი ასეთი დავალებისათვის შემოთავაზებულია შესაბამისი განმარტებები და Oracle-ს სამუშაო ინსტრუმენტების ჩასატვირთი გამაცნობიერებელი ვერსიები, რომლებიც საჭიროა კითხვებზე სწორი პასუხის გასაცემად.

"ჩვენ ვცდილობთ დავაინტერესოთ პროგრამისტები, ჩატვირთონ ტექნოლოგია და გაეცნონ ინსტრუმენტებს" - ამბობს სერვერული პროგრამების და პროგრამირების ინსტრუმენტების, მარკეტინგის ვიცე-პრეზიდენტი რიკ შულცი - "ეს ტექნოლოგია აუცილებლად უნდა გამოვცადოთ".

ყოველი ახალი საგამოცდო დავალება გამოცემული იქნება ყოველ მესამე კვირას 31 მაისამდე, და ვინც შეასრულებს ამ დავალებას, მიიღებს ქულებს, რომელიც გაუზრდის გამარჯვების შანსს. კონკურსში მონაწილეობისათვის არ არის სავალდებულო იყო Oracle-ის პროფესიონალი პროგრამისტი, მაგრამ პროგრამირების ტექნიკის ცოდნა დაგეხმარებათ, როცა საქმე მივა "BPEL პროცესის პროექტირებაზე BPEL პროცესების მენეჯერის მეშვეობით".

ვისაც სურვილი აქვს გამოცდების გარეშე მიიღოს მონაწილეობა ლატარეაში, შეუძლიათ გაგზავნონ საფოსტო ბარათი მისამართზე: Oracle Space Sweepstakes, P.O. Box 4021 Grand Rapids, Minn. 55730-4021.

წესებში ნათქვამია, რომ გამარჯვებული ვალდებულია ხელი მოაწეროს ქაღალდს პასუხისმგებლობის მოხსნაზე და წარმოადგინოს ცნობა თავისი მკურნალი ექიმისგან, რომ სამედიცინო თვალსაზრისით, ის მზად არის კოსმოსში გასაფრენად. კოსმოსში გაფრენის ზუსტი თარიღი დამოკიდებული იქნება Space Adventures-ის განრიგზე, მაგრამ ეს მოხდება სულ მცირე 2006 წელს.

3 წლის წინ Space Adventures-მა გაითქვა სახელი, როდესაც, 20 მილიონ დოლარად ორბიტაზე ბიზნესმენი დენის ტიტო გაუშვა, რომელიც პირველი კოსმოსური ტურისტი გახდა. ამის შემდეგ, კომპანიას, კოსმოსური ფრენის პრივატიზაციის რამოდენიმე კონკურენტი გაუჩნდა, მათგან ერთ-ერთი მეტად ცნობილი - კომპანია "SpaceShipOne ბერტა რუტანა", რომელმაც მიმდინარე წელს, წარმატებით შექმნილი და გაშვებული მრავალჯერადი ორბიტალური ხომალდის შექმნისათვის მიიღო 10 მილიონი დოლარის ოდენობის პრიზი. კონკურენციაში, ასევე, ჩაერთო თავგადასავლების მაძიებელი ბრიტანელი მეწარმე, რიჩარდ ბრენსონი, თავისი ახალი საწარმო Virgin Galactic-ით.



საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) მედია ინოვაციების პროგრამა გაცნობებთ, რომ პროგრამული პრიორიტეტების შეცვლის გამო აუქმებს მის მიერ ამა წლის ივნისში გამოცხადებულ კონკურსს სოციალური საკითხების გაშუქებაში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საკონკურსო მასალების მიღება აღარ იწარმოებს.

**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ IREX-ის მედია ინოვაციების პროგრამის ტრენინგის განყოფილების ხელმძღვანელს, ქეთი ჭუმბურიძეს: ktchumburidze@irexonline.ge**

## განცხადება

როდესაც საქმე გარემოზე ზემოქმედებას ეხება, საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა შეუფერხებლად უნდა მიიღოს მთელი ინფორმაცია, მონაწილეობდეს გადაწყვეტილებათა მიღებაში, უნდა შეეძლოს ნებისმიერი კანონდარღვევის გასაჩივრება - მოკლედ ასეთია ორჰუსის კონვენციის შინაარსი.

ევროკავშირის ფინანსური დახმარებით შეზღუდული ტირაჟით გამოიცა წიგნი "როგორ გამოვიყენოთ ორჰუსის კონვენცია საქართველოში" (ქართულ და რუსულ ენაზე). წიგნში დეტალურად განხილულია კონვენციასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობა და კონკრეტული პროცედურები, მოყვანილია მათი გამოყენების მაგალითები და რეკომენდაციები.

წიგნი უფასოა. მიღება შეგიძლიათ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68ა, VI სართული, სამინისტროს კანცელარია

**საკონტაქტო პირები: ნინო ქიტუაშვილი, მობ: 877 760 572, ლია თოდუა, მობ: 899 577 959, ელ-ფოსტა: aarhusgeo@gol.ge**




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

